

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი



ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტის და მარკეტინგის დეპარტამენტი

ირაკლი ბერიძე

**მდგრადი მუნიციპალური განვითარების სტრატეგია -
სარესურსო პოტენციალის რაციონალური გამოყენება, ეფექტური
მექანიზმები.**

(ნაშრომი წარდგენილია ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად)

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი რ. მანველიძე

ბათუმი-2022

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ირაკლი ბერიძე

შ ი ნ ა ა რ ს ი

| | |
|---|-----|
| შესავალი ----- | 4 |
| თავი 1. მუნიციპალური სოციალურ-ეკონომიკური სისტემის განვითარების მეცნიერული კონტექსტები და ისტორიული საფუძვლები ----- | 11 |
| 1.1 მდგრადი განვითარების არსი ----- | 11 |
| 1.2 მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ძირითადი თავისებურებები აჭარაში ----- | 20 |
| 1.3 საწარმოო რესურსებისა და ეკონომიკის ტრანსფორმაციული პროცესები აჭარაში - ----- | 35 |
| თავი 2. მდგრადი განვითარების თეორიული საფუძვლები და სარესურსო პოტენციალი ----- | 65 |
| 2.1 მუნიციპალური ეკონომიკის ფუნქციონირების სამართლებრივ-ეკონომიკური საფუძველი ----- | 65 |
| 2.2 მუნიციპალიტეტის სამეწარმეო შესაძლებლობები და სარესურსო პოტენციალი | 75 |
| 2.3 ბიზნესის ორგანიზაციის, მართვისა და განვითარების თანამდეროვე მდგომარეობა აჭარის მუნიციპალიტეტებში ----- | 93 |
| თავი 3. მუნიციპალიტეტის მდგრადობა, როგორც საინვესტიციო მიმზიდველობის მთავარი ფაქტორი. საწარმო პოტენციალის გამოყენების ეფექტურობის ამაღლების შესაძლებლობები და შეფასების მიდგომები ----- | 103 |
| 3.1 მუნიციპალიტეტის საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლების შესაძლებლობები ----- | 103 |
| 3.2 მუნიციპალიტეტის საწარმოო პოტენციალის გამოყენების ეფექტურობის ამაღლების მექანიზმები და შეფასების მიდგომები ----- | 113 |
| 3.3 ბიზნესის მართვისა და რეგულირების გაუმჯობესების მექანიზმი აჭარის მუნიციპალიტეტებში ----- | 127 |
| დასკვნები და რეკომენდაციები ----- | 137 |
| გამოყენებული ლიტერატურა ----- | 143 |

შესავალი

თემის აქტუალურობა

ეროვნული ეკონომიკის, ბიზნესის, მუნიციპალიტეტების და რეგიონების დაჩქარებული განვითარების საქმეში შექმნილი რეალობა თვალსაჩინოს ხდის ეკონომიკის ტრანსფორმაციის აუცილებლობას და მასში რეგიონული ეკონომიკის როლის მნიშვნელოვან ზრდას.

რეგიონული ეკონომიკის რეკონსტრუქციისათვის, პირველ რიგში, საჭიროა მმართველობითი დეცენტრალიზაცია, ასევე ცენტრსა და რეგიონებს შორის კომპეტენციათა მკვეთრი გამიჯვნა და საბიუჯეტო დამოუკიდებლობის მნიშვნელოვანი ზრდა.

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები რეგიონებს ახალი რეალობის წინაშე აყენებს, ამ შემთხვევაში კიდევ უფრო იზრდება ცენტრალური ხელისუფლების ვალდებულება, რათა სწრაფად მოხდეს რეგიონების ეკონომიკის დივერსიფიკაცია და მათში არსებული ბუნებრივი, ფინანსური, ინტელექტუალური და საწარმოო რესურსების შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება. სწორედ ეკონომიკის მდგრადი განვითარების პირობებში იქმნება ეროვნული ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების გატარების შესაძლებლობები.

საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების პროცესში, მსოფლიო პანდემიის ფონზე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონების სპეციფიკის, ინტერესების და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის თავისებურებების გათვალისწინებას.

სწორედ მსოფლიო ეკონომიკაში არსებული ატიპიური კრიზისის პირობებში საქართველოს რეგიონებში მნიშვნელოვნად გაუარესდა ისეთი მაკროეკონომიკური პარამეტრები, როგორებიცაა: უმუშევრობა, ინფლაცია, სიღარიბე, წარმოებული რეგიონული პროდუქტის მოცულობა, მოქალაქეების სოციალური მდგომარეობა.

არსებული პრობლემების გადაჭრისათვის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, მის მუნიციპალიტეტებში საჭიროა კომპლექსური მდგრადი მუნიციპალური სტრატეგიის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს არსებული რესურსული პოტენციალის ამოქმედებას და რეგიონში მცხოვრები მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სწრაფ გაუმჯობესებას. აღნიშნულის აქტუალურობას

ზრდის ისიც, რომ შემუშავებული ცალკეული ფრაგმენტული სტრატეგიები არაეფექტურია, კვლავ მძიმეა საინვესტიციო კლიმატი, შემცირებულია ბიზნესაქტივობა, სათანადო ყურადღება არ ექცევა რეგიონების საექსპორტო პოტენციალს, იზრდება სიღარიბის მაჩვენებელი და სხვა.

რეგიონებში ჯერ კიდევ სრულყოფილად და კომპლექსურად, არ არის გამოყენებული მუნიციპალიტეტებში არსებული ბუნებრივი, ადამიანური და ინტელექტუალური პოტენციალი. არ ხდება მიმდინარე და მოსალოდნელი ეკონომიკური პროცესების რისკების შესწავლა და შეფასება; ეკონომიკური მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტის მცდელობა წარმოებს სპონტანურად, ადგილობრივი მმართველობის ფუნქციისა და შესაძლებლობების გაუთვალისწინებლად. მიგვაჩნია, რომ აუცილებელია მუნიციპალიტეტებში მათი კომპეტენციებიდან გამომდინარე შემუშავებულ იქნეს ისეთი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს ადგილობრივი ეკონომიკის, ბიზნესის სწრაფ განვითარებას, გააუმჯობესებს საინვესტიციო მიმზიდველობას, გაზრდის შექმნილი დამატებული ღირებულების მოცულობას, უზრუნველყოფს დასაქმებული პირების რეალური შემოსავლის ზრდას და მთლიანობაში მოქალაქეების კეთილდღეობის სისტემატურ ზრდაზე იქნება ორიენტირებული.

წარმოდგენილი თემის აქტუალობას ზრდის ასევე ის, რომ საქართველო ასრულებს ევროკავშირთან „ასოცირების ხელშეკრულებას“, რაც მნიშვნელოვან ვალდებულებას აკისრებს ქვეყნის ხელისუფლებას, რეგიონული და მუნიციპალიტეტის დონეებზე მდგრადი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებასთან დაკავშირებით. აღნიშნული პრობლემა ხაზგასმულია აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2021 წლის ანგარიშში, „მსოფლიოში საინვესტიციო გარემოს შესახებ“, სადაც საქართველოში საინვესტიციო გარემოს ერთ-ერთ გამოწვევად მიჩნეულია მუნიციპალურ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების არაეფექტურობა და დეცენტრალიზაციის დაბალი დონე <https://www.state.gov/reports/2020investmentclimatestatements/georgia/?fbclid=IwAR36t4r-vBYVwj-DryMAJlY6ZpoFytWeWDcNJJ-ifGJagBW5OE2B -bnSfE>

კვლევის ობიექტია მდგრადი მუნიციპალური განვითარების სტრატეგიის შემუშავება, ხოლო კვლევის საგანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა, როგორც რეგიონის განვითარების აუცილებელი წინაპირობა.

კვლევის აქტუალობიდან გამომდინარე **კვლევის მიზანია** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების სპეციფიკის, თავისებურებების და მახასიათებლების განსაზღვრა, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს მდგრადი მუნიციპალური სტრატეგიის და სარესურსო პოტენციალის რაციონალური გამოყენების ეფექტური მექანიზმების შემუშავება. კვლევის მიზნიდან გამომდინარე **კვლევის ამოცანებია:**

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის და მდგრადი მუნიციპალური განვითარების თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომების შესწავლა;
- რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობის და რესურსული პოტენციალის შესწავლა;
- რეგიონში მეწარმეობის, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის კუთხით არსებული მდგომარეობის შესწავლა;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე რეგიონებში არსებული მდიდარი ეკონომიკური და სარესურსო პოტენციალის, სასურსათო უსაფრთხოების ტენდენციების და გამოწვევების შესწავლა;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების მდგრადი ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის ძირითადი მიმართულებების შემუშავება;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების ბიზნესის ორგანიზებისა და მართვის გაუმჯობესების მექანიზმების შემუშავება.

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური ბაზა

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ბაზას წარმოადგენს საქართველოს მთავრობის და პარლამენტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული ოფიციალური დოკუმენტები. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები ქვეყნის და

რეგიონის მაკროეკონომიკური მდგომარეობის განმსაზღვრელი კრიტერიუმების შესახებ. კომერციული სტრუქტურების, ცალკეული ბიზნესსუბიექტების ანგარიშები.

კვლევის მეთოდოლოგია

დასახული მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპეციფიკის, რეგიონული ეკონომიკის დივერსიფიკაციის და ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია კვლევის თანამედროვე მეთოდები, კერძოდ: სტატისტიკური, სტრუქტურული, მონაცემთა ანალიზის, მონოგრაფიული კვლევის და სხვა მეთოდები.

პრობლემის კვლევის მდგომარეობა თანამედროვე მეცნიერებაში

თანამედროვე ეტაპზე მდგრადი მუნიციპალური განვითარების და სარესურსო პოტენციალის ეფექტურ გამოყენებასთან დაკავშირებით არსებული პრობლემების შესახებ კვლევები განხორციელებული აქვთ ქართველ მეცნიერებს: ლ. პაპავას, ე. ბარათაშვილს, რ. მანველიძეს, ნ. ჩიხლაძეს, ნ. ორჯონიკიძეს, მ. კვარაცხელიას, ბ. ალადაშვილს, ი. მესხიას, ე. გველესიანს, ნ. გრძელიშვილს, ვ. ღლონტს, რ. აბესაძეს, დ. მოურავიძეს, გ. ჩუბინიძეს, ბ. ჭიჭინაძეს და სხვებს. ქვეყნის და რეგიონულ დონეზე მუნიციპალური ეკონომიკის მდგრადი განვითარების მიმართულებით არსებობს უცხოელი მეცნიერების: A. Sullivan, G. Gapone, A. Esanov, J. Wagner, R. Ramcharan, M. Porter, J. Budvil, A. Miurdar, J. Commonce, T. Parson და სხვების კვლევები.

წარმოდგენილი მეცნიერების მიერ განხორციელებულ კვლევებში მოცემულია არსებული პრობლემები და გარკვეული ხედვები მათ გადასაჭრელად, რაც ჩვენ გვამძლევს საშუალებას, რომ კიდევ უფრო საფუძვლიანად შევისწავლოთ აღნიშნული საკითხი და თანამედროვე რეალობის გათვალისწინებით წარმოვადგინოთ პრობლემის გადაჭრის მექანიზმები. აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ მოულოდნელმა მსოფლიო პანდემიამ, მსოფლიოში განვითარებულმა ნეგატიურმა პროცესებმა დღის წესრიგში დააყენა ქვეყნების და მათი რეგიონების ისეთი მდგრადი მუნიციპალური ეკონომიკის სტრატეგიების შემუშავება, რაც გახდება საფუძველი რეგიონის სტაბილური ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარებისა. სწორედ მდგრადმა ეკონომიკურმა განვითარებამ უნდა უზრუნველყოს რეგიონის ბიზნესგარემოს,

საინვესტიციო კლიმატის, დემოგრაფიული მდგომარეობის, სურსათის უვნებლობის და ეკონომიკის რეალური დარგების განვითარება.

წარმოდგენილი კვლევა, ვფიქრობთ, სიახლეს წარმოადგენს საქართველოს მდგრადი მუნიციპალური განვითარების სტრატეგიის შემუშავების მიმართულებით.

ძირითადი სამეცნიერო სიახლეები

- შესწავლილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებები და ძირითადი კრიტერიუმები;

- წარმოდგენილია შესაბამისი ხედვები ცენტრალურ, რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე მდგრადი განვითარების ძირითადი მიმართულებების და ბიზნესის დაჩქარებული განვითარების შესახებ;

- განსაზღვრულია რეგიონის მუნიციპალიტეტების მდგრადი განვითარების პრობლემურობის არსი და მოცემულია სარესურსო პოტენციალის რაციონალური გამოყენების ეფექტურობის მექანიზმები;

- შესწავლილია სარესურსო პოტენციალის როლი რეგიონის განვითარებაში;

- გამოვლენილია რეგიონის მდგრადი მუნიციპალური სტრატეგიის მახასიათებლები. მათ შორის: ეკონომიკის ტრადიციული და ინოვაციური დარგები, მუნიციპალიტეტებში პროფესიული მუშახელის სტრუქტურა, რეგიონის მზარდი სამეცნიერო პოტენციალი, მდიდარი ბუნებრივი პოტენციალი და აგროსექტორის განვითარების შესაძლებლობები. მუნიციპალიტეტების მდიდარი ტურისტული და საინვესტიციო პოტენციალი, მუნიციპალიტეტების შესაძლებლობები ინოვაციური და კრეატიული, ასევე „მწვანე ეკონომიკის“ განვითარების მიმართულებით.

- წარმოდგენილია ველნეს ინდუსტრიის განვითარების შესაძლებლობები და მოცემულია მუნიციპალურ ეკონომიკაში მისი განვითარების სტრატეგიული ხედვები;

- წარმოდგენილია წინადადებები კლასტერული გაერთიანებების ფორმირების შესაძლებლობის, სტრუქტურისა და მთავარი მიმართულებების შესახებ;

- აღწერილია ეკონომიკის დივერსიფიკაციის ძირითადი მიმართულებები და რეგიონული თავისებურებები;

- დადგენილია მდგრადი მუნიციპალური განვითარების ფაქტორები და მათი თავისებურებები;
- ნაჩვენებია მუნიციპალიტეტების მდგრადი განვითარების შესაძლებლობები, საწარმოო პოტენციალი, მართვის ეფექტური მექანიზმების შემუშავების საფუძვლები;
- ჩამოყალიბებულია მდგრადი მუნიციპალური განვითარების სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები, ცენტრალურ, რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე გასატარებელი ღონისძიებები;
- შემუშავებულია მექანიზმები ეკონომიკის მდგრადი განვითარების პრობლემების გადაჭრისათვის სისტემური მიდგომების თვალსაზრისით;
- შემუშავებულია შესაბამისი რეკომენდაციები მდგრადი მუნიციპალური განვითარების და რეგიონში საერთო ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით ცენტრალური, რეგიონული, ადგილობრივი ხელისუფლებებისა და ბიზნესისათვის.

კვლევის შედეგები

წარმოდგენილ კვლევაში ფართოდ არის მოცემული ქვეყანაში და, კერძოდ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმსაზღვრელი ფაქტორები, ასევე წარმოდგენილია ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ გასატარებელი ღონისძიებები გაუმჯობესების მიზნით. ვფიქრობთ, წარმოდგენილი კვლევა მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, ასევე მუნიციპალიტეტებს ახალი სტრატეგიული გეგმების შემუშავების ან უკვე არსებული გეგმების კორექტირების და რეალიზაციის პროცესში.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ასევე ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებს და კვლევით დაწესებულებებს, რომელთა კვლევის სფერო მოიცავს რეგიონის ეკონომიკური უსაფრთხოების, საჯარო მმართველობის, სასურსათო უსაფრთხოებისა და საინვესტიციო მიმზიდველობის მიმართულებებს.

კვლევა დახმარებას გაუწევს ადგილობრივ წარმოებასა და ბიზნესს განვითარების კონცეფციის, სტრატეგიის შემუშავებაში, არსებული სარესურსო პოტენციალის ბიზნესსა და წარმოებაში გამოსაყენებლად.

არაერთი გამოკვლევისა და სამეცნიერო ნაშრომის მიუხედავად, კიდევ ერთხელ შეიძლება ითქვას, რომ სადისერტაციო თემა აქტუალურია და წარმოდგენილი კვლევა, ანალიზი, დასკვნები, შედეგები ქმნის შესაძლებლობებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისთვის შემუშავებული მიდგომები გამოყენებულ იქნეს საქართველოს სხვა რეგიონებთან მიმართებითაც.

ნაშრომის აპრობაცია: დისერტაცია აპრობირებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის დეპარტამენტის გაფართოებულ სხდომაზე 2021 წლის 23 ივლისს. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები, რეკომენდაციები, ცალკეული შედეგები ასახულია ავტორის მიერ გამოქვეყნებულ სამეცნიერო სტატიებში. დისერტაციასთან დაკავშირებული საკითხები წარმოდგენილი იქნა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მასალებში, საერთაშორისო რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში.

ნაშრომის სტრუქტურა: სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს **152** გვერდს. იგი შედგება შესავლის, სამი თავის, ცხრა ქვეთავის, დასკვნებისა და რეკომენდაციებისაგან. თემას თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი.

თავი 1. მუნიციპალური სოციალურ-ეკონომიკური სისტემის განვითარების მეცნიერული კონტექსტები და ისტორიული საფუძვლები

1.1. მდგრადი განვითარების არსი

საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ (1991 წლიდან) ქვეყნის საერთო ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე დღის წესრიგში დადგა მმართველობითი სისტემის რეფორმირების აუცილებლობა, რაც თავის მხრივ მოიცავდა რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ეკონომიკური მიდგომების მნიშვნელოვან ცვლილებებს. მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ქვეყნის რეგიონებში მრავალი უარყოფითი პროცესი განვითარდა, რომელიც მნიშვნელოვნად აფერხებდა ქვეყნის საერთო ეკონომიკურ მდგრადობას, რეგიონების და ადგილობრივი თვითმმართველობის ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად გატარდა არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა.

საქართველოს რეგიონების ეკონომიკის მდგრადი განვითარების საკითხების აქტიურად განხილვა ბოლო ათწლეულების განმავლობაში დაიწყო. მისდამი ინტერესი გაიზარდა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევის და მსოფლიო სასაქონლო ბაზრებზე არსებული კონიუნქტურით განსაზღვრული ფაქტორების, რეგიონალური რეპროდუქციული პროცესებზე გავლენის ზრდის შედეგად. მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, ადგილობრივი მკვლევარებისათვის რეგიონალური ეკონომიკური სტაბილურობის არსებითი საკითხი ბოლომდე შესწავლილი არ არის და ის კვლავ ფართო განხილვის საგანი უნდა იყოს.

რეგიონული ეკონომიკის მდგრადობის მიზნით ჯერ კიდევ მოუგვარებელია და გადაწყვეტას საჭიროებს სახელმწიფო და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების საკითხი. სახელმწიფო საკუთრებაშია ისეთი ქონება, რომლის პრივატიზებაც მნიშვნელოვანი მასტიმულირებელი ეფექტის მომტანი იქნებოდა ქვეყნის და რეგიონის სამეწარმეო გარემოს და კონკურენტუნარიანობის ამაღლების უზრუნველსაყოფად.

ზოგადად მდგრადი განვითარების ქვეშ ყოველთვის გულისხმობენ მდგრად სისტემურ ზრდას. ტერმინი „მდგრადი“ სხვადასხვა ენებზე სხვაგვარად აღიქმება.

ინგლისურ ენაზე (Sustainable) ის ეკოლოგიურად რაციონალურს, სიცოცხლისუნარიანობას ნიშნავს, ფრანგულ ენაზე (Developpment)-განვითარებას, ხანგრძლივს, საიმედოს ნიშნავს, ხოლო გერმანულზე (Nachhaltige)-განვითარებას, ცვლილებებს, მოდერნიზაციას, პროექტირებას, შექმნას ნიშნავს. ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 70 -იან წლებში სიტყვა „მდგრადი“ გამოიყენეს მსოფლიოში არსებული მზარდი ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტასთან მიმართებაში. მდგრადობის შესწავლას მეცნიერები უკავშირებდნენ მსოფლიო მოსახლეობის ზრდასთან ერთად წარმოქმნილი რესურსების დეფიციტს. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, მსოფლიოში ურბანიზაციის დონის ზრდასთან ერთად კიდევ უფრო გამოიკვეთა მდგრადი რეგიონული ეკონომიკური განვითარების აუცილებლობა, რადგანაც მდგრადი რეგიონული განვითარების ქვეშ იგულისხმებოდა ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფდა რეგიონში მცხოვრები მოქალაქეების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას არსებული ბუნებრივი რესურსების ოპტიმალურად გამოყენების პირობებში. გამომდინარე იქედან, რომ მდგრადი ეკონომიკური განვითარება პირდაპირ კავშირშია ეკოლოგიასა და გარემოს დაცვასთან, ქვეყნები უალრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მის შესწავლას.

მსოფლიოში სიღარიბის დონის ზრდასთან ერთად კიდევ უფრო მწვავედ დადგა მდგრადი ეკონომიკის პრინციპების დანერგვის აუცილებლობა. 2018 წლისათვის მსოფლიოში 1.25 ამერიკულ დოლარზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდა 800 მილიონ ადამიანს, 2.25 დოლარზე ნაკლები - 2.7 მილიარდზე მეტ ადამიანს, ანუ მთელი მოსახლეობის 36 %-ს. მსოფლიოს ყველაზე ღარიბ ქვეყნებს (სადაც მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე მხოლოდ 600-დან 1500 დოლარამდე მერყეობს) მიეკუთვნება: ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, ბურუნდი, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ნიგერია, ვალავი, მოზამბიკა, გვინეა, ერიტრეა, მადაგასკარი [96].

საქართველოში ეკონომიკის მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვის მიმართულებით ნაბიჯები გადაიდგა 90-იანი წლების შუა პერიოდიდან.

1996 წლის 23 ნოემბერს გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №763, „საქართველოს მდგრადი განვითარების სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ“, კომისიის ძირითად ფუნქციად განისაზღვრა ქვეყნის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად შესაბამისი ქმედებების განხორციელება.

2000 წლის 6 აპრილს გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №31, „საქართველოს მდგრადი განვითარების საერთაშორისო სააგენტოს შექმნის შესახებ“, სააგენტოს ძირითად ფუნქციად განისაზღვრა ქვეყნის მდგრადი განვითარების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

2005 წლის 22 აპრილს გამოიცა საქართველოს მთავრობის №77 დადგენილება საქართველოს მდგრადი განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ. აღნიშნული დადგენილებით კომისიას დაევალა მოეხდინა ქვეყნის მდგრადი განვითარების სტრატეგიის შემუშავება, ასევე განესაზღვრა რეგიონული და ადგილობრივი მნიშვნელობის პროგრამების და მეწარმეობის ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციები.

2004 წლის 10 სექტემბერს გამოიცა მთავრობის №77 დადგენილება-- „საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“, სამინისტროს სხვა საკითხებთან ერთად დაევალა რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრა, რეგიონული მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და რეგიონული ბიზნესის ხელშეწყობა.

2006 წლის 5 აპრილს გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №238, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის-მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტოს შექმნის შესახებ“, სააგენტოს ფუნქციად განისაზღვრა სამინისტროებთან კოორდინაციით შეემუშავებინა ეკონომიკის მდგრადი განვითარების შესაბამისი პროექტები.

2014 წლის 17 ივნისს გამოიცა საქართველოს მთავრობის დადგენილება №400, „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე“, აღნიშნული დადგენილებით შესაბამის სამინისტროებს დაევალათ მოემზადებინათ

ისეთი კანონპროექტები, სადაც გათვალისწინებული იქნებოდა ქვეყნის რეგიონებში სიღარიბის დაძლევის გზები და რეგიონების მდგრადი ეკონომიკური განვითარება.

2015 წლის 22 დეკემბერს აშშ-სა და საქართველოს შორის გაფორმდა შეთანხმება „განვითარების შესახებ, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიზნის მისაღწევად“. აღნიშნული შეთანხმების ფარგლებში აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაიგეგმა სხვადასხვა აქტივობების განხორციელება ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების და მდგრადი რეგიონული ეკონომიკის მიღწევის უზრუნველსაყოფად.

2018 წელს საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავდა პროგრამა - „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2019-2022 წლებისთვის“. აღნიშნული პროგრამით დასახულ იქნა მიზნად ახალი „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიღება, ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა სახის ღონისძიებების გატარება. რეგიონული ეკონომიკის განვითარება, სიღარიბის დონის შემცირებასთან დაკავშირებით რეგიონში არსებული მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა და სხვა აქტივობები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სამინისტროს მიერ 2015 წელს მიღებულ იქნა „საქართველოს სოფლის მეურნეობის 2015-2020 წლების განვითარების სტრატეგია“, 2020 წელს მიღებულ იქნა „საქართველოს სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია“, აღნიშნული სტრატეგიებით მკაცრად გაიწერა საქართველოს რეგიონებში ბუნებრივი რესურსების ეფექტურად გამოყენების გზით, სოფლის მეურნეობის დარგების მდგრადი განვითარების აუცილებლობა.

მდგრადი განვითარება გულისხმობს არა ზოგადად ეკონომიკური განვითარების, არამედ ეკონომიკის რაოდენობრივი ზრდის შეზღუდვას. ამ შეზღუდვის კომპენსირება ხდება სწორედ ეკონომიკის თვისობრივი განვითარების ხარჯზე, საზოგადოების კომფორტის ზრდის შედეგად. მაშასადამე, მდგრადი განვითარება მოითხოვს ეკონომიკური ზრდის თანდათან შენელებას, მაგრამ არა საზოგადოების სულ უფრო მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემცირების, არამედ თვისებრივ მაჩვენებელთა სრულყოფის საფუძველზე, რაც ადამიანთა

კეთილდღეობის ამაღლებას განაპირობებს. საბოლოოდ ეკონომიკური ზრდა, შესაძლებელია, ჩაანაცვლოს ტერმინმა „ადამიანთა კეთილდღეობის ზრდა“, რომლის გაზომვის მაჩვენებლები ძირითადად იქნება თვისებრივი ცვლილებების გამომსახველი მაჩვენებლები. [1].

მდგრადი ეკონომიკური ზრდის პრობლემების დაძლევის მნიშვნელოვან მიმართულებად ეკონომიკური ზრდის ხარისხობრივი მახასიათებლებისადმი პრიორიტეტის მინიჭება, სოციალური, სტრუქტურული, ინსტიტუციური, ტექნოლოგიური განვითარების დაჩქარება მიგვაჩნია. ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ადამიანური კაპიტალის განვითარება, წინა პლანზე უნდა წამოვიდეს ზრდის ხარისხის უზრუნველყოფი სოციალური, სტრუქტურული, მეცნიერულ-ტექნოლოგიური, ეკოლოგიური პოლიტიკა. მაკროეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელ პრიორიტეტად უნდა მივიჩნიოთ ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში, განათლების, მეცნიერების, ჯანდაცვის სფეროების განვითარება, ადამიანის განვითარების პოტენციალის ინდექსისა და ტექნოლოგიური მიღწევების ინდექსის ამაღლება, რაც საქართველოში ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისა და განვითარებადი ქვეყნის სტატუსის დაძლევისათვის დამატებითი რესურსების უზრუნველყოფის მთავარი პირობაა. [104].

ბაზელის უნივერსიტეტის პროფესორ გიუნტერ ბუხლერის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში „რას მოაქვს წარმატება?“ აღნიშნულია, რომ კაცობრიობის მთავარი მიზანი მდგრადი განვითარების მეშვეობით უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრა და ქვეყნების ეროვნული ეკონომიკის გარდაქმნაა [21].

ჯონ ჰოფმეისტერი აღნიშნავს, მნიშვნელოვანია რომ დროს ჩვენს მეგობრად აღვიქვამდეთ. დრო რომელიც მიდის, მტერი კი არა მეგობარია. მაშინ როდესაც თქვენ იაზრებთ მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივებს[114].

მდგრადი განვითარება და მისი რეალიზაციის გზების ძიება ნებისმიერი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ამოცანაა. მსოფლიო საზოგადოება იწყებს მსჯელობას, როგორ დააღწიოს თავი გლობალურ პოსტინდუსტრიულ მანქანას. ამას ადასტურებს გაეროს სპეციალურ კონფერენციაზე მიღებული დოკუმენტი „დღის

წესრიგი 21-ე საუკუნისათვის“. უნდა შეიქმნას განვითარების ახალი მოდელი, რომელიც შეძლებს დაეხმაროს ცივილიზაციას გლობალური წინააღმდეგობების გადაჭრაში. გამომდინარე აქედან „მდგრადი განვითარება“ იძენს სრულიად განსხვავებულ შინაარსობრივ და ფუნქციურ დატვირთვას [111].

ვეთანხმებით პროფ. მურმან კვარაცხელიას, რომელიც აღნიშნავს, რომ „სუვერენულმა სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს ისეთი მდგრადი პოლიტიკა, რომელიც უცხოურ გამოცდილებას მიუსადაგებს ეროვნულ ინტერესებს. ამ დროს წინა პლანზე წამოიწევს ქვეყნის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გარკვეული პოსტულატები, როგორცაა თავისუფლება, სოციალური სამართლიანობა, სოლიდარობა, ეკონომიკის ეფექტიანობა, სრული დასაქმება, კონკურენტული და ეკოლოგიური გარემო, მდგრადი განვითარება და სხვა.

ილია ჭავჭავაძე მე-20 საუკუნის დასაწყისში აღნიშნავდა რომ ქვეყნის განვითარებისათვის აუცილებელია მისი რეგიონების სწავი განვითარება, რათა ადგილზე შეიქმნას პროდუქტი და ადამიანებმა თავისუფლად შეძლონ მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება [105].

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს ნიკო ნიკოლაძე აღნიშნავდა, რომ „აუცილებელია საქართველომ გამოიყენოს თავისი ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები მისი უნიკალური რესურსებით და გეოპოლიტიკური მდგომარეობა იმისათვის, რომ შექმნას ძლიერი ეროვნული ეკონომიკა“. ჩემი აზრით სწორედ ასეთი მიდგომები ჭირდება თანამედროვე საქართველოს, რათა შემუშავდეს ქვეყნის მდგრადი ეკონომიკის განვითარების ისეთი გეგმა, რომელიც დაფუძნებული იქნება ჩვენი ქვეყნის ეროვნულ იდეოლოგიაზე და ტრადიციებზე.

ნიკო ნიკოლაძის აზრით რეგიონების განვითარების გარეშე წარმოუდგენელია ქვეყნის განვითარება და მისი ცნობადობის ზრდა. ნიკო ნიკოლაძემ თავისი ეს ხედვა საქმით დაამტკიცა, ის ქალაქ ფოთის თავი იყო წლების განმავლობაში და მრავალი რეფორმა განახორციელა ქალაქის და მთლიანად რეგიონის სამეწარმეო და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით. ნიკოლაძისეული ხედვა დღესაც მნიშვნელოვანად წაადგება თანამედროვე საქართველოს, ეროვნული, მდგრადი რეგიონული სამეწარმეო დოქტრინის შემუშავების პროცესში.

ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკის დარგში **საიმონ კუზნეცი** აღნიშნავს, რომ მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი პარამეტრია ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტის რაოდენობის სისტემატური ზრდა. ამის მისაღწევად კი მისი აზრით აუცილებელია ინვესტიციების სისტემატური ზრდა. მდგრადი ეკონომიკის მისაღწევად აუცილებელია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი. მეცნიერების გარეშე მას ფაქტიურად ვერ წარმოედგინა მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევა.

ცნობილი ეკონომისტი **ჯონ მეინარდ კეინზი** აღნიშნავდა, რომ იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იყოს ეკონომიკის გარანტირებული ზრდა მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში, აუცილებელია კერძო და საზოგადოებრივი დანაზოგების სისტემატური ზრდა, რაც მთლიანობაში ინვესტიციების ზრდის პროპორციულია.

ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკის დარგში **მილტონ ფრიდმანი** აღნიშნავდა, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის ზრდის შენარჩუნებისათვის აუცილებელია მთავრობამ აკონტროლოს ეკონომიკაში არსებული ფულის რაოდენობა.

აკად. ა.არზამასცევს მიაჩნია, რომ რეგიონის ეკონომიკის მდგრადი განვითარება მხოლოდ რეგიონში არსებული მატერიალური, შრომითი, ინოვაციური, სამეცნიერო, საინვესტიციო და ადამიანური რესურსების ეფექტურად გამოყენებით მიიღწევა.

ქართველი და უცხოელი მეცნიერ-ეკონომისტების ნააზრევით ირკვევა, რომ ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური ზრდისათვის, რაც წინაპირობაა კონკურენტული ბიზნეს-გარემოს შექმნისა, უნდა გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები, რომელიც პასუხობს გლობალურ, მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე გამოწვევებს და ორიენტირებულია წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების მოცულობის ზრდაზე.

ზოგადად, რეგიონის მდგრად ეკონომიკურ განვითარებაში ვგულისხმობთ ისეთ სტაბილურ განვითარებას, როდესაც იზრდება რეგიონის ეკონომიკური აქტივობა, რეალური სექტორი, კონკურენცია, მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობა.

ამავდროულად, ეს განვითარება არ ხდება მომავალ თაობებს მიკუთვნებული რესურსების გამოყენების ხარჯზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის მკაფიოდ განსაზღვრული „მდგრადი ეკონომიკური განვითარების“ კატეგორია და მისი განსხვავებები ეკონომიკური სისტემის ეკონომიკური მდგრადობის" კონცეფციასთან, არ არის გამოკვეთილი გარე და შიდა გარემოს ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორები, თვით ეკონომიკური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მის დინამიკურ ბალანსს, თვითადაპტაციის, თვითგანვითარებისა და პროგრესის შესაძლებლობას.

კონკრეტული რეგიონის მაღალი ეკონომიკური მდგრადობის ერთ-ერთი მახასიათებელი გარე და შიდა ინვესტორების საქმიანობის გაზრდილი დონეა, რაც, თავის მხრივ, საკვლევ ტერიტორიის უფრო მაღალი საინვესტიციო მიმზიდველობითაა გამოწვეული. რეგიონის ეკონომიკაში კაპიტალური ინვესტიციების მაღალი დონე უზრუნველყოფს მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მდგრადობას გრძელვადიან პერიოდში და ხელს უწყობს მის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას უცხოურ ბაზრებზე. ამავდროულად, რეგიონში საინვესტიციო მიმზიდველობისა და საინვესტიციო საქმიანობის ზრდის პერსპექტივები ახლა უფრო მეტად არის დამოკიდებული მასში მოქმედი ძირითადი კომპანიების ბიზნეს რეპუტაციაზე, ისევე როგორც მის ტერიტორიაზე არსებული ზოგადი ბიზნეს კლიმატის ხასიათზე.

რეგიონში საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მაღალი დონე (კერძოდ, პროდუქციის ძირითადი ტიპების სპეციალიზირებული საწარმოების მიერ ექსპორტის მოცულობა) წარმოადგენს მსოფლიო სასაქონლო ბაზრებზე, რეგიონალური ეკონომიკის ამჟამინდელი კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოხატულებას. ამავდროულად, მდგრადობის ამ ასპექტის გაანალიზებისას, უნდა განხორციელდეს ექსპორტის სტრუქტურის ეტაპობრივი ცვლილება, მაღალი საწარმოო ხარისხის მქონე პროდუქციის, მაღალტექნოლოგიური პროდუქციის, აგრეთვე, მომსახურების და ტექნოლოგიების ექსპორტის წილის გაზრდით. რეგიონული მდგრადობის მნიშვნელოვანი კომპონენტია ეკონომიკის

ინსტიტუციური სტრუქტურის ჰარმონია, რაც დიდწილად განისაზღვრება რეგიონში მცირე ბიზნესის განვითარების დონით. ეკონომიკის ამ სექტორს შეუძლია უზრუნველყოს არამარტო შესაბამისი რეგიონის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დასაქმების მნიშვნელოვანი წილი, არამედ უზრუნველყოს დამატებითი საოჯახო-სამეურნეო შემოსავლის, აგრეთვე რეგიონული ბიუჯეტის შემოსავლების, მნიშვნელოვანი ნაწილი.

რეგიონალური ეკონომიკის რეალური მდგრადობის ცვლილება, მიღებული რეგიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონკრეტული შედეგები პირდაპირ გავლენას ახდენს მისი კონკურენტუნარიანი შესაძლებლობების ხასიათზე მომდევნო პერიოდში, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს რეგიონის კონკურენტული პოზიციის პროცესის უწყვეტობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მოკლევადიან პერიოდში ინტეგრირებული რეგიონალური პოტენციალი განსაზღვრავს რეგიონული ბიზნესის სუბიექტის საიმედო განვითარებას. გრძელვადიან პერსპექტივაში, მისი გამოყენების ეფექტურობა ხასიათდება რეგიონის ეკონომიკური მდგრადობით, რაც ცენტრალური რგოლია რეგიონული კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის-თვის.

ჩატარებული კვლევა საშუალებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ დასკვნა:

1. არ არის მიზანშეწონილი მახასიათებლების ძალიან გაფართოება ეკონომიკური მდგრადობის არსის, ტიპისა და ელემენტარული შემადგენლობის განსაზღვრისას;
2. აუცილებელია ეკონომიკური მდგრადობის სისტემის მხოლოდ ისეთი ელემენტების არსებობა, რამაც შეიძლება უზრუნველყოს მათი თავსებადობის უნივერსალობა სხვადასხვა დონეზე;
3. ეკონომიკური მდგრადობის კონცეფციის თითოეული ელემენტი უნდა გაიზომოს და შეფასდეს როგორც რაოდენობრივად, ისე თვისობრივად;
4. აუცილებელია ეკონომიკური და მათემატიკური მეთოდების გამოყენება, როგორც ეკონომიკური მდგრადობის დონის და ხარისხის შეფასების ინდიკატორის, ეკონომიკური ზრდის რეგიონალური პროგნოზების შემუშავებაში.

ამრიგად, საჭიროა შემდგომი თეორიული კვლევის ჩატარება ეკონომიკური მდგრადობის შესასწავლად, იმისდა მიუხედავად, რას მოიცავს ეს ცნება. ამ კვლევების შედეგებს დიდი სამეცნიერო ინტერესი და პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება. შესაბამისად, აუცილებელია მიზნობრივი კვლევების ჩატარება, რომლებიც საშუალებას მოგვცემს გამოვალინოთ ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავს რეგიონის ეკონომიკური მდგრადობის შინაარსს. შემდეგ, ზემოქმედების ფაქტორების შესაბამისად უნდა შემუშავდეს მეთოდოლოგია და განსაზღვროს ინდიკატორების შემადგენლობა, რომლებიც ახასიათებს ქვესისტემების შედეგებს და განსაზღვრავენ მათ ეკონომიკურ მდგრადობას.

აღვნიშნავთ, რომ რეგიონის მდგრადი განვითარების კონცეფცია და მისი თავისებურებანი ჯერ კიდევ არ არის ღრმად შესწავლილი. ჯერ კიდევ არ არის გამოკვეთილი ის ძირითადი კრიტერიუმები, რაც უნდა გახდეს საფუძველი რეგიონების მდგრადი განვითარებისა. ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან, რათა მიღებული კანონებით მაქსიმალურად შეეწყოს ხელი რეგიონების მდგრად განვითარებას. მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების რეგიონულ ეკონომიკებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ თანამდროვე გლობალურ სამყაროში, ურბანიზაციის მაღალი დონის პირობებში, ადამიანთა მოთხოვნების მაქსიმალურად დაკმაყოფილების მიზნით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რეგიონების ეკონომიკების მდგრადი განვითარება. სწორედ მდგრადი განვითარებაა საფუძველი რეგიონული ბიზნესის წარმატებულად ფუნქციონირებისა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა, რეგიონებში შექმნილი დამატებული ღირებულების ზრდისა, მთლიანობაში ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილურობისა.

1.2 მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ძირითადი თავისებურებები

აჭარაში

ქვეყნის საერთო ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრებათ რეგიონების განვითარებას. რეგიონების

მდგრადი განვითარების აუცილებლობა კიდევ უფრო მწვავედ დგას დღის წესრიგში, მაშინ როცა ქვეყანას კურსი ალებული აქვს ევროკავშირისკენ და შესაბამისი ვალდებულებაც აქვს ალებული ევროკავშირის წინაშე, „ასოცირების ხელშეკრულების“ სახით. საჭიროა აღინიშნოს, რომ ქვეყნის საერთო ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში აქარის ავტონომიური რესპუბლიკის როლი უმნიშვნელოვანესია. დღესდღეობით, თეორიული ასპექტით, მიღებულია ეკონომიკური საქმიანობის რამდენიმე დონის გარჩევა.

- მეგა-დონე - გლობალური, პლანეტარული, ქვეყნებს შორისი ეკონომიკა (მსოფლიო ეკონომიკური ურთიერთობების ეკონომიკა);
- მაკრო დონე - ეროვნული ეკონომიკა (ნებისმიერი ქვეყნის (სახელმწიფოს) ეკონომიკა);
- მეზო დონე - რეგიონული ეკონომიკა, ისევე როგორც (ზოგიერთი შეფასებით) რეგიონთაშორისი კორპორაციების ეკონომიკა (ეს უკანასკნელი ძალიან სადავოა);
- მიკრო დონე - მუნიციპალიტეტების ეკონომიკა და ორგანიზაციების ეკონომიკა (საწარმოები, ფირმები, კომპანიები, ინსტიტუტები, რაც ასევე არ ჩანს სრულად მართებული);
- მინი დონე - ორგანიზაციების სტრუქტურული განყოფილებების ეკონომიკა;
- ნანოდონე - ინდივიდუალური ეკონომიკის მქონე პირები - პერსონალი, მესაკუთრეები, მენეჯერები, საკუთრების სხვადასხვა ფორმის ორგანიზაციების აქციონერები.

მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფორმირების თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია განისაზღვროს კონცეპტუალური აპარატი, უპირველეს ყოვლისა, სისტემური მიდგომის ძირითადი ცნებებით, ასევე უფრო დეტალურად გაკეთდეს ანალიზი ისეთი ეკონომიკური კატეგორიისა, როგორცაა „რეგიონი“.

რეგიონული ეკონომიკის განვითარების მიმართულებით არსებული ლიტერატურის მიმოხილვა ცხადყოფს, რომ დღეს საერთოდ არ არის მიღებული სისტემური მიდგომის ტერმინებისა და ცნებების ჩამონათვალი. სისტემის განხილვის დონის პრაქტიკული მოსაზრებების საფუძველზე, მიზანშეწონილია სისტემის

მიდგომასთან დაკავშირებული ძირითადი ტერმინებისა და კონცეფციების შინაარსის ფორმირება. სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომებში, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს რეგიონის ქვესისტემები, როგორცაა „ბუნებრივი რესურსი“, „გეოგრაფიული მდებარეობა“, „შრომითი რესურსი“, „ინსტიტუციური პირობები“ და „სოციალურ ეკონომიკური პირობები“.

ბუნებრივია, მახასიათებლების, თვისებებისა და თავისებურებების მრავალფეროვნება ართულებს რეგიონის სტრუქტურის, როგორც ერთი მთლიანი ელემენტისათვის, ჭეშმარიტი და ერთადერთი განმარტების ფორმირების საკითხს. ამასთან, ძირითადად არ არის ნახსენები ისეთი მნიშვნელოვანი სისტემური კომპონენტი, როგორცაა „არსებული პოტენციალი და მისი მდგომარეობა“, რაც გულისხმობს რეგიონის ნედლეულს, წარმოებას, ენერჯიას, ფინანსებს, ინვესტიციებს, პერსონალს, სამეცნიერო, ინტელექტუალურ, ორგანიზაციულ, მენეჯერულ და სხვა სახის რესურსების ერთობლიობას, რომლებიც თავის მხრივ ხშირად დამოკიდებულია როგორც ბუნებრივ-გეოგრაფიულ, ისტორიულ, დემოგრაფიულ პირობებზე, ასევე კონკრეტული რეგიონის სპეციალიზაციაზე, შრომისა და წარმოების სოციალურ დანაწილებაში, ეკონომიკის სტრუქტურაზე.

მიუხედავად ამისა, დღეს არსებობს მოსაზრება, რომ რეგიონი განიხილება როგორც სისტემა, რომელიც ხასიათდება შესაძლებლობებით არაერთი სოციალურ-ეკონომიკური მიზნის, მთელი რიგი სხვა პრობლემების გადასაჭრელად, რაც საბოლოოდ რეგიონული სისტემის უსაფრთხოების და კონკურენტუნარიანობის გაზრდას უწყობს ხელს. ამრიგად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ განმარტება: რეგიონი, პირველ რიგში, ეროვნული ეკონომიკის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული და სოციალურ-ეკონომიკური ქვესისტემაა, მეორეც, რთული და კომპლექსური სისტემა, რომელიც შედგება მთელი რიგი ქვესისტემებისაგან და ხასიათდება გარკვეული სინერგიული შესაძლებლობებით (პოტენციური), რომელიც მიზნად ისახავს ტერიტორიის მდგრადი, უსაფრთხო და კონკურენტული განვითარების უზრუნველყოფას, ასევე მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას მსოფლიოში არსებული მიმდინარე გამოწვევების პირობებში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების ეტაპები, რეგიონის სარესურსო პოტენციალის გამოყენების შესაბამისად განიცდიდა ცვლილებებს. დღეს, გლობალური პანდემიის ფონზე, მაშინ როცა მნიშვნელოვნადაა დაქვეითებული რეგიონული ეკონომიკის განვითარების მაზჩვენებელი, საქართველოს რეგიონებისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ამოცანაა არსებული რეზერვებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა და მოქმედებაში მოყვანა.

რეზერვების პოვნის პრობლემის გადაჭრა და რეგიონული პოტენციალის გამოყენების დონის ამაღლების გზების პოვნა თავდაპირველად განისაზღვრება ახალი საბაზრო მიდგომების შემუშავებით რეგიონული ეკონომიკური სისტემის ინტეგრირებული პოტენციალის არსის, სტრუქტურისა და მეთოდების განსაზღვრისთვის. რეგიონალური პოტენციალის გამოყენებისა და ეკონომიკური განვითარების ანალიზისთვის, ვიყენებთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითს.

ჩვენი აზრით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის პანდემიის და შემცირებული ეკონომიკური აქტივობების ფონზე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა რეგიონის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა, მისი კონკურენტუნარიანობის გაზრდა. რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი სტატისტიკური მასალების საფუძველზე გავანალიზებთ რეგიონული ფუნდამენტური პოტენციალი, რომელიც განსაზღვრავს რეგიონის კომპლექსური განვითარების პერსპექტივას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ბოლო ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკაში, რასაც ცხადყოფს რეგიონის წვლილი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) სტრუქტურაში.

მთლიანი შიდა პროდუქტის განაწილება ტერიტორიული ერთეულების მიხედვით

(2010-2020 წწ)

(მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი)

| ტერ.ერთეული | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|-------------------------------|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|
| თბილისი | 10326.5 | 12200.4 | 12820.5 | 13092.2 | 14157.8 | 15410.2 | 16585.9 | 18151.8 | 20063.7 | 22077.4 |
| აკარის ა.რ. | 1383.9 | 1672.4 | 2147.3 | 2198.7 | 2282.5 | 2775.7 | 3000.4 | 3059.6 | 3491.5 | 4377.1 |
| გურია | 349.9 | 398.6 | 453.5 | 527.3 | 523.5 | 563.5 | 594.9 | 632.7 | 651.3 | 723.6 |
| იმერეთი | 1668.7 | 1913.3 | 2104.3 | 2093.4 | 2205.4 | 2830.7 | 2560.5 | 3212.9 | 3587.2 | 3654.7 |
| კახეთი | 817.4 | 967.4 | 1027.5 | 1324.8 | 1471.9 | 1466 | 1572.4 | 1902.2 | 2017.6 | 2187.6 |
| მცხეთა-მთიანეთი | 331.7 | 395.5 | 509.7 | 520.8 | 656.6 | 745 | 661.2 | 819.2 | 932.3 | 1040.7 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 99 | 104.7 | 121 | 126.4 | 133.9 | 154.8 | 153.8 | 174.6 | 214 | 261.9 |
| სამეგრელო-ზემო-სვანეთი | 1278.6 | 1404.3 | 1370.5 | 1663.2 | 1692 | 1856.4 | 1832.3 | 2123 | 2067.6 | 2466.1 |
| სამცხე-ჯავახეთი | 667.1 | 723.5 | 733.5 | 905.3 | 1058.2 | 889.2 | 1009.1 | 1114.3 | 1200.2 | 1422.5 |
| ქვემო ქართლი | 1593.6 | 1859.4 | 1813.4 | 1803.2 | 2037.8 | 2096.9 | 2221.3 | 2991.5 | 3039.6 | 3227.9 |
| შიდა ქართლი | 769.9 | 982.5 | 1150.3 | 1282.9 | 1441.9 | 1408.8 | 1364.1 | 1165.9 | 1513.6 | 1698.3 |
| მშპ საბ.ფასებ | 19286.4 | 22622.2 | 24251.6 | 25538.2 | 27661.3 | 30197.1 | 31555.8 | 35347.6 | 38778.5 | 43137.8 |
| (+) გადასახადები პროდუქციაზე | 2640.5 | 2980.6 | 3103.7 | 3202 | 3611.6 | 3896.1 | 4448.8 | 5604 | 6031.2 | 6348.3 |
| (-) სუბსიდიები პროდუქციაზე | 105.3 | 124.1 | 128 | 147.2 | 148.8 | 158.3 | 168.6 | 190 | 210.3 | 233.4 |
| მშპ საბაზრო ფასებში | 21821.6 | 25478.7 | 27227.3 | 28593 | 31124.1 | 33935 | 35836 | 40761.7 | 44599.3 | 49252.7 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

წარმოდგენილი მონაცემებიდან კარგად ჩანს, რომ 2010 - დან 2020 წლამდე პერიოდში, აჭარის რეგიონის წილი ქვეყნის მშპ-ის ფორმირებაში 2-ჯერ გაიზარდა და დედაქალაქის (თბილისი) შემდეგ რეგიონებს შორის მოწინავე პოზიციაზეა. ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მზარდი დინამიკა, ხაზს უსმევს მის როლსა და მნიშვნელობაზე ქვეყნის საერთო ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით.

მეტად საინტერესო სურათს მივიღებთ თუ გავანალიზებთ მონაცემებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მშპ-ს ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით:

ცხრილი №2.

აჭარაში შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტი

(2010-2020 წწ)

(მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი)

| ეკონომიკური საქმიანობა | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|--|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|
| სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა | 89.7 | 116.0 | 135.6 | 149.5 | 134.5 | 142.5 | 129.1 | 135.5 | 145.2 | 170.2 |
| სამთომშობვებითი მრეწველობა | 4.6 | 6.0 | 6.7 | 6.8 | 8.1 | 15.6 | 16.2 | 17.2 | 19.4 | 32.4 |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 59.5 | 76.6 | 90.6 | 101.4 | 112.7 | 131.4 | 117.4 | 143.7 | 167.4 | 237.3 |
| ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონერული ჰაერის მიწოდება | 15.1 | 15.9 | 15.6 | 20.3 | 22.4 | 25.2 | 27.4 | 31.8 | 41.6 | 54.8 |
| წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები | 6.3 | 5.4 | 7.4 | 6.3 | 5.6 | 11.2 | 11.8 | 13.3 | 12.4 | 19.0 |
| მშენებლობა | 109.3 | 117.0 | 233.8 | 263.0 | 336.8 | 354.8 | 399.6 | 409.1 | 581.1 | 870.8 |
| საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი | 120.2 | 210.2 | 214.6 | 212.0 | 238.9 | 252.3 | 290.5 | 337.7 | 371.6 | 445.8 |
| ტრანსპორტი და დასაწყობება | 122.5 | 132.9 | 171.5 | 142.6 | 146.4 | 209.7 | 193.7 | 202.0 | 254.5 | 296.5 |

| | | | | | | | | | | |
|---|--------|--------|--------|--------|--------|--------|--------|--------|--------|--------|
| განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები | 54.1 | 66.9 | 94.3 | 127.0 | 145.5 | 214.0 | 226.1 | 278.4 | 318.8 | 450.6 |
| ინფორმაცია და კომუნიკაცია | 62.6 | 46.4 | 68.2 | 60.0 | 44.0 | 58.0 | 83.2 | 69.4 | 73.1 | 37.5 |
| საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები | 28.4 | 29.6 | 187.2 | 122.1 | 111.9 | 183.2 | 192.9 | 147.2 | 128.0 | 125.9 |
| უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები | 338.5 | 349.7 | 360.4 | 392.5 | 423.9 | 458.4 | 486.8 | 515.2 | 540.4 | 608.3 |
| პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები | 7.3 | 12.3 | 20.7 | 20.2 | 33.8 | 39.4 | 41.4 | 36.3 | 53.5 | 91.8 |
| ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები | 8.1 | 11.8 | 14.8 | 15.1 | 24.0 | 25.2 | 33.2 | 48.4 | 49.6 | 52.7 |
| სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება | 151.6 | 200.9 | 140.5 | 195.4 | 153.0 | 223.1 | 171.5 | 218.7 | 235.7 | 271.1 |
| განათლება | 84.9 | 107.5 | 142.4 | 120.8 | 160.8 | 192.0 | 163.1 | 155.2 | 167.8 | 182.4 |
| ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები | 52.6 | 95.4 | 83.6 | 72.7 | 101.0 | 122.7 | 189.6 | 143.9 | 164.2 | 195.0 |
| ხელოვნება, გართობა და დასვენება | 54.2 | 56.9 | 136.0 | 149.9 | 61.6 | 97.0 | 190.4 | 132.6 | 131.9 | 206.6 |
| სხვა სახის მომსახურება | 13.4 | 14.2 | 19.9 | 19.0 | 16.6 | 18.3 | 33.7 | 19.5 | 30.1 | 21.5 |
| შინამეურნეობების, როგორც დამკირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის | 1.0 | 1.2 | 3.7 | 2.2 | 1.2 | 1.8 | 2.8 | 4.4 | 5.3 | 7.1 |
| მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზისო ფასებში | 1383.9 | 1672.4 | 2147.3 | 2198.7 | 2282.5 | 2775.7 | 3000.4 | 3059.6 | 3491.5 | 4377.1 |
| (+) გადასახადები პროდუქციაზე | 189.5 | 220.4 | 274.8 | 275.7 | 298.0 | 358.1 | 423.0 | 485.1 | 543.0 | 644.2 |
| (-) სუბსიდიები პროდუქციაზე | 7.6 | 9.2 | 11.3 | 12.7 | 12.3 | 14.5 | 16.0 | 16.4 | 18.9 | 23.7 |
| მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში | 1565.8 | 1883.6 | 2410.8 | 2461.7 | 2568.2 | 3119.3 | 3407.3 | 3528.2 | 4015.6 | 4997.6 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

წარმოდგენილი მონაცემებით ირკვევა, რომ რეგიონში მთლიანი შიდა პროდუქტი ბოლო 10 წლის განმავლობაში თითქმის გაოთხმაგდა, თითქმის ყველა მიმართულებაში შეინიშნება მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენციები, თუმცა განსაკუთრებული მშპ-ს მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა იკვეთება მშენებლობის სფეროში (ზრდა 8-ჯერ). განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობა (გაიზარდა თითქმის ცხრაჯერ) უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები გაიზარდა თითქმის 2-ჯერ და ის რეგიონის მთლიანი შიდა პროდუქტის საერთო მოცულობის თითქმის 15%-ს შეადგენს. ამასთან, აღსანიშნავია ტურიზმთან დაკავშირებული მომსახურების სფეროს დომინირება ბოლო 5 წლის განმავლობაში. სოფლის მეურნეობის მიერ აჭარაში შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტი 2010 წლისთვის უტოლდებოდა მშენებლობის სფეროს და ორჯერ აღემატებოდა განთავსებისა და კვების მომსახურების სფეროს. ფაქტია, რომ ამ პერიოდისთვის ეკონომიკის ტრანსფორმაცია მოხდა და გამოიკვეთა ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული მიმართულებების დომინირება. ერთმნიშვნელოვნად კარგია, რომ ეკონომიკური განვითარების ტენდენციები შეინიშნება, მაგრამ არც თუ ისე დამაიმედებელი ფაქტია, რომ აღნიშნული ზრდა ძირითადად მომსახურების სფეროზე მოდის და წარმოებაზე ორიენტირებული ეკონომიკის წილი ძალიან დაბალია. პირობითად, არალოგიკურია, როცა კვების მომსახურების წილი გაზრდილია რეგიონის ეკონომიკაში და სოფლის მეურნეობის წილი არ არის გაზრდილი შესაბამისი თანაფარდობით, რაც ერთმნიშვნელოვნად ნიშნავს იმპორტზე მეტ დამოკიდებულებას და შესაბამისად რეგიონიდან მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსის გადინებას, მსგავსი სურათია თითქმის ყველა სფეროში.

ეკონომიკის მდგრადი განვითარების შინაარსიდან გამომდინარე უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადებიდან პროცენტული ანარიცხები როგორ ნაწილდება საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკურ და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებს შორის.

გადასახადების ბიუჯეტებს შორის განაწილების წესი პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით
2021 წლისათვის

| № | გადასახადის დასახელება | სახელმწიფო ბიუჯეტი % | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი % | მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი % |
|-----|---|----------------------|--|---------------------------|
| 1 | საშემოსავლო გადასახადი | | | |
| 1.1 | საშემოსავლო გადასახადი, გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე რეგისტრირებული დასაბეგრი ობიექტების მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადისა | 100 | 0 | 0 |
| 1.2 | საშემოსავლო გადასახადი, ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე რეგისტრირებული დასაბეგრი ობიექტების მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადისა | 0 | 100 | 0 |
| 2 | მოგების გადასახადი | 100 | 0 | 0 |
| 3 | ქონების გადასახადი | 0 | 0 | 100 |
| 4 | დამატებული ღირებულების გადასახადი | 81 | 0 | 19 |
| 5 | აქციზი | 100 | 0 | 0 |
| 6 | იმპორტის გადასახადი | 100 | 0 | 0 |

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადების განაწილების წესით ირკვევა, რომ ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში ირიცხება თანხები, რომელიც მობილიზებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებული დასაბეგრი ობიექტების მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადიდან. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობიდან და მდგრადი რეგიონული პოლიტიკის გატარების აუცილებლობიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ აჭარის რესპუბლიკურ ბიუჯეტში ირიცხებოდეს ასევე სხვა სახელმწიფო გადასახადებიდან ანარიცხები, კერძოდ: მოგების და დამატებული ღირებულების გადასახადებიდან. გადასახადების განაწილების ასეთი სისტემა მნიშვნელოვნად გაზრდის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო დამოუკიდებლობის ხარისხს, რაც მდგრადი ეკონომიკური განვითარების წინაპირობაა.

კიდევ უფრო განსხვავებული მდგომარეობაა სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადების მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში განაწილების მიმართულებით:

გადასახადების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტებს შორის განაწილების წესი

2017-2020 წლისათვის (%-ში)

| გადასახადები | 2017 წ | 2018 წ | 2019 წ | 2020 წ | შენიშვნა |
|--------------|--------|--------|--------|--------|---|
| საშემოსავლო | 0 | 0 | 0 | 0 | |
| მოგება | 0 | 0 | 0 | 0 | |
| დღგ | 0 | 0 | 19 | 19 | ქვეყანაში დღგ-ის კუთხით აკრეფილი თანხის 19 % ნაწილდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტებში |
| აქციზი | 0 | 0 | 0 | 0 | |
| იმპორტი | 0 | 0 | 0 | 0 | |
| ქონება | 100 | 100 | 100 | 100 | |

წყარო: საქართველოს ასაბიუჯეტო კოდექსი

როგორც წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადების მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებს შორის განაწილების წესი დასახვეწია. მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში ირიცხება 100 %-ით მხოლოდ მათ ტერიტორიაზე საწარმო-დაწესებულებების მიერ გადახდილი ქონების გადასახადი, აქვე აღსანიშნავია, რომ 2019 წლიდან ცვლილება შევიდა გადასახადების განაწილების წესში და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში გათანაბრებითი ტრანსფერის ნაცვლად ფინანსთა მინისტრის ბრძანების შესაბამისად 2019-2023 წლებში ჩაირიცხება ქვეყნის მასშტაბით აკრეფილი დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) 19% პროპორციულად, მუნიციპალიტეტების სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური მონაცემების გათვალისწინებით. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 71-ე და 114-ე მუხლების შესაბამისად თითოეული მუნიციპალიტეტის მიერ მისაღები დამატებული ღირებულების გადასახადიდან პროცენტული მაჩვენებლები დგინდება სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებისას.

დამატებული ღირებულების გადასახადის პროცენტული განაწილების სტრუქტურა

2019-2020 წწ.

| მუნიციპალიტეტები | მისაღები დღგ %-ში | მისაღები დღგ %-ში | შენიშვნა |
|------------------|-------------------|-------------------|------------------|
| | (2019 წელი) | (2020 წ) | ზრდა + კლება- |
| ბათუმი | 5.07 | 4.69 | -0.38 |
| ქობულეთი | 0.98 | 1.13 | 0.17 |
| ხელვაჩაური | 0.68 | 0.78 | 0.1 |
| ქედა | 0.65 | 0.74 | 0.09 |
| შუახევი | 0.03 | 0.03 | -- |
| ხულო | 0.23 | 0.26 | 0.03 |

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

აღნიშნული სისტემით მუნიციპალიტეტების შემოსავალი გაიზარდა მხოლოდ ქვეყნის მასშტაბით მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) გაზრდის შემთხვევაში და ამ გადასახადიდან ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლის ზრდა არ არის დამოკიდებული მუნიციპალიტეტების ეკონომიკური აქტივობის ზრდაზე. გადასახადების ასეთი განაწილება კიდევ ერთხელ აკნინებს მუნიციპალიტეტების დამოუკიდებლობის ხარისხს და მუნიციპალიტეტებს მუდმივად ცენტრზე დამოკიდებულს ხდის.

ამასთან, რეგიონალური ეკონომიკური განვითარებაში მცირე და საშუალო ბიზნესის მნიშვნელობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დღეს არსებული საგადასახადო დაბეგვრის პრინციპებით, მნიშვნელოვნად გაიზარდოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბერკეტები რეგიონში არსებული მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისების მიმართულებით, რაც უნდა გამოიხატოს რეგიონის დონეზე მცირე და საშუალო ბიზნესის ფუნქციონირების ხელშემწყობი პოლიტიკის შემუშავებაში. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ მოხდეს ინიცირება და წარედგინოს წინადადება ცენტრალურ ხელისუფლებას, დაბეგვრის განსხვავებული რეჟიმი რეგიონში მოქმედი მცირე მეწარმეებისთვის, კერძოდ, დღგ-

ით დაბეგვრის ზედა ზღვრის აწევა 200 000 ლარამდე (დღეს მოქმედი კანონმდებლობით დღე-ით დაბეგვრის ზედა ზღვარია 100 000 ლარი), მცირე ბიზნესით დაკავებული პირებისათვის საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი ზედა ზღვარი აიწიოს 700 000 ლარამდე (დღეს მოქმედი ზღვარია 500 000 ლარი), ხოლო მიკრო ბიზნესით დაკავებული პირებისათვის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ზღვარი აიწიოს 50 000 ლარამდე (დღეს მოქმედი კანონმდებლობით ზღვარია 30 000 ლარი). აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიმართ მცირე ბიზნესის დაბეგვრის ასეთი მიდგომა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს აღნიშნულ ბიზნესში დასაქმებული პირების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, შეამცირებს ჩრდილოვანი (აღურიცხავი) ეკონომიკის მაჩვენებელს.

მუნიციპალიტეტებში ეკონომიკური გავითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპიორბად ინვესტიციების შემოდინებას მივიჩნევთ. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მონაცემების მიხედვით აჭარის რეგიონში 2015-2020 წლებში მოზიდული ინვესტიციების 70% მოდის ქალაქ ბათუმზე, ქობულეთის მუნიციპალიტეტზე საშუალოდ 12%, შუახევის მუნიციპალიტეტზე - 7%, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტზე - 6%, ხულოს მუნიციპალიტეტზე - 4 %, ხოლო ქედის მუნიციპალიტეტზე -1 %. ინვესტიციები ძირითადად თურქეთიდან, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ხორციელდება. ინვესტიციები განხორციელდა სოფლის მეურნეობის, სასტუმროს, კავშირგაბმულობის, დამამუშავებელი მრეწველობის, უძრავი ქონების, საფინანსო და სხვა სფეროებში. იმავე სამინისტროს მონაცემებით აჭარის რეგიონის საწარმოთა 70 % ბათუმის მუნიციპალიტეტშია რეგისტრირებული, 15 % ხელვაჩაურის, 10 % ქობულეთის მუნიციპალიტეტში, 3 % ხულოს და 2 % კი ქედის მუნიციპალიტეტში. აქვე აღსანიშნავია ის, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებული საწარმოთა დაახლოებით 85 % მცირე საწარმოა. მცირე საწარმოების აბსოლუტური უმრავლესობა განთავსებულია შუახევის, ქედის და ხულოს მუნიციპალიტეტებში. ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში 2020 წელს, 2014 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა საწარმოთა რაოდენობა. მცირე ზრდა ფიქსირდება ამ მიმართულებით შუახევის, ქედის და ხულოს მუნიციპალიტეტებში.

მცირე და საშუალო მეწარმეთა დახმარების მიზნით აჭარის რეგიონში მოქმედებს სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“, ასევე მოქმედებს სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს სხვადასხვა პროგრამები. აჭარის რეგიონის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ტურიზმის ინდუსტრიას უჭირავს. აღნიშნული სექტორის წილი რეგიონის მთლიანი დამატებული ღირებულების 10-დან 20 %-მდე მერყეობს. ტურიზმის სექტორის განვითარება გამოწვეულია აჭარის რეგიონის კარგი სტრატეგიული და ზღვისპირა მდებარეობით. ამ კუთხით გამორჩეულია ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტები. ტურისტულ სექტორს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ბიზნესის განვითარებისათვის.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების მერიებში შექმნილია შესაბამისი ეკონომიკური პროფილის სამსახურები, რომელთა მოვალეობა ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და მცირე და საშუალო ბიზნესის საქმიანობის ხელშეწყობაა. **ბათუმის** მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალური ქონებისა და სერვისების სამსახური, მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური, ასევე ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური. აღნიშნული სამსახურები მერიის და სამსახურის დებულებისა და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ახდენენ ადგილობრივი ეკონომიკური და საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას. **ქობულეთის** მუნიციპალიტეტის მერიაში ფუნქციონირებს ეკონომიკის, ქონების მართვის, ტურიზმისა და საინვესტიციო განვითარების სამსახური. აღნიშნული სამსახურის ძირითად მიზანს შეადგენს ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც საინვესტიციო მდგომარეობის გაუმჯობესებაში და მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობაში გამოიხატება. **ხელვაჩაურის** მუნიციპალიტეტის მერიაში ფუნქციონირებს ბუნებრივი რესურსებისა და აგრარული სამსახური, რომელიც ადგილობრივი სამეწარმეო გარემოს და საერთო საინვესტიციო მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავებს შესაბამის წინადადებებს. **ხულოს** მუნიციპალიტეტის მერიაში ფუნქციონირებს ეკონომიკის სამსახური, სამსახურის დებულების მიხედვით ისინი ახდენენ ადგილობრივი ეკონომიკური გარემოს

გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში ფუნქციონირებს ეკონომიკური განვითარების სამსახური, რომელთა ძირითადი ფუნქცია-მოვალეობაა ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება თავისი კომპეტენციის ფარგლებში. შუახევის მუნიციპალიტეტის მერიაში ფუნქციონირებს ეკონომიკის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახური, აღნიშნული სამსახურის ფუნქცია ანალოგიურია ზემოაღნიშნული მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურების ფუნქციისა. ხელვაჩაურის, შუახევის, ხულოს და ქედის მუნიციპალიტეტები მწირი საბიუჯეტო შემოსავლებით მაქსიმალურად ცდილობენ მოახდინონ მუნიციპალური ეკონომიკის მდგრადი განვითარება და ადგილობრივი ბიზნესს გარემოს გაუმჯობესება, ხშირად ისინი ვერ აღწევენ დასახულ მიზანს. საკუთარი საბიუჯეტო შემოსავლების ქრონიკული დეფიციტია სწორედ მიზეზი, იმისა, რომ აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში მნიშვნელოვნადაა გაზრდილი იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფებიან და სახელმწიფოს ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი საბიუჯეტო რესურსის მიმართვა უწევს. მნიშვნელოვნადაა ამ კუთხით შესაცვლელი რეგიონული და მუნიციპალური პოლიტიკა, რათა ამ მოქალაქეებს მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმების შემდეგ გაუჩნდეთ საკუთარი შემოსავალი და არ იყვნენ მუდმივად სახელმწიფო დახმარებაზე დამოკიდებულნი.

მუნიციპალური ეკონომიკის, და ბიზნესის განვითარებისათვის, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობად, მიგვაჩნია რეგიონული სტრატეგიის შემუშავება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- ა) ადგილობრივი საექსპორტო პროდუქციის ხელშეწყობა;
- ბ) საინვესტიციო და ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესება;
- გ) საბანკო სესხებზე ხელმისაწვდომობის ზრდა;
- დ) მცირე და საშუალო ბიზნესში დაკავებული პირების სისტემატური გადამზადება;
- ე) მცირე და საშუალო ბიზნესის სისტემატური იურიდიული, საგადასახადო და ანალიტიკური მომსახურება;

ვ) რეგიონში მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ გამოშვებული პროდუქციის პოპულარიზაცია, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ;

ზ) რეგიონთან დამეგობრებული ქალაქების ბიზნესთან კოორდინირების გაზრდა, მათი გამოცდილების გაზიარების მიზნით;

თ) რეგიონის ბიზნესის სექტორის ინვესტირების გაზრდის მიზნით, სპეციალური „ადგილობრივი საინვესტიციო მხარდამჭერი პროგრამების“ შემუშავება. პროგრამების შემუშავებაში აქტიურად უნდა იყოს ჩართული რეგიონთან დამეგობრებული უცხოეთის ქალაქების შესაბამისი მუნიციპალიტეტები;

ი) მცირე და საშუალო ბიზნესის სტრატეგიის შემუშავებისას მაქსიმალურად იქნას გამოყენებული რეგიონში არსებული მდიდარი სამეცნიერო-პრაქტიკული გამოცდილება. სტრატეგიის შემუშავების პროცესში მონაწილეობა მიიღონ აღნიშნული სფეროს წარმომადგენლებმა;

კ) მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობის დადგენის მიზნით წლების მიხედვით განისაზღვროს შეფასების შემდეგი კრიტერიუმები:

კ.ა) აღნიშნული სფეროს მიერ წარმოებული პროდუქციის საერთო მოცულობა;

კ.ბ) რეგიონს გარეთ გატანილი პროდუქციის საერთო მოცულობა;

კ.გ) აღნიშნულ სფეროში დასაქმებულ პირთა რეალური ხელფასის ოდენობა;

კ.დ) აღნიშნულ სფეროში წლების მიხედვით მობილიზებული სამამულო და უცხოური ინვესტიციების მოცულობა;

კ.ე) უმუშევრობის საერთო დონის მაჩვენებელი;

კ.ვ) ქონების კაპიტალიზების მაჩვენებელი;

კ.ზ) მცირე და საშუალო ბიზნესის ინვესტირების საპროგნოზო მაჩვენებელი;

კ.თ) წარმოებული პროდუქციის სარეალიზაციო ფასის დინამიკის მაჩვენებელი;

კ.ი) რეგიონის მოსახლეობის კმაყოფილების მაჩვენებელი;

კ.კ) რეგიონის ჩრდილოვანი ეკონომიკის დონის მაჩვენებლის დინამიკა;

კ.ლ) უმუშევრობის დონის შემცირების დინამიკა რეგიონში;

კ.მ) რეგიონში სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოქალაქეების რაოდენობის ცვლილების დინამიკა;

კ.ნ) ერთ სულ მოსახლეზე საბიუჯეტო შემოსავლების ცვლილების დინამიკა;

კ.ო) რეგიონის სოციალურად დაუცველ პირებზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული თანხების ცვლილების დინამიკა;

კ.პ) მცირე და საშუალო ბიზნესში მოზიდული თანხების წილობრივი მაჩვენებელი საერთო კაპიტალთან მიმართებაში.

კოვიდ 19-ით გამოწვეული პანდემიის ფონზე, სხვადასხვა ეკონომიკური მაჩვენებლების გათვალისწინებით, ცხადი გახდა მუნიციპალიტეტებში ეკონომიკური სტრუქტურის ტრანსფორმაციის აუცილებლობა. ამასთან, ის ამ ეტაპზე ბუნებრივი ცვლილება გახლავთ, რომელიც ნებისმიერ ცოცხალ ორგანიზმს ახასიათებს ახალ გარემო პირობებში მოხვედრის დროს. დიდია ამ გამოწვევის შესაძლებლობად ქცევის შანსი, რომელიც რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების საფუძველი გახდება.

1.3 საწარმოო რესურსებისა და ეკონომიკის ტრანსფორმაციული პროცესები

აჭარაში

საქართველოს ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე დღის წესრიგში დადგა ქვეყნის და რეგიონების ეკონომიკის ტრანსფორმაციის აუცილებლობა. ეკონომიკური ტრანსფორმაცია თავის თავში გულისხმობს არსებული ეკონომიკური სისტემების მნიშვნელოვან ცვლილებებს. სიტყვა ტრანსფორმაცია ლათინურიდან ითარგმნება როგორც გარდაქმნა, სახეცვლილება, ანუ ტრანსფორმაციის დროს ეკონომიკაში ხდება მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები. ტრანსფორმაციას ზოგიერთი მკვლევარი აღწერს, როგორც ძირეულ ცვლილებებს ეკონომიკაში, ზოგიერთ დასაშვებად მიაჩნია ეკონომიკის მხოლოდ გარკვეული ძველი დარგების ცვლილება ახლით.

ცნობილი ეკონომისტის ი.შუმპეტერის აზრით, ეკონომიკის ტრანსფორმაცია მოითხოვს ახალი მეთოდოლოგიური ბაზის შემუშავებას ახალი რეალობის

გათვალისწინებით, ტრანსფორმაციის დროს ხდება მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდა, მაგრამ არ გამოირიცხება ასევე ეკონომიკური კრიზისებიც[137].

ცნობილი მეცნიერი **ე.ტოფლერის აზრით**, ტრანსფორმაცია ეს არის მნიშვნელოვანი ცვლილება ეკონომიკის განვითარების მიმართულებით, როდესაც სიღრმისეულად იცვლება არსებული ეკონომიკური სისტემა [140].

პ.პ. ევანსი ამტკიცებს, რომ ტრანსფორმაცია თავის თავში გულისხმობს პოლიტიკური რეჟიმის, საკუთრების ფორმის და მექანიზმების კოორდინაციის ცვლილებებს [118]

მეცნიერ-მკვლევარების მიერ ეკონომიკის ტრანსფორმაციის განმარტებიდან იკვეთება, რომ მისი განხორციელება მოითხოვს მნიშვნელოვან ინსტიტუციურ რეფორმებს და სახელმწიფოს მხრიდან შესაბამის რეგულირებას. გამომდინარე იქიდან, რომ ეკონომიკის ტრანსფორმაცია მოითხოვს არსებული საკანონმდებლო ბაზის განახლებას, კიდევ უფრო იკვეთება ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლებების როლი და დანიშნულება ამ მიმართულებით. ტრანსფორმაციის პროცესში მნიშვნელოვნად მოთხოვნილი ხდება ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის დანერგვა. ამ შემთხვევაში სახელმწიფომ მხარი უნდა დაუჭიროს ასეთი ეკონომიკის დანერგვით დაკავებულ პირებს. ცნობილი ეკონომისტი **ი. შუმპეტერი** ამ შემთხვევაში მნიშვნელოვან ფუნქციას აკისრებს ბიზნესით დაკავებული პირებს. როგორც ის აღნიშნავს, „მეწარმეობა ეს არის ხელოვნება, რომელიც ორიენტირებულია მოგების მიღებაზე. მეწარმე ეს არის ინოვაციების ნამდვილი და მთავარი მომხმარებელი“.

ეკონომიკის ტრანსფორმაციის აუცილებლობა უფრო აქტიური განხილვის საგანი გახდა პანდემიის პირობებში, რადგანაც სწრაფად უნდა მოხდეს არსებული ეკონომიკური სისტემის ცვლილება და პრაქტიკაში უნდა დაინერგოს ეკონომიკის ზრდაზე ორიენტირებული მიდგომები. ეკონომიკის ტრანსფორმაციის შედეგად უნდა გაუმჯობესდეს რეგიონის როგორც ეკონომიკური მიმართულება, რომელიც თავის თავში მოიცავს მომგებიანი ბიზნეს სუბიექტების დაფუძნებას, ინოვაციების დანერგვას, საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებას, ასევე სოციალური მიმართულებაც, რაც გულისხმობს საშუალო კლასის ფორმირებას რეგიონში,

დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებას, უმუშევრობის დონის შემცირებას და სხვა. აღნიშნულიდან გამომდინარე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აჭარის რეგიონში ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესის დაჩქარებას.

მიმზიდველი გარემოს შექმნისას მაქსიმალურად უნდა იქნას გათვალისწინებული ტრადიციული დარგების განვითარების აუცილებლობა, ამასთანავე დაცული უნდა იყოს ქვეყნის შეგნით მცხოვრები მოქალაქეების უფლებები, რათა მათ შეძლონ კონკურენტულ გარემოში საქონლისა და მომსახურების შესყიდვა, ასევე დაცული იქნას მისაწოდებელი საქონლისა და მომსახურების მრავალფეროვნება, რათა მოქალაქეს მიეცეს ფართო არჩევანის საშუალება და რაც ბაზარზე კონკურენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია.

გეგმიურ-ბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ დღის წესრიგში დააყენა თანამედროვე ბაზარზე და მოთხოვნებზე მორგებული საკანონმდებლო ბაზის არსებობა. ობიექტურობისათვის საჭიროა აღინიშნოს, რომ საქართველოს არ ჰქონდა გამოცდილება თავისუფალ ბიზნეს გარემოში ეკონომიკის ფუნქციონირებისა, ამიტომ აუცილებლობას წარმოადგენდა, დასავლეთის განვითარებული ქვეყნების და აშშ-ის გამოცდილების გაზიარება, სახელმწიფოსა და ბიზნეს შორის ისეთი თამაშის წესების შემოღებისას, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფდა ჯანსაღი გარემოს შექმნას და მოქალაქეების წინაშე მდგარი მზარდი სოციალური მოთხოვნილებების ეფექტურად და სამართლიანად გადაწყვეტას.

სახელმწიფომ მიღებული კანონებით მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი სამართლიანი თამაშის წესების შექმნას, რათა ბაზარზე არ მოხდეს მონოპოლიური ჯგუფების ჩამოყალიბება. სწორედ ეს მონოპოლიური ჯგუფები წარმოადგენს ძირითად ხელისშემშლელ ფაქტორ ბიზნესის განვითარების მიმართულებით, რაც მთლიანობაში აისახება ხელოვნურად, არაბუნებრივად გაძვირებული საქონლისა და მომსახურების ფასებში, მთლიანობაში კი ზარალდება მოქალაქე, განსაკუთრებით ისინი, რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული ყოველთვიური შემოსავალი (პენსიონრები, სოციალურად დაუცველნი, საბიუჯეტო სექტორში დასაქმებული

პირები და სხვა). მთლიანობაში კი საფრთხე ემუქრება ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას.

ჯანსაღი ბიზნეს-გარემოს შექმნისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს, მცირე და საშუალო ბიზნესის ჩამოყალიბებაზე და მათ ხელშემწყობ რეგულაციებზე, სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი კანონმდებლობის ნაკლებობას განიცდის საქართველო, ეს გამოიხატება ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე მიღებული გაუმართავი კანონებით, ისეთებით როგორცაა: საქართველოს საგადასახადო კოდექსი, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი. ამ მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაზიარებულ იქნას ევროპის განვითარებული ქვეყნების გამოცდილება. ევროპის ბაზრებზე წარმოებული პროდუქციის 75-80 %-ზე მეტი მოდის მცირე და საშუალო ბიზნესზე, ხოლო 20-25 % კი მსხვილ ბიზნესზე, მაშინ როცა საქართველოში მდგომარეობა პირიქითაა, მსხვილ ბიზნესზე მოდის ეკონომიკაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების 75-80 %, ხოლო მცირე და საშუალო ბიზნესის წილი მხოლოდ 20-25 %-ს შეადგენს. რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნით აუცილებელია მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობა და ისეთი რეფორმების გატარება, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონის სამეწარმეო საქმიანობის გაუმჯობესებას და საინვესტიციო კლიმატის გაჯანსაღებას.

მეწარმეობის მეცნიერული გაგების პროცესი ჯერ კიდევ მე -18 საუკუნიდან იწყება, ინგლისელმა ეკონომისტმა **რ. კანტილონმა** (1680-1734) პირველმა შემოიტანა სამეცნიერო მიმოქცევაში „მეწარმის“ კონცეფცია (ფრანგულად „შუამავალი“), რომელმაც ყურადღება გაამახვილა მოთხოვნასა და მიწოდებას შორის ბაზრის დისბალანსზე, რომელიც საშუალებას აძლევს ინდივიდებს მიიღონ სპეკულაციური შემოსავალი. მისი აზრით, სიმდიდრის წყარო არის მიწა და შრომა, რომლებიც განსაზღვრავენ ეკონომიკური საქონლის რეალურ ღირებულებას.

რ. კანტილონს ესმოდა „მეწარმე, როგორც ადამიანი, რომელიც მოქმედებს საკუთარი რისკით, განსხვავებით მუშაკის ან თანამშრომლისა, რომელიც იღებს სტაბილურ შემოსავალს. ის არ გამორიცხავდა მეწარმის წარმოების სფეროში ჩართვის შესაძლებლობას, მაგრამ ვაჭრობას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა და

აღნიშნა, რომ საქონლის დაბალ ფასად შეძენით, მეწარმე მას უფრო მაღალ ფასად ყიდის, რაც ბაზრის ბუნებიდან გამომდინარე ვერ იქნება ფიქსირებული“.

რ. კანტილონის იდეის გაგრძელებით, რომ მეწარმეობის ძირითადი ფუნქციური მახასიათებელი რისკია, ფრანგმა ეკონომისტმა **ჟან ბოდომ** აღნიშნა, რომ მეწარმისთვის ხელმისაწვდომი ცოდნის გამოყენებაა საჭირო, რომ განისაზღვროს განხორციელებული საქმიანობის განვითარება, რადგან ეს მეწარმეა, რომელიც გეგმავს, აკონტროლებს, ორგანიზებას უწევს საწარმოს, არის მფლობელი და როგორც კაპიტალის მმართველი, პასუხისმგებელია მცდარი გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევაში.

კიდევ ერთმა ცნობილმა ფრანგმა ეკონომისტმა **ჟ.ბ. სეიმ** პირველმა მიიპყრო ყურადღება წარმოების სამი კლასიკური ფაქტორის (მიწა, კაპიტალი, შრომა) გაერთიანების აუცილებლობაზე სამეწარმეო საქმიანობაში მაღალი შედეგების მისაღწევად [138]. საჭიროა აღინიშნოს, რომ ჟან ბატისტ სეი, რ. კანტილონისგან განსხვავებით, უპირატესობას ანიჭებს წარმოებას და ეთანხმება ჯ. ბაუდოს მტკიცებას, რომ გაკოტრების რისკების შესამცირებლად მეწარმეობას უნდა ჰქონდეს ინოვაციური ხასიათი.

ეკონომიკური წინსვლისთვის მეწარმეობის გადამწყვეტი მნიშვნელობა აღიარებულია XIX-ის ბოლოს და XX-ე საუკუნის დასაწყისში, როდესაც **ა. მარშალმა** გაიზიარა ჟ. ბ. სეის მოსაზრება და წარმოების სამ კლასიკურ ფაქტორს, მეოთხე-- ორგანიზაცია დაამატა, რადგან, მისი აზრით, მეწარმეობა არის მაღალკვალიფიციური შრომა, საწარმოს ყოველდღიური მართვისთვის [132].

ჟ.ბ. სეი-ის სამეულის ფორმულა ასევე შეცვალა ამერიკელმა ეკონომისტმა **დ.ბ. კლარკმა**, რომლის აზრით, წარმოების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ოთხ ფაქტორს: კაპიტალი, კაპიტალური საქონელი (წარმოების საშუალებები და მიწა), მეწარმის საქმიანობა, მშრომელთა შრომა. თითოეულ ამ ფაქტორს მიეკუთვნება წარმოების შემოსავლის წილი: კაპიტალს მოაქვს პროცენტი, კაპიტალური საქონელის-ქირა, სამეწარმეო საქმიანობას-მოგება, მშრომელთა შრომას--ხელფასები.

დ.ბ. კლარკმა, ჩვენი აზრით, შემოგვთავაზა მეწარმის, როგორც ინოვატორის, ყველაზე შესაფერისი განსაზღვრება: ინდივიდი, რომელიც ავითარებს ახალ

ტექნოლოგიებს, შემოაქვს ახალი გამოგონება ახალი პროდუქტის წარმოებისთვის ან ძველის გასაუმჯობესებლად ახალი წარმოების მეთოდების გამოყენებით და გადის გაყიდვების ახალ ბაზრებზე.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ მეწარმეობის განვითარების თეორიაში თანაბრად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ინგლისელმა ეკონომისტმა **ა. სმიტმა**, რომელმაც აღნიშნა, რომ სამეწარმეო საქმიანობას საზოგადოებისთვის სასარგებლოდ აქცევს მეწარმის სარგებელი წარმოებისა და კონკურენციისგან, რაც აიძულებს მას დაიცვას ფიქსირებული ნორმები, რომლებიც საზოგადოების ინტერესებში შედის [139].

მეწარმეობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კონცეფციის ავტორია **ჯ. შუმპეტერი**, რომელიც კვლევის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ სამეწარმეო საქმიანობა წარმოადგენს რესურსების ახალი კომბინაციების (ბუნებრივი, მატერიალური, ტექნიკური, შრომითი, ინტელექტუალური) განხორციელების ფუნქციას, ხოლო მეწარმე, ამ ფუნქციის მატარებელია. **ჯ. შუმპეტერი** არ ეთანხმებოდა **ჟ.ბ. სეის**, რომლის მიხედვითაც მეწარმეობის ფუნქციაა წარმოების ფაქტორების შერწყმა და გაერთიანება. **ჯ. შუმპეტერი** აღნიშნავს, რომ ეს ფუნქცია ასევე ხორციელდება ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო საქმიანობის ჩარჩოებში და ის მხოლოდ მაშინ ხდება სამეწარმეო, როდესაც კომბინაციები პირველად ხორციელდება.

ჯ. შუმპეტერი პირველად საუბრობს სამეწარმეო საქმიანობის ინოვაციურ ფორმაზე, ხაზს უსვამს მეწარმეობის შემდეგ მახასიათებლებს:

1. მომხმარებლისთვის უცხო, ახალი მატერიალური სიკეთის შექმნა;
2. წარმოების ახალი მეთოდის დანერგვა;
3. ახალი გაყიდვების ბაზრების დაპყრობა;
4. ახალი ტიპის რესურსების გამოყენება;
5. ბიზნეს ორგანიზაციის ახალი ფორმების დანერგვა [137].

მიუხედავად იმისა, რომ **ჯ. შუმპეტერმა** შეძლო განეხილა სამეწარმეო შესაძლებლობები, როგორც ეკონომიკური საქმიანობის სპეციალური კონკრეტული რესურსი, მის თეორიაში საკმარისი ყურადღება არ ექცეოდა სამეწარმეო საქმიანობის გარემოს, ბაზრის ინსტიტუციონალურ სტრუქტურას.

სამეცნიერო კვლევის ახალი ეტაპი ასოცირდება თავად მეწარმის, როგორც მრავალი თვისების მფლობელის, ანალიზთან (ლ. მიზესი, ფ. ჰაიეკი და სხვები).

ეკონომისტმა **ლ.მიზესმა**, მეწარმეობის თეორიის შემუშავებისას, გაითვალისწინა, უპირველეს ყოვლისა, ადამიანების შესაძლებლობა შექმნან და აღიარონ სუბიექტური შესაძლებლობები, რომლებიც წარმოიქმნება მათ გარემოში და მოქმედებენ ისე, რომ გააცნობიერონ ეს შესაძლებლობები და შეავსონ ხარვეზები [133]. ლ. მიზესი კრიტიკულად უყურებდა იმ აზრს, რომ მეწარმეობა უნდა გვესმოდეს, როგორც წარმოების მენეჯერული ფაქტორი, რომლის ყიდვა და გაყიდვა შესაძლებელია ბაზარზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე. მას სჯეროდა, რომ მეწარმეს არ სჭირდება საგანმანათლებლო დაწესებულების დიპლომი, რადგან მეწარმე ვერ იქნება მომზადებული, ადამიანი იბადება ან ხდება მეწარმე, შესაძლებლობების გამოყენებით და ხარვეზების შევსებით.

ცნობილია, რომ ეკონომისტი **ფ. ჰაიეკი** იყო ლიბერალური ცნებების ყველაზე აქტიური მხარდამჭერი, ვინც გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა ბაზრის მექანიზმებს და გააკრიტიკა სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური საქმიანობის „ხელოვნური“ რეგულირება. ფ. ჰაიეკის თეორია იქიდან მოდის, რომ მეწარმეობა ქცევის დახასიათებაა და არა რაიმეს სახის საქმიანობა, ნებისმიერი ინდივიდი, რომლის ქცევა განსხვავდება ძიების სტილით, არის პოტენციური მეწარმე. პიროვნული თავისუფლება, უხილავი ხელის მოქმედებასთან და კონკურენციასთან ერთად, უზრუნველყოფს საზოგადოებაში საძიებო საქმიანობის ინტენსივობას, რესურსების ეფექტურად განაწილებას და ინდივიდუალური შესაძლებლობების რეალიზაციას [128].

საქართველოში ტერმინი „მეწარმეობა“ შედარებით გვიან შემოვიდა. მე-19 საუკუნის ორმოცდაათიან წლებში საქართველოში გამოჩნდნენ ქართველი მეწარმე-მრეწველები, ისეთები როგორებიც იყვნენ: ძმები ზუბალაშვილები, დავით სარაჯიშვილი, ნიკო ნიკოლაძე, მენტეშეველები და სხვა. აღნიშნულმა პიროვნებებმა, მას შმდეგ რაც მათ მიიღეს უცხოური გამოცდილება, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს იმდროინდელი საქართველოს მეწარმეობის განვითარების საქმეში. მეწარმეობის

დარგის განვითარების ნაკლებობა გამოწვეული იყო ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის გვიანი განვითარებით დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით.

ცნობილია, რომ სამეწარმეო საქმიანობა უპირველეს როლს ასრულებს საწარმოს დაფუძნებაში და შესაბამისად მეწარმეობის შესწავლისას გამოიყენება ისეთი მაჩვენებელი, როგორცაა „ადრეული სამეწარმეო საქმიანობის ინდექსი“, რაც 18-დან 64 წლამდე მოსახლეობის ეკონომიკურად აქტიურ ნაწილს გულისხმობს, რომელიც ბიზნესის გაფართოების ან წამოწყების პროცესშია [122]. მაღალი სამეწარმეო საქმიანობა საჭიროა არა მხოლოდ საწარმოს განვითარების საწყის ეტაპზე, არამედ საწარმოს ახალი წარმოებისკენ გადამისამართების, ახალი იდეების დანერგვის ან სტრატეგიის შეცვლის დროს [126].

ამერიკელი მეცნიერების მრავალი ნაშრომი ეძღვნება მცირე ბიზნესის შესწავლას. მაგალითად, პ. ჰოუკენი განსაზღვრავს მცირე ბიზნესს, როგორც ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ მთავარ სტაბილიზაციის ელემენტს, გარემოში ადაპტაციისა და კრიზისული მოვლენების დაძლევის, მოქნილობის სინონიმს.

სხვა ამერიკელი მკვლევარები დ. რეჩმანი და მ. მესკონი მიიჩნევენ მცირე საწარმოს, როგორც ფირმას, რომელიც არ იკავებს დომინანტურ პოზიციას თავის ინდუსტრიაში და აკმაყოფილებს გარკვეულ კრიტერიუმებს დასაქმებულთა რაოდენობის და წარმოების მოცულობის გაყიდვების თვალსაზრისით, რომელსაც მართავს დამოუკიდებელი მფლობელი.

დ. რეჩმანისა და მ. მესკონის მიერ ხაზგასმული კრიტერიუმების გარდა, რომლებსაც მცირე ზომის კატეგორიის საწარმოები უნდა აკმაყოფილებდეს, სხვები ამახვილებენ ყურადღებას ამ საწარმოების ისეთ ინტეგრალურ ელემენტებზე, როგორცაა რისკი, პასუხისმგებლობა, მენეჯმენტისა და წარმოების მოქნილობა, რომელთა არსებობა არის უმაღლესი შემოსავლის მიღების მექანიზმი.

მცირე ბიზნესის განვითარების შესაძლებლობა საქართველოში ასოცირდება სსრკ-ს 1986 წლის 19 ნოემბრის კანონით „ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ“ მიღებასთან ასევე სსრკ-ს 1988 წლის 26 მაისის No 8998 კანონით-- „კორპორაციების შესახებ“.

არც თუ ისე დიდი ხნის წინ საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის დეფინიციისთვის საგადასახადო კოდექსი (2010 წ) და კანონი საინვესტიციო სააგენტოს შესახებ (2002 წ) გამოიყენებოდა, ამასთან ხშირ შემთხვევაში ეს დეფინიციები სხვადასხვა იყო, სწორედ ამიტომ 2017 წელს ეროვნული სტატისტიკის სამსახურმა დაადგინა ბიზნესის რეგისტრირების ახალი მეთოდოლოგია, სადაც საწარმოების ზომის მიხედვით დაიყო სამ კატეგორიად, მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმო.

ცხრილი № 6.

საქართველოში საწარმოების დაყოფა ზომის მიხედვით

| კატეგორია | დასაქმებულთა რაოდენობა | ბრუნვა (ლარი) |
|-----------|------------------------|---------------|
| მცირე | <50 | 12 |
| საშუალო | < 250 | 60 000 000 |
| მსხვილი | >250 | >60 000 000 |

წყარო : საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს მთავრობა მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტებში აღნიშნავს, საშუალოა საწარმო, რომელშიც წლიურად დასაქმებულია რაოდენობა მერყეობს 20-დან 100 დასაქმებულამდე და რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 1,5 მლნ. ლარს. მცირეა საწარმო, რომელშიც წლიურად დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 20-მდე დასაქმებულს და რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 500 000 ლარს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი (მოქმედი 2014 წლის იანვრიდან) განსაზღვრავს მცირე ბიზნესის განსხვავებულ კრიტერიუმებს და აგრეთვე, განმარტავს მიკრო ბიზნესის კრიტერიუმებს. აღნიშნული განმარტებები გამოიყენება მხოლოდ საგადასახადო მიზნებისთვის და შემოდებულ იქნა მცირე და მიკრო ბიზნესისთვის სპეციალური (პრეფერენციული) დაბეგვრის რეჟიმის და საგადასახადო ადმინისტრირების მიზნით. საქართველოს საგადასახადო კოდექსის

თანახმად, მცირე ბიზნესის სტატუსი ენიჭება მეწარმეს (ფიზიკურ პირს), რომლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 100 ათას ლარს. ხოლო, მიკრო ბიზნესის სტატუსი ენიჭება მეწარმეს (ფიზიკურ პირს), რომელიც არ იყენებს დაქირავებულ შრომას, დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და რომლის ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 ათას ლარს. ჩემი აზრით საჭიროა კიდევ უფრო დაიხვეწოს მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირების კატეგორია, განსაკუთრებით აღსანიშნავია მიკრო ბიზნესის მქონე პირთა დაბეგვრის თავისებურებანი. მიკრო ბიზნესის მიერ გამოწერილი დოკუმენტი (ზედნადები, შესყიდვის აქტი) მოქმედი კანონმდებლობით არ ითვლება მომსახურების მიმღებისთვის ხარჯის გაწევის დოკუმენტად და მომსახურების მიმღების მიერ ვერ ხდება ხარჯებში მისი გამოქვითვა, მაშინ როცა ხარჯი ნამდვილად გაწეულია. ასეთი დისკრიმინაციული მიდგომა შესაცვლელია და მიკრო ბიზნესის მიერ გამოწერილი დოკუმენტი უნდა ჩაითვალოს ხარჯის გაწევის დამადასტურებელ დოკუმენტად, რათა მიკრო ბიზნესით დაკავებული პირები ჩაითვალოს სრულფასოვან მეწარმედ.

მაგალითად, აშშ – ში ტერმინი „მცირე ბიზნესი“ ეხება როგორც მცირე, ასევე საშუალო საწარმოებს. ევროპის ქვეყნებსა და იაპონიაში საშუალო ბიზნესის ოფიციალურ განმარტებებში ტერმინი „მცირე და საშუალო ბიზნესი“ გამოიყენება.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წესდება მოიცავს შემდეგ განმარტებებს: საწარმოები, სადაც 19-მდე თანამშრომელია, არის ძალიან მცირე, 20-დან 90-მდე ადამიანი მცირე, 100-დან 499 ადამიანი საშუალო და 500-ზე მეტი ადამიანი - როგორც დიდი.

ევროკავშირში კატეგორია „მცირე და საშუალო ბიზნესი“ მოიცავს სამ ტიპის საწარმოს: მიკრო, მცირე და საშუალო. ამ შემთხვევაში განმსაზღვრელი მახასიათებლებია თანამშრომელთა რაოდენობა, გაყიდვების მოცულობა და წლიური ბალანსი.

საწარმოების დაყოფა ზომის მიხედვით ევროკავშირში

| კატეგორია | დასაქმებულთა რაოდენობა | წლიური ბრუნვა (მლნ €) | მთლიანი აქტივები (მლნ€) |
|-----------|------------------------|-----------------------|-------------------------|
| მიკრო | < 10 | ≤ 2 | ≤ 2 |
| მცირე | < 50 | ≤ 10 | ≤ 10 |
| საშუალო | < 250 | ≤ 50 | ≤ 43 |

წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

მცირე საწარმოები წარმოადგენენ მთავარ მამოძრავებელ ძალას ევროპის ეკონომიკისთვის, 21 მილიონი ამ კატეგორიის საწარმო, 88,8 მილიონ სამუშაო ადგილს ქმნის უძველეს კონტინენტზე. ევროკავშირის ტერიტორიაზე ყოველი 10 საწარმოდან, ცხრა მცირე და საშუალო ბიზნესის კატეგორიას განეკუთვნება და ყოველ 3 დასაქმებულისგან ორი სწორედ ამ საწარმოებშია დასაქმებული.

მცირე და საშუალო ბიზნესი არის განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის ხერხემალი, რომელსაც მნიშვნელოვანი წილი უკავია მშპ-ს სტრუქტურაში და უზრუნველყოფს მოსახლეობის დასაქმებას, რაც შესაძლებლობას იძლევა გადაიჭრას ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პრობლემები ქვეყნებში. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესს სახელმწიფო სხვადასხვა ორგანიზაციული და ფინანსური დახმარებას უწევს, რომლის შედეგია ბიუჯეტის მნიშვნელოვანი შევსება, რაც იწვევს ეკონომიკის ეფექტურ ფუნქციონირებას და მოსახლეობის ცხოვრების მაღალ დონეს.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ტენდენციები და მისი წვლილი ცალკეული ქვეყნების ეროვნულ ეკონომიკაში

| ქვეყანა | წილი საწარმოების საერთო რაოდენობაში % | | წილი საერთო დასაქმებულთა რაოდენობაში % | | წილი მშპ-ს სტრუქტურაში % | | წილი ექსპორტში % | |
|-------------|---------------------------------------|------------|--|-----------|--------------------------|-----------|------------------|-----------|
| | 2002-2006 | 2014-2018 | 2002-2006 | 2014-2018 | 2002-2006 | 2010-2018 | 2002-2006 წწ | 2014-2018 |
| აშშ | 84-87 | 97,5- 98,3 | 42-45 | 58-60 | 42-45 | 50-52 | 30 | 37-40 |
| ევროკავშირი | 86-88 | 97-98 | 55-58 | 70-72 | 50-55 | 65-68 | 51 | 68-70 |

| | | | | | | | | |
|------------|-------|------------|-------|-------|-------|-------|----|-------|
| გერმანია | 87-88 | 98,5- 99,7 | 50-52 | 66-69 | 42-46 | 55-57 | 40 | 50-52 |
| იტალია | 89-90 | 98- 99,8 | 55-58 | 70-73 | 46-50 | 58-60 | 48 | 58-60 |
| საფრანგეთი | 82-85 | 98- 99,6 | 40-45 | 58-60 | 46-50 | 55-57 | 42 | 48-50 |
| შვეიცარია | 84-87 | 96-99 | 45-50 | 58-60 | 45-49 | 54-58 | 43 | 49-52 |
| ჩინეთი | 70-75 | 98-99 | 50-55 | 70-75 | 36-42 | 58-60 | 40 | 65-68 |
| საქართველო | 36-38 | 94-97 | 22-28 | 43-48 | 8-12 | 14-18 | 12 | 50-55 |

წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებგვერდი

ცხრილის გაანალიზების შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის როლი ეროვნულ ეკონომიკებში ძალიან დიდია. სხვადასხვა ქვეყნის შედარებითი სტატისტიკა მიუთითებს, რომ მსოფლიო ბაზარზე მისი საწარმოების ეკონომიკური განვითარების და კონკურენტუნარიანობის მაღალი მაჩვენებლები ამ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პროპორციულია.

მცირე და საშუალო საწარმოების ევროკავშირის ქვეყნებში განვითარება განსაკუთრებით აქტიურად დაიწყო XX საუკუნის 80-იან წლებში. ცოტა მოგვიანებით, ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოში დაიწყო ზომების მიღება ამ ტიპის ბიზნესის განვითარების მიზნით.

ცხრილი №9.

დაფინანსების ხელმისაწვდომობის გაზრდის თვალსაზრისით მცირე და საშუალო ბიზნესისთვის სახელმწიფო დახმარება 2006-2020 წწ.

| სახელმწიფო დახმარება მსს - თვის | სახელმწიფო |
|--|---|
| გარანტია სესხისთვის | ესპანეთი, ნიდერლანდები, სლოვაკეთი, სლოვენია, ავსტრია, დანია, ფინეთი, იტალია, უნგრეთი, გერმანია, შვეიცარია, საფრანგეთი, პოლონეთი, ბელგია, პორტუგალია |
| გარანტიის სპეციალური პირობები სტარტაპებისთვის | დანია, შვეიცარია, ნიდერლანდები, ავსტრია, ჩეხეთი, ესტონეთი, საფრანგეთი |
| სახელმწიფო გარანტიის ზრდა ექსპორტისათვის | დანია, ფინეთი, გერმანია, ნიდერლანდები, შვედეთი, შვეიცარია, ესპანეთი, ესტონეთი |
| სახელმწიფო თანადაფინანსება (საპენსიო ფონდების ჩათვლით) | შვეიცარია, ირლანდია, დანია |
| პირდაპირი დაფინანსების წილის გაზრდა მსს-სთვის | უნგრეთი, სერბეთი, სლოვენია, ესპანეთი |
| სესხების საპროცენტო განაკვეთების სუბსიდირება | უნგრეთი, პორტუგალია, ესპანეთი, თურქეთი |
| საგადასახადო შეღავათები, გადასახადების გადავადება | საფრანგეთი, ირლანდია, იტალია, ესპანეთი, შვეიცარია, შვედეთი, გერმანია |
| სპეციალიზირებული ბანკები მსს-ს დაფინანსებისთვის, დაბალი საპროცენტო განაკვეთი | ირლანდია, დანია, პოლონეთი, ბელგია |

წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებგვერდი

ევროკავშირს აქვს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერისა და რეგულირების ზესახელმწიფოებრივი სისტემა. მისი განხორციელება 1970-იანი წლების დასაწყისში დაიწყო. თავიდანვე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ზოგიერთი ადმინისტრაციული ბარიერის აღმოფხვრის ღონისძიებებმა, მაგალითად: ევროკავშირის წევრ ქვეყნებში დამატებითი ღირებულების გადასახადის ნაწილობრივი ჰარმონიზაცია; დაფინანსების პირობებში ცვლილებების განხორციელება (მცირე ბიზნესისთვის ურთიერთდახმარების საგარანტიო ფონდების ევროპული ასოციაციის შექმნა); სერიოზული ზომები სოციალური პოლიტიკის სფეროში. მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირების ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო ე.წ. „თეთრი წიგნის“ მომზადება და გამოქვეყნება, სადაც მოცემულია ევროპული პოლიტიკის, ტაქტიკისა და სტრატეგიების ანალიზი ამ საწარმოებთან მიმართებაში.

მაღალი ტექნოლოგიების სფეროში, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამების და ინოვაციური პროექტების განხორციელებაში, ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამეცნიერო და ტექნიკური თანამშრომლობის ევროპულ პროგრამას "EUREKA". EUREKA ავსებს ევროპულ ჩარჩო პროგრამებს, ამასთან ევროკავშირს, როგორც პარტნიორს შეუძლია მასში მონაწილეობა.

საწარმოო რესურსების განვითარების და ტრანსფორმაციის მაგალითისთვის განვიხილოთ ევროპული ქვეყანა, რომელიც არ არის ევროკავშირის წევრი-შვეიცარია. შვეიცარია მაღალგანვითარებული პოსტინდუსტრიული ქვეყანაა, ევროკავშირის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პოლიტიკური, სავაჭრო, ეკონომიკური და ფინანსური პარტნიორი. მცირე და საშუალო ბიზნესის წილი შვეიცარიის მშპ – ს სტრუქტურაში 2015 წლისთვის იყო 54–58%. თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ რიგი სტატისტიკური მონაცემები:

ცხრილი №10.

სხვადასხვა ტიპის საწარმოების წილი შვეიცარიის ეკონომიკაში

| საწარმოს ტიპი | საწარმოთა რაოდენობა საერთო რაოდენობაში % | სამუშაო ადგილები საწარმოში, საერთო დასაქმებულებთან მიმართებაში % |
|---------------|--|--|
| მიკრო (0-9) | 68.02 | 24.8 |

| | | |
|------------------|-------|------|
| მცირე (10-49) | 17.56 | 21.8 |
| საშუალო (50-249) | 13.66 | 20 |
| დიდი (250+) | 0.76 | 33.4 |

წყარო : OECD, Entrepreneurship at a Glance

ცხრილი №11.

შვეიცარიაში მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსება 2014-2019 წწ

| მაჩვენებელი | განზო. საჭიერებული | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2019 |
|------------------------|--------------------|---------|---------|---------|---------|---------|
| სესხი ბიზნესისთვის სულ | CHF მლნ | 526 532 | 525 042 | 538 709 | 550 365 | 583 934 |
| სესხი მსს-სთვის | CHF მლნ | 402 346 | 403 681 | 412 005 | 422 065 | 441 332 |

წყარო : OECD, Entrepreneurship at a Glance

ცხრილი №12.

სამთავრობო პროგრამები შვეიცარიაში მცირე და საშუალო ბიზნესის დასახმარებლად

| დასახული ამოცანა | ბენეფიციარი | მიღებული ზომები |
|--|--|--|
| ახალი რეგიონალური პოლიტიკა | დეპრესიულ რეგიონებში რეგისტრირებული კომპანიები | შეღვათები პირდაპირი ფედერალური გადასახადებისათვის |
| კომერციული გარანტია | მცირე და საშუალო კომპანიები, დამწყები ბიზნესები | საბანკო სესხის გარანტიები (მაქსიმალური 500 ათასი CHF ფრანკი) |
| ფინანსური გარანტია მთის რეგიონებისთვის | მცირე და საშუალო კომპანიები, დამწყები ბიზნესები რთულად მიღწევად რეგიონებში | საბანკო სესხის გარანტიები, შეღვათიანი პროცენტები |

| სესხები სასტუმროებისათვის | კომპანიები სასტუმრო მეურნეობის სფეროში | პირდაპირი სესხები, გარანტიები, შეღავათიანი პროცენტები (ნაწილობრივ) |
|--|---|---|
| ინდივიდუალური საქმიანობის წახალისების ზომები | უმუშევარი მოსახლეობა | ერთჯერადი სარგებელი (არაუმეტეს 90 დღე), საბანკო სესხის გარანტიები (180 ათასი შვეიცარული ფრანკი) |
| ინოვაციების განვითარება | მსს, რომელიც ანვითარებს ინოვაციურ პროექტებს | ხარჯების კომპენსაცია გაზრდილი ხელფასები მკვლევარებისთვის |

წყარო : OECD: Economic Surveys SWITZERLAND

მიღებული მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ შვეიცარიაში მცირე და საშუალო ბიზნესისთვის სახელმწიფო მხარდაჭერის ყველა ფინანსური მაჩვენებლის დადებითი ტენდენციაა.

ძირითად ფინანსურ დახმარებას მსს-სთვის ახორციელებენ ბანკები, ასევე არსებობს ალტერნატიული დაფინანსების წყაროები, როგორცაა ვენჩურული ფონდები და იპოთეკური სესხები. შვეიცარიამ შეიმუშავა და მოქმედებს საგადასახადო სამსაფეხურიანი სისტემა: ფედერალური, კანტონები და მუნიციპალიტეტები, რაც ითვალისწინებს სტიმულირების პაკეტს საწარმოებისთვის როგორც ფედერალურ, ასევე კანტონურ (რეგიონალურ) დონეზე. წამყვან როლს კანტონები ასრულებენ, რომლებიც უზრუნველყოფენ საგადასახადო შეღავათებს და განაგებენ უფრო ფართო ინსტრუმენტებს საწარმოების დასახმარებლად. თითქმის ყველა კანტონში (რეგიონში) შეიქმნა განვითარების სააგენტოები, რათა ხელი შეუწყონ მცირე და საშუალო საწარმოებთან დიალოგს ფინანსური და საგადასახადო დახმარების გაწევისას, როდესაც ისინი გადაწყვეტენ საწარმოების განთავსებას კონკრეტულ რეგიონში.

ქვეყანაში საშემოსავლო გადასახადის შემცირებული განაკვეთი ან მისი გადახდისგან სრული გათავისუფლება 10 წლის ვადით, შეღავათიანი დაბეგვრის ინსტრუმენტად მოქმედებს. ამავე დროს, ფედერალურ დონეზე საგადასახადო ტვირთის შემცირების დონე განისაზღვრება კანტონის ხელისუფლების მიერ გაწეული შეღავათების მოცულობით. მცირე და საშუალო საწარმოებს შეუძლიათ იმედი ჰქონდეთ შეღავათიან სესხებზე - პროექტის ღირებულების 2/3 ის ოდენობისთ,

გრანტები R&D -სთვის (კვლევა და განვითარება) და პერსონალის ტრენინგისთვის. საწარმოების მიკროსაფინანსო მხარდაჭერა მოქმედებს შვეიცარიის ტერიტორიაზე, მიკრო სესხები მიეწოდება მცირე და საშუალო ბიზნესს, როგორც კონფედერაციის ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

შვეიცარიის ხელისუფლება მუშაობს ადმინისტრაციული ბარიერების შესამცირებლად. კანტონის ადმინისტრაციებს აქვს სპეციალური განყოფილებები, რომლებიც მხარს უჭერენ ადამიანებს, ვისაც ახალი ბიზნესის წამოწყება სურს. მათ ეძლევათ ინფორმაცია საკანონმდებლო და მარეგულირებელი აქტების შესახებ, უწევენ დახმარებას სხვადასხვა სფეროებთან კავშირების დამყარებისათვის, ფინანსური დახმარების საჭიროების შემთხვევაში, ხდება კონსულტირება და ადმინისტრირება ბანკებთან სამუშაო კონტაქტისას.

ტერიტორიული განვითარების ადმინისტრაცია, რომელიც შვეიცარიის ეკონომიკის სახელმწიფო სამდივნოს შემადგენლობაში შედის, პასუხისმგებელია მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის შესახებ მთავრობის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე.

2019 წელს, 2011 წელთან შედარებით, გაკოტრებული საწარმოების რაოდენობა 21% -ით შემცირდა. ეს დაკვირვება ცხადყოფს, რომ შვეიცარიას აქვს ეფექტური პოლიტიკა მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების და დაფინანსების ხელშესაწყობად. ზემოთ წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები მიუთითებს, რომ შვეიცარიაში კარგი ბიზნეს გარემოა მცირე და საშუალო საწარმოების ზრდისთვის.

წარმოდგენილი მონაცემებიდან ნათლად იკვეთება თუ როგორი სამთავრობო პროგრამები მოქმედებს შვეიცარიაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიზნით. სწორედ ასეთი ეფექტური მიდგომები უზრუნველყოფს მოქალაქეთა დასაქმების მაღალ დონეს და გამოშვებული პროდუქციისა და მომსახურების ხელმისაწვდომობას. მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია წარმოვადგინოთ შვეიცარიის მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობის SWOT ანალიზი.

მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობის SWOT ანალიზი -

შვეიცარიაში

| პლიერი მხარე | სუსტი მხარე |
|---|--|
| <p>1. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, რაც ევროკავშირის ქვეყნებთან ეფექტური თანამშრომლობა საშუალებას იძლევა;</p> <p>2. მოსახლეობის განათლების მაღალი დონე;</p> <p>3. ეფექტური პროგრამები მცირე და საშუალო ბიზნესის საგადასახადო დაბეგვრის მიზნით.;</p> <p>4. მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის მაღალი დონე;</p> <p>5. საბანკო მომსახურების უმაღლესი დონე;</p> <p>6. განვითარებული კოორდინაცია სახელმწიფო, კანტონის (რეგიონის) და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის</p> | <p>1. აქტიური თანამშრომლობის არარსებობა კვლევით ინსტიტუტებსა და მცირე და საშუალო საწარმოებს შორის;</p> |
| <p>შესაძლებლობები</p> <p>1. მცირე და საშუალო ბიზნესის ადმინისტრაციული ბარიერების შემცირება;</p> | <p>საფრთხე</p> |
| <p>2. ევროკავშირის ქვეყნებთან ურთიერთქმედების გაუმჯობესება;</p> | <p>1. ევროკავშირისგან შვეიცარიის გაუცხოებამ და მიგრაციულმა შეზღუდვებმა შეიძლება სერიოზულად დააზიანოს ქვეყნის ეკონომიკა და დააფრთხოს პერსპექტიული უცხოური ინვესტიციები;</p> |

წყარო : ავტორი

ამრიგად, შვეიცარიაში არსებული ვითარების შესწავლის შემდეგ შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

- მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის დაფინანსება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის, პირველ რიგში, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს მიეწოდება, ამას უარყოფითი გავლენა არ ქონია შვეიცარიის სიტუაციაზე. თავის მხრივ, შვეიცარია ამის კომპენსაციას ახდენს ცენტრის და კანტონის, ადგილობრივ ხელისუფლებას შორის ურთიერთქმედების მაღალგანვითარებული სისტემით, აგრეთვე მეწარმეობის განვითარებისათვის უფრო ხელსაყრელი პირობებით და საწარმოს დაბალი საგადასახადო ტვირთით;

- შვეიცარიის მაგალითი არაპირდაპირი გზით ადასტურებს, რომ ევროკავშირის დონეზე მცირე და საშუალო ბიზნესისთვის შემუშავებული დახმარების პროგრამების მიუხედავად, სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე საქმიანობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის საწარმოო რესურსების განვითარებისთვის;

მიგვაჩნია, რომ მსგავსად შვეიცარიისა საქართველოში საწარმოო რესურსების და ეკონომიკის ტრანსფორმაციული პროცესები მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისკენ უნდა იყოს მიმართული, შესაბამისად მიზანშეწონილად მიგვაჩნია გატარდეს რიგი ღონისძიებები, კერძოდ:

- საგადასახადო შეღავათები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. მუნიციპალიტეტების საგადასახადო დამოუკიდებლობის გაზრდა;

- მცირე და საშუალო ბიზნესის რეგულირების სისტემის გამარტივება;

- მცირე და საშუალო ბიზნესისთვის სახელმწიფო შეკვეთების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

- დიდი და მცირე ბიზნესის ინტეგრაციის უზრუნველყოფა ურთიერთქმედების ისეთი ფორმების საშუალებით, როგორცაა ლიზინგი, ფაქტორინგი, ფრენჩაიზი და ა.შ.;

- მცირე და საშუალო ბიზნესისთვის საინვესტიციო სესხებისთვის სახელმწიფო გარანტიების მოცულობის გაზრდა (და საგარანტიო დაფარვის ოდენობა), მათ შორის საპენსიო ფონდების მოზიდვა საგარანტიო უზრუნველყოფის სისტემის გაფართოებისთვის;

- მიზნობრივი საშეღავათო სესხების გაცემა (ინოვაციური, ექსპორტზე ორიენტირებული და წარმოებითი ბიზნესებისთვის);

- სპეციალური პროგრამების განხორციელება, რაც უკვე წარმატებულ ბიზნესმენებს წახალისებს გამოცდილების გაზიარებისაკენ დამწყებ მეწარმეებთან, გარკვეული შეღავათების მიღების სანაცვლოდ;

- სახელმწიფო მხარდაჭერის მოქნილი სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური რესურსების მიწოდებას ეკონომიკური ზრდის შენელებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის აღდგენის სისტემის განვითარების ფონზე;

კვლევის შედეგების საფუძველზე, შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გაკეთება:

1. განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფოს მხრიდან მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა ამ უკანასკნელის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა, ვინაიდან მცირე და საშუალო საწარმოები საფუძველს უყრიან მრავალ ინოვაციას, ქმნიან საგადასახადო შემოსავლების მნიშვნელოვან წილს ბიუჯეტში და სამუშაო ადგილების უმნიშვნელოვანესს ნაწილს.

2. მცირე და საშუალო საწარმოებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკაში. უნდა აღინიშნოს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის ევროპაში ბოლო 20-30 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა. თანამედროვე მცირე და საშუალო საწარმოები, განსაკუთრებით საწარმოო სექტორში, ხშირად იყენებენ მაღალ ტექნოლოგიებს. ევროპაში მცირე და საშუალო საწარმოებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ R&D- ში (კვლევა და განვითარება).

საქართველოში 2020 წლის თებერვლიდან შექმნილი მძიმე პანდემიური მდგომარეობის გამო მნიშვნელოვნად გაუარესდა რეგიონის ეკონომიკის სხვადასხვა დარგში წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების ჯამური მოცულობა. აღსანიშნავია, რომ კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ გავლენა იქონია თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაზე, ყოველდღიურობაზე. მან, სამუდამოდ თუ არა დროებით მაინც, შეცვალა ჩვენი ცხოვრების წესი, მოთხოვნები, შესაძლებლობები. თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა გახლავთ ადამიანი და მაშინ, როცა ყველაზე მთავარს საფრთხე დაემუქრა, პოლიტიკის შემქმნელებმა, აგრესიული დაფინანსებით, სწრაფი რეაგირება მოახდინეს სამედიცინო სფეროს, სპეციალური საჭიროების მქონე ადამიანებისა და მეწარმეების მხარდაჭერისათვის. სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულმა, ცენტრალურმა და სახელმწიფო ბანკებმა მიიღეს ზომები ლიკვიდურობის გასაზრდელად. ამ პირობებში მცირე და საშუალო ზომის საწარმოები უფრო მეტ საფრთხეში არიან. მათი ძირითადი საქმიანობა მომსახურების სფეროს უკავშირდება, სადაც ყველაზე დიდი პრობლემები შეიქმნა დაწესებული შეზღუდვებისა და სოციალური დისტანცისკენ მიმართული ზომების მიღებით. დიდ კორპორაციებთან შედარებით მცირე ფირმებს აქვთ ნაღდი ფულადი სახსრები, ძირითადად ეყრდნობიან

მოკლევადიან შემოსავლებს, სესხებსა და გეგმებს. შესაბამისად ორიენტირებული არიან მოკლევადიან მოგებაზე. ამ კრიზისის წინააღმდეგ, რომელიც არცერთ წინას არ ჰგავს, მწირი დაფინანსების წყაროების ფონზე მცირე ბიზნესის წინაშე დგას ფულადი სახსრების პრობლემა.

ჩვენი აზრით, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე კომერციულმა ბანკებმა უნდა გადადგან ნაბიჯები საბრუნავი კაპიტალის შევსებისკენ, მაგრამ ბანკებიც მსხვილი კლიენტების გავლენის ქვეშ ექცევიან და ცდილობენ დააკმაყოფილონ პირველ რიგში მათი მოთხოვნები, ამ დროს კი მცირე და საშუალო ბიზნესი რჩება თამაშგარე მდგომარეობაში.

აღიარებული პრაქტიკაა, რომ ამ დროს, როგორც წესი, სახელმწიფოს მხრიდან ხდება საბანკო სისტემის სტიმულირება იაფი სესხების გზით, რეგულაციებისა და გარანტიების ფონზე, რაც დაეხმარება ეკონომიკას, მაგრამ შეიძლება არ დარჩეს საკმარისი მცირე და საშუალო ბიზნესის გადასარჩენად, რადგან ამ დროს ბანკებს არ აქვთ დიდი სურვილი აიღონ თავზე რისკები. არცერთი ეს მოდელი არ არის მიმართული იმ საბრუნავი კაპიტალის შევსებაზე, რომელზეც მნიშვნელოვნად არის მოთხოვნა გაზრდილი, რომ დასაქმებულებმა გააგრძელონ მუშაობა იმ დროს, როცა ნაღდი ფულის რესურსი მინიმალურია. ზოგიერთი კვლევის თანახმად, მცირე და საშუალო ბიზნესს, რომელიც ძირითადი დამსაქმებელია, მხოლოდ 3 თვიანი რესურსი აქვს სამუშაო ადგილების შესანარჩუნებლად, რის შემდეგაც დეფოლტისა და დასაქმების ტოტალური პრობლემის წინაშე აღმოვჩნდებით. ამ დროს, მცირე და საშუალო ბიზნესს სჭირდება დროებითი გადარჩენის საშუალება, ხიდისებრი კრედიტი საბრუნავი კაპიტალისთვის, რაც რადიკალურად განსხვავდება იმ პოლიტიკისაგან, რაც ახლა ტარდება. ასეთი ფინანსური დახმარება საჭიროა იმისთვის, რომ შენარჩუნდეს სამუშაო ადგილები და შემოსავლები, ამ გზით კი თავიდან ავიცილოთ ხანგრძლივი დეპრესია, რომელიც დაღს დაასვამს მსოფლიო ეკონომიკას. ამ უპრეცედენტო შოკის პირობებში, მხოლოდ სახელმწიფო სექტორს გააჩნია ის რესურსი, რომელიც საჭიროა დროებითი გადარჩენის ოპერაციის განხორციელებისათვის. ამ დროს მნიშვნელოვანია, მოიძებნოს საუკეთესო გზა სახელმწიფოს მხრიდან პროცესის მართვისთვის. ერთ-ერთ ვარიანტად შეიძლება

განვიხილოთ სახელმწიფოს მხრიდან სპეციალური სამსახურის მეშვეობით განხორციელდეს მეთვალყურეობა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, საბრუნავი კაპიტალის დაკრედიტების პროცესზე. მოხდეს „პატიოსანი“, წინა წლებში კარგი საკრედიტო ისტორიის მქონე ფირმების, გამოვლენა და პირველ რიგში მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება, თავის მხრივ ბიზნესის წარმომადგენლებმა უნდა გაიაზრონ არსებული მდგომარეობა და პროცესი მიზნობრივად გამოიყენონ, შეინარჩუნონ სამუშაო ადგილები და გააგრძელონ ფუნქციონირება, რაც არ გულისხმობს დივიდენდებისა და სხვა მსგავსი ფინანსური ოპერაციების განხორციელებას.

მცირე ბიზნესის სფეროში ყველა კვლევა პირობითად განსხვავდება სივრცითი პრინციპის, თემების, სამეცნიერო მიდგომის თვალსაზრისით, მაგრამ ძირითადად ეკონომისტების მიერ ჩატარებული კვლევები ვერ ასახავს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ტერიტორიულ, დეცენტრალიზებულ სპეციფიკას.

ცხრილი №14.

მცირე ბიზნესის სფეროში ჩატარებული კვლევის მიმართულებები

| სივრცითი პრინციპით | კვლევის საგნით | სამეცნიერო მიდგომით |
|-----------------------|---|---------------------|
| 1. გლობალურ დონეზე | 1. თეორიული საფუძვლები, ცნებების ევოლუცია; | 1. ეკონომიკური; |
| 2. ეროვნულ დონეზე | 2. ორგანიზება და მართვა; | 2. იურიდიული; |
| 3. რეგიონალურ დონეზე | 3. ქვეყნის, რეგიონის ეკონომიკისათვის, მათი როლი და მნიშვნელობა; 4. ფუნქციონირების პრობლემები და სახელმწიფო დახმარების შესაბამისი ზომები; | 3. ისტორიული; |
| 4. მუნიციპალურ დონეზე | 5. არსებული მდგომარეობის ფორმირება, განვითარება და შეფასება; | 4. სოციოლოგიური; |
| | 6. პერსპექტიული მიმართულებები; | 5. გეოგრაფიული |

წყარო: ევროკავშირის საინფორმაციო სააგენტო

მცირე ბიზნესის, როგორც გეოგრაფიული სისტემების ელემენტის შესწავლას ხელი შეუწყო სისტემურ-დიალექტიკურმა (სისტემური) მიდგომამ, რომელიც ერთ-ერთი ტრადიციული და ამავე დროს ახალი კვლევის ფორმაა. ამავდროულად, დროთა განმავლობაში საჭირო გახდა გეოსიტუაციური მიდგომის გამოყენება.

ამ შემთხვევაში გეოსიტუაცია არის იმ გარემოს მდგომარეობა, რომელშიც მცირე ბიზნესი მდებარეობს და ფუნქციონირებს. ეს ითვალისწინებს თავად საწარმოს მდგომარეობას, რომელიც გარემოსთან დიალექტიკურ ერთიანობაშია.

გეოსიტუაციური მდგომარეობა არსებობს ობიექტურად, ისინი წარმოიქმნება, ფუნქციონირებს, ვითარდება, ქრება და ხელახლა ჩნდება სხვადასხვა სივრცულ დონეზე და დროის სხვადასხვა მონაკვეთში. გეოსიტუაციებს პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ისინი სპეციფიკურია და სოციალური საქმიანობის გათვალისწინებით, მიზანმიმართულად ფუნქციონირებს. მისი არსებობის სტაბილურობა, მისი წარმოქმნის სიხშირე განისაზღვრება ჩვენს მიერ გამოყოფილი მცირე და საშუალო ბიზნესის ტერიტორიული ორგანიზაციის ფაქტორებით, რომლებიც გვხვდება გლობალურ, ეროვნულ, რეგიონულ დონეზე, ასევე კონკრეტულ ადგილზე და კონკრეტულ საწარმოში.

გეოპოლიტიკურმა მიდგომამ ასევე ხელი შეუწყო იმ გარემოს შესწავლას, რომელშიც საქმიანობს მცირე ბიზნესი. ქვეყანაში და მსოფლიოში არსებული პოლიტიკური ვითარების ცოდნამ შესაძლებელი გახადა არა მხოლოდ მცირე ბიზნესის ქცევის შეფასება, არამედ შესაძლებელი გახადა მისი მოქმედების პროგნოზირება პოლიტიკურ სივრცეში.

სამრეწველო მეწარმეობის ეკონომიკური პროფილი, როგორც წესი, რეგიონალური სოციალურ-ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის იდენტურია. აუცილებელია მცირე სამრეწველო საწარმოების მუშაობის გააქტიურება მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში და მრეწველობაში. ეს საშუალებას მოგვცემს განვიხილოთ ისინი არამარტო ურბანული და განსაკუთრებით სოფლის დასახლებების მდგრადი განვითარების წყაროდ, არამედ როგორც იმპორტის ჩანაცვლების პროცესის მონაწილეები, რადგან უკვე მსს-ს მესამედზე მეტი მზად არის შეცვალოს იმპორტირებული პროდუქტები შიდა ბაზარზე.

აჭარის რეგიონის ბიზნეს-სუბიექტების ბრუნვა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

2014-2019 წწ

| | მლნ ლარი | | | | | |
|--|----------|------|------|-------|-------|-------|
| | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
| | 3424.1 | 4155 | 4755 | 5177 | 5695 | 7399 |
| სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა | 2.9 | 7.3 | 7.1 | 7.2 | 5 | 4.1 |
| სამთო მოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება | 16.4 | 22.9 | 26.3 | 32.9 | 34 | 42.2 |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 323.5 | 348 | 382 | 466 | 492.1 | 617.5 |
| ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონერული ჰაერის მიწოდება | 26.8 | ... | 1.1 | ... | 25.7 | 33.1 |
| წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები | 9.8 | ... | 20 | ... | 23.9 | 25.3 |
| მშენებლობა | 672 | 817 | 984 | 899.5 | 883.2 | 1353 |
| საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი | 1613.6 | 1682 | 1973 | 2066 | 2338 | 2926 |
| ტრანსპორტი და დასაწყობება | 267.6 | 349 | 407 | 356.9 | 437.1 | 516.2 |
| განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები | 134.1 | 171 | 225 | 243.1 | 267.6 | 324.9 |
| ინფორმაცია და კომუნიკაცია | 11.4 | 8.4 | 14.5 | 14.5 | 17.1 | 20.5 |
| უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები | 46.2 | 43.8 | 60.1 | 60.7 | 94.7 | 128.1 |
| პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები | 44.8 | 47.7 | 70.4 | 70.3 | 75.3 | 98.3 |
| ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები | 40.5 | 34.7 | 44.8 | 51.3 | 49.8 | 69.6 |
| განათლება | 16.4 | 17.8 | 19.8 | 21.2 | 23.2 | 26.1 |
| ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები | 35.7 | 40.4 | 56.3 | 62.1 | 6 | 71.4 |
| ხელოვნება, გართობა და დასვენება | 157.7 | 541 | 446 | 782.2 | 844.1 | 1122 |
| სხვა სახის მომსახურება | 4.7 | 5.9 | 18.2 | 21.1 | 18.6 | 22.6 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემებით ირკვევა, რომ აჭარის რეგიონში ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებიდან მიღებული მთლიანი შემოსავალი 2014 წლიდან 2019 წლამდე მზარდი დინამიკით ხასიათდება. კერძოდ: მშენებლობაში 2014 წელს არსებული ბრუნვა 672.0 მლნ ლარიდან 1353.6 მლნ.ლარამდე გაიზარდა. უძრავ ქონებებთან დაკავშირებულ საქმიანობებში კი 46.2 მლნ. ლარიდან 128.1 მლნ.ლარამდე. აღნიშნული მზარდი დინამიკა 2020 წელსაც შენარჩუნდა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის მუნიციპალურ რაიონებში მცირე საწარმოთა რაოდენობის ტერიტორიული დიფერენცირების დამოკიდებულების შესწავლა მცირე ბიზნესის განვითარების ფაქტორებზე, კვლევის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა გახლდათ.

თვალსაჩინოა ცვლილებები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ბიზნესის სხვადასხვა სფეროში დასაქმებულ პირებთან და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობასთან მიმართებაში.

ცხრილი №16.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიზნეს სექტორის მაჩვენებლები დამამუშავებელ მრეწველობაში 2016-2019 წწ

| № | მაჩვენებელი | 2016 წ | 2017 წ | 2018 წ | 2019 წ |
|---|-----------------------------------|--------|--------|--------|--------|
| 1 | ბრუნვა (მლნ.ლარი) | 381 | 466 | 492.1 | 617.5 |
| 2 | პროდუქციის გამოშვება (მლნ.ლარი) | 397.7 | 448.5 | 475.6 | 603.6 |
| 3 | დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი) | 8 862 | 9 248 | 9 068 | 8 583 |
| 4 | საშუალო თვიური ანაზღაურება (ლარი) | 537.8 | 576.6 | 667.3 | 761.2 |
| 5 | დამატებული ღირებულება (მლნ.ლარი) | 113.9 | 135.8 | 144.5 | 185.2 |

წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო


წარმოდგენილი მონაცემებით ირკვევა, რომ დამამუშავებელ მრეწველობაში 2016 წელს ბრუნვამ შეადგინა 381.0 მლნ.ლარი, ხოლო 2019 წელს 617.5 მლნ.ლარი, ზრდამ შეადგინა 62 %. აღნიშნულ სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ანაზღაურებამ 2016 წელს შეადგინა 537.8 ლარი, ხოლო 2019 წელს კი-761.2 ლარი. ზრდამ შეადგინა 41.5 %. აღნიშნულ სექტორში შექმნილმა დამატებულმა ღირებულებამ 2016 წელს შეადგინა 113.9 მლნ.ლარი, ხოლო 2019 წელს-185.2 მლნ.ლარი, ზრდამ შეადგინა თითქმის 63 %. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის დამამუშავებელ სექტორში არსებული მზარდი დინამიკა კიდევ ერთხელ მიუთითებს რეგიონის მიმზიდველობაზე და გრძელვადიან პერსპექტივაში აღნიშნული დადებითი ტენდენციები დადებითად უნდა აისახოს ქვეყნის და რეგიონის მოსახლეობის საერთო კეთილდღეობაზე.

აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ არსებული ტენდენცია იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს, მომავალში მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით. აჭარის მუნიციპალიტეტებში მიმდინარე ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესი განვიხილოთ ბათუმის და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების მაგალითზე.

ქალაქ ბათუმის მოსახლეობა 2020 წლისათვის შეადგენს 169.10 ათას კაცს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით ბათუმში 2020 წლისათვის 41500 შინამეურნეობაა, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. ქალაქის მოსახლეობის 46.3 % ეკონომიკურად აქტიურია. აქვე აღსანიშნავია, რომ მამაკაცების დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს 78.8%-ს, ხოლო ქალების--69.3%.

სტატისტიკური მონაცემებით ირკვევა, რომ 2016 წლიდან 2020 წლამდე ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გაიზარდა 119,876.9 ათასი ლარიდან, 140,757.1 ათას ლარამდე. მუნიციპალიტეტში ერთ სულ მოსახლეზე წლიური საბიუჯეტო შემოსავალი 2016 წელს შეადგენდა 755.8 ლარს, ხოლო 2020 წელს კი 832.3 ლარს.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016-2020 წლების ბიუჯეტი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო


ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016-2020 წლების ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ანალიზით ირკვევა, რომ ხარჯები ძირითადად შემდეგი პროპორციითაა წარმოდგენილი: ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მიმართულია მთლიანი ხარჯების 48%, დასუფთავება და გარემოს დაცვა 13 %, წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება 11 %, განათლება-10 %, კულტურა და ახალგაზრდობის მიმართულება 8 %, ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 10 %. 2019 წელს ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ადგილობრივი ბიზნესის განვითარებისა და ხელშეწყობისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო 31.0 ათასი ლარი, რაც ადგილობრივი საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის შექმნას მოხმარდა, ხოლო 2020 წლის ბიუჯეტით გამოიყო 45.0 ათასი ლარი, რაც ამ ცენტრის ფუნქციონირებისათვის იყო გათვალისწინებული. ცენტრის ძირითად ფუნქციას განსაზღვრულია ადგილობრივ დონეზე ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა, ასევე უმუშევრობის შემცირება და დასაქმების პრობლემის მოგვარება. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქ ბათუმის წინა წლების დამტკიცებული ბიუჯეტის თანმდევი პრიორიტეტების გეგმით ქალაქის ეკონომიკის განვითარება და

მათ შორის ბიზნესის ხელშეწყობა ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებათ არის მიჩნეული, ირკვევა რომ საბიუჯეტო რესურსით ამ მიმართულებით მიზერული თანხებია გათვალისწინებული.

განვიხილოთ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი ეკონომიკური მაჩვენებელი.

დიაგრამა №2.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2016-2020 წლების ბიუჯეტი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საშემოსავლო ნაწილი 2016 წელს შეადგენდა 18,250.0 ათას ლარს, 2019 წელს-20,565.2 ათას ლარს, 2020 წელს კი ბიუჯეტმა 18,620.9 ათასი ლარი შეადგინა. ბიუჯეტის შემცირება 2019 წელთან მიმართებაში გამოწვეული იყო პანდემიის შედეგად განვითარებული ნეგატიური ეკონომიკური შედეგებით. ერთ სულ მოსახლეზე წლიურმა საბიუჯეტო შემოსავალმა 2016 წლის მონაცემებით შეადგინა 354.5 ლარი (ანალოგიური მაჩვენებელი ბათუმის შემთხვევაში შეადგენდა 755.80 ლარს), ხოლო 2020 წლისათვის კი-354.0 ლარი (ბათუმის შემთხვევაში 832.30 ლარს), ანუ საბიუჯეტო შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 2020 წელს ფაქტიურად არ შეცვლილა 2016 წელთან მიმართებაში, ეს კიდევ ერთხელ

მიუთითებს მუნიციპალიტეტში ეკონომიკური აქტივობის მხრივ არსებულ ნეგატიურ ფონზე, რაც ძირითადად მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დაბალ დონეზე მიუთითებს.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2020 წლისათვის შეადგენს 52.6 ათას კაცს. ხელვაჩაურის რეგიონის კარგი სტრატეგიული მდგომარეობა და მუნიციპალიტეტში არსებული ბუნებრივი რესურსები ქმნის საფუძველს, რომ მუნიციპალიტეტში არსებული მწირი საბიუჯეტო რესურსის, ასევე მოზიდული არასაბიუჯეტო რესურსის საშუალებით შემუშავდეს მუნიციპალიტეტის მდგრადი ეკონომიკური განვითარების გეგმა. მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებში იყო მცდელობა მუნიციპალიტეტის სტრატეგიული გრძელვადიანი გეგმის შედგენისა, ჯერ-ჯერობით მდგომარეობა ამ კუთხით კვლავ კრიტიკულია. სტრატეგიული განვითარების გეგმის აუცილებლობა განსაკუთრებით ახლა დგას დღის წესრიგში, როდესაც რეგიონის და მუნიციპალიტეტის ეკონომიკა სუსტია, შემცირებულია სამუშაო ადგილები, შემცირებულია მუნიციპალიტეტში გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა.

აჭარის მუნიციპალიტეტების სტრატეგიული განვითარების გეგმებში ძალიან მცირე ადგილი უჭირავს ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიმართულებით განსახორციელებელ პროგრამებს. ასეთი მიდგომა ხშირ შემთხვევაში გამოწვეულია როგორც ობიექტური (დაუხვეწავი კანონმდებლობა), ასევე სუბიექტური (ადგილობრივი მენეჯმენტის პრობლემები) ფაქტორებით.

ჩვენი დაკვირვებებით, აჭარის მუნიციპალიტეტების დონეზე, ტრანსფორმაციული პროცესის პირობებში, ცენტრალურ, რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე საჭიროა გადაიდგას ნაბიჯები შემდეგი მიმართულებით:

მოხდეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისა და ბიზნეს-სექტორის თანამშრომლობა და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელის აგება;

- გაიზარდოს ადგილობრივი მეწარმე-სუბიექტების წვდომა ფინანსებზე;
- მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდეს ადგილობრივი საინვესტიციო და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით;

- რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიქმნას შესაბამისი პროფესიული სასწავლებლები და გადამზადების ცენტრები;

- მაქსიმალურად იქნას გამოყენებული უცხოეთის დამეგობრებული ქალაქების გამოცდილება ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების ეფექტურად გადაწყვეტის დროს;

- გამოიკვეთოს ადგილობრივი ბრენდების უპირატესობანი;

- მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით მაქსიმალურად იქნას გამოყენებული რეგიონში არსებული მდიდარი სამეცნიერო პოტენციალი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის დარგების განვითარებაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ტრანსფორმაციის პროცესში, გამოიკვეთა ისეთი დარგები, რომელიც მნიშვნელოვან პროგრესს ავლენს 2015 წლიდან. წარმოდგენილ მონაცემებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ, თუ 2015 წლამდე აჭარის რეგიონის ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი სოფლის მეურნეობას და მის მონათესავე დარგებს ჰქონდათ, 2015 წლიდან ეკონომიკის ტრანსფორმაციის პირობებში გამოიკვეთა ისეთი დარგები, როგორცაა: ტურიზმი, მშენებლობა, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობა, ტრანსპორტი და დასაწყობება. შესაბამისად გაზრდილია ინვესტიციებიც აღნიშნულ სფეროებში. კერძოდ: 2016 წელს მშენებლობის სფეროში მთლიანმა ბრუნვამ შეადგინა 980.0 მლნ. ლარი, 2017 წელს - 899.5 მლნ. ლარი, ხოლო 2020 წელს კი-1 353.0 მლნ. ლარი. ტრანსპორტის სფეროში კი 2015 წელს-349.0 მლნ.ლარი, 2016 წელს-407.0 მლნ.ლარი, 2020 წელს კი-516.2 მლნ.ლარი. უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ბრუნვამ 2015 წელს შეადგინა 43.8 მლნ. ლარი, 2016 წელს-60.1 მლნ. ლარი, 2017 წელს-94.7 მლნ. ლარი, ხოლო 2020 წელს 128.1 მლნ.ლარი. მნიშვნელოვანი ზრდა ფიქსირდება ასევე ინვესტიციების და ბიზნეს სექტორის საერთო მოცულობის კუთხით.

2015 წლიდან მიმდინარე ტრანსფორმაციის პროცესის ტენდენციები მნიშვნელოვნად ზრდის პერსპექტივებს რეგიონის მუნიციპალიტეტების მდგრადი ეკონომიკის დანერგვის მიმართულებით, რაც წარმოადგენს მყარ საფუძველს რეგიონის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების უზრუნველსაყოფად. პანდემიის შედეგად რეგიონში გამოიკვეთა ეკონომიკის ის მიმართულებები,

რომლებიც სახელმწიფოს და რეგიონის მხრიდან საჭიროებს შესაბამის ფინანსურ და სხვა ადმინისტრაციულ დახმარებას. ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესში აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტების მიერ შენარჩუნებულ უნდა იქნეს არსებული დადებითი ტენდენციები და მიღებული მუნიციპალური პროგრამული ბიუჯეტები მაქსიმალურად უნდა იქნას ორიენტირებული ეკონომიკის დარგების დივერსიფიკაციაზე და სამეწარმეო გარემოს გაჯანსაღებაზე.

ჩვენს მიერ განვითარებულ მოსაზრებებსა და მონაცემებზე დაყრდნობით, წარმოვადგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური გარემოს SWOT ანალიზს

ცხრილი №17.

აჭარის ეკონომიკური გარემოს SWOT ანალიზი

| ძლიერი მხარე | სუსტი მხარე |
|--|--|
| <ul style="list-style-type: none"> ○ კარგი გეოეკონომიკური მდგომარეობა. ○ გამართული ინფრასტრუქტურა. ○ სრულყოფილი სატელეკომუნიკაციო ქსელი. ○ ლიბერალური სავიზო პოლიტიკა. ○ რეგიონში საამშენებლო და დეველოპერული კომპანიების სიმრავლე. ○ რეგიონში ცნობილი სასტუმრო ბრენდების არსებობა. გამართული სარკინიგზო, საავტომობილო, საზღვაო და საჰაერო ინფრასტრუქტურა. ○ ინვესტიციების მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამების არსებობა. ○ რეგიონის ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნება. განვითარებული საბანკო სექტორი. ○ რეგიონში განვითარებული ტურისტული სექტორი. რეგიონში არსებული სამკურნალო-სარეკრეაციო ზონები. მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა. ○ უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების არსებობა. | <ul style="list-style-type: none"> ○ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების დასაბუთების დაბალი ხარისხი. ○ მომხმარებელთა უფლებების დაცვის დაბალი დონე. ○ მეწარმეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამებში ჩართულ მეწარმეთა სიმცირე. მომსახურების დაბალი დონე. ○ ბათუმის აეროპორტის დატვირთვის სიმცირე. მცირე და საშუალო მეწარმეთა დახმარების დაბალი დონე. ○ მცირე და საშუალო მეწარმეთა მიერ წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაციის დაბალი დონე. ○ კანონმდებლობის ხარვეზები ბიზნესის ხელშეწყობის უზრუნველყოფის მიზნით. |
| <ul style="list-style-type: none"> ○ შესაძლებლობები | <ul style="list-style-type: none"> ○ საფრთხე |
| <ul style="list-style-type: none"> ○ სატრანსპორტო-ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარება. ○ ტურიზმის სექტორის განვითარება სოფლად. ○ ტურიზმის სფეროში ინვესტიციების მოზიდვა. ○ რეგიონში წარმოებული პროდუქციის გასაღების ბაზრების დივერსიფიკაცია. ○ საჯარო და კერძო თანამშრომლობის ზრდა. ○ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმოების ხელშეწყობი პროგრამები. ○ დამეგობრებულ ქალაქებთან საქმიანი კავშირების გაღრმავება. ○ მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა | <ul style="list-style-type: none"> ○ არასტაბილური ფასები ენერგომატარებლებზე. პოლიტიკური არასტაბილურობა. ○ სოციალური ფონის გაუარესება. ○ ბიზნესის საქმიანობის ხელშეწყობი კანონმდებლობის ხშირი ცვლილებები. მოუწესრიგებელი მიწათსარგებლობის და ქალაქმშენებლობის სისტემა. ○ საჰაერო გადაზიდვების მაღალი ტარიფები. ექსპორტის ხელშეწყობი სააგენტოების არ არსებობა. |

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ.

თავი 2. მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების თეორიული საფუძვლები და სარესურსო პოტენციალი

2.1. მუნიციპალური ეკონომიკის ფუნქციონირების სამართლებრივ-ეკონომიკური საფუძველი;

მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ადგილობრივი მუნიციპალიტეტის და სახელმწიფო მმართველობის ურთიერთობა ყოველთვის განისაზღვრებოდა ქვეყნების ისტორიული, პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემით. შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა პერიოდში არსებობდა მკაცრი ცენტრალიზებული მართვა და ცენტრალური ხელისუფლება თავის უფლებამოსილებას ახორციელებდა ადგილებზე საქალაქო, რაიონული და სასოფლო საბჭოების მეშვეობით. ადგილობრივი საბჭოები ვალდებულნი იყვნენ შეესრულებინათ ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებები და თვითონვე აწესებდნენ კონტროლს შესრულების მიმდინარეობაზე, ცენტრალური ხელისუფლება სრულად მართავდა ადგილობრივი ხელისუფლებების ფინანსურ რესურსებს.

საბჭოთა კავშირის პერიოდში ადგილობრივი საქალაქო და სასოფლო საბჭოები ფუნქციონირებდნენ ერთპარტიულ პირობებში და გადაწყვეტილებებს ღებულობდნენ არა ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებების საფუძველზე არამედ ხელმძღვანელობდნენ პარტიის დავალებებით, რომელიც ხშირ შემთხვევაში ცენტრალური ხელისუფლების ინტერესების გატარებაზე იყო ორიენტირებული. საბჭოები ძირითადად ხელმძღვანელობდნენ კომუნისტური პარტიის აპოლოგეტების ვ.ლენინის, კ.მარქსისა და ფ.ენგელსის ნაშრომებითა და მათ მიერ დაფუძნებული პრინციპებით [107].

ადგილობრივი მუნიციპალიტეტების თანამედროვე სახით ჩამოყალიბებამდე საქართველოში მრავალი რეფორმა განხორციელდა. ჩვენს ქვეყანაში ყოველთვის დიდი განსხვავება იყო ტერიტორიულ ერთეულებს შორის (ქალაქი, სოფელი, დაბა), რაც შორეული წარსულიდან იღებს სათავეს. 1918 წლამდე საქართველოში არსებობდა ორი გუბერნია, ტფილისის და ქუთაისის. აღნიშნული გუბერნიები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან თავისი სამამასახლისოებით და

საბოკაულებით. 1918 წლამდე საქართველო დაყოფილი იყო მაზრებად და ოლქებად. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ მთავრობის მიერ გაუქმებულ იქნა საქართველოს ტერიტორიის ასეთი დაყოფა.

1921 წელს საბჭოთა ოკუპაციამ მნიშვნელოვნად შეიცვალა საქართველოს ტერიტორიული ერთეულების (ქალაქი, სოფელი, დაბა) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები და საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენელ ნაწილად იქცა, რის შემდეგაც საქართველოშიც ჩამოყალიბდა ადგილობრივი საქალაქო და სასოფლო საბჭოები [107].

საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ ადგილებზე ჩამოყალიბდა ქალაქის და სოფლის აღმასრულებელი საბჭოები. ფორმალურად, მაგრამ მაინც ტარდებოდა ადგილებზე არჩევნები, რაც თავისთავად ერთპარტიული იყო და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენდა.

ცხრილი №18.

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული
დაყოფა 1917 წლისათვის

| ადმინისტრაციული ერთეული | მოსახლეობა | სამამასახლისო | საბოკაულო |
|--|------------|---------------|-----------|
| ტფილისის გუბერნია | 943 699 | 162 | 34 |
| ახალქალაქის მაზრა | 76 020 | 14 | 12 |
| ახალციხის მაზრა | 71 010 | 9 | 3 |
| ბორჩალოს მაზრა(ამჟამად სომხეთის და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე) | 90 558 | 27 | 3 |
| გორის მაზრა | 224 000 | 32 | 8 |
| დუშეთის მაზრა | 64 188 | 12 | 4 |
| თელავის მაზრა | 57 926 | 11 | 2 |
| თიანეთის მაზრა | 49 356 | 12 | 3 |
| სიღნაღის მაზრა | 136 185 | 21 | 5 |
| ტფილისის მაზრა | 174 456 | 24 | 4 |
| ქუთაისის გუბერნია | 1 155 923 | 282 | 31 |
| ბათუმის ოლქი | 65 364 | 12 | 4 |
| სოხუმის ოლქი | 147 662 | 86 | 3 |
| ზუგდიდის მაზრა | 127 960 | 35 | 3 |
| ლეჩხუმის მაზრა | 60 944 | 13 | 3 |

| | | | |
|-----------------|-----------|-----|----|
| ოზურგეთის მაზრა | 104 139 | 27 | 3 |
| რაჭის მაზრა | 88 146 | 18 | 2 |
| სენაკის მაზრა | 140 944 | 23 | 3 |
| ქუთაისის მაზრა | 231 344 | 38 | 5 |
| შორაპნის მაზრა | 189 420 | 30 | 5 |
| სულ: | 2 099 622 | 444 | 65 |

წყარო: [31]

საბჭოთა კავშირის დროს არსებობდა საბჭოთა საქართველოს შემდეგი ადმინისტრაციული დაყოფა: ავტონომიური რესპუბლიკა-2, ავტონომიური ოლქი—1, რაიონი-65, ქალაქი-61.

მათ შორის: რესპუბლიკური დაქვემდებარების—10, რესპუბლიკური (ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა) დაქვემდებარების—4, საოლქო დაქვემდებარების—1, რაიონული დაქვემდებარების 46, სოფელი—4488 [44].

საქართველოში თვითმმართველობის არსებობა სათავეს 1991 წლიდან იღებს. ამ პერიოდიდან მოყოლებული შემდეგი მნიშვნელოვანი ასპექტები დაფიქსირდა:

1991 წელს ჩატარდა პირველი ადგილობრივი არჩევნები.

1995 წელს მიღებულ იქნა კონსტიტუცია და განისაზღვრა ადგილობრივ დონეზე თვითმმართველობის დამკვიდრება, მაგრამ გაურკვეველად დარჩა საქართველოს ტერიტორიული მოწყობის საკითხი.

1997 წელს კონსტიტუციური ჩანაწერის საფუძველზე პარლამენტმა მიიღო კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“.

2001 წელს პარლამენტმა შეიტანა ცვლილება თვითმმართველობის კანონმდებლობაში, კერძოდ:

- ა) გაიმიჯნა თვითმმართველობისა და მმართველობის ცნებები;
- ბ) დიდ ქალაქებში შეიქმნა თვითმმართველი ორგანოები (ქალაქები);
- გ) დიდი ქალაქების აღმასრულებელი ორგანოები, გარდა თბილისისა და ფოთისა გახდა არჩევითი;
- დ) განისაზღვრა თვითმმართველობის ექსკლუზიური უფლებამოსილებანი.

2005 წელს მიღებულ იქნა ახალი ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ და კანონი „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“.

2006 წლის ადგილობრივ არჩევნებამდე საქართველოს ტერიტორიულ მოწყობას შემდეგი სახე ჰქონდა.

- 12 რეგიონი (თბილისის და 2 ავტონომიური რესპუბლიკის ჩათვლით);
- 67 რაიონი +6 დიდი ქალაქი (რაიონული ფუნქციით);
- 100-მდე მუნიციპალური ერთეული (მოიცავს 51 ქალაქს და 49 ქალაქური ტიპის დასახლებას), რომლებიც აერთიანებდა 4500 ერთეულ დასახლებულ პუნქტს (სოფელს).

2007 წელს მიღებულ იქნა კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“. ასევე მიღებულ იქნა კანონი „თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“, შემდეგ გაუქმდა აღნიშნული კანონი და მიღებულ იქნა კანონი „საბიუჯეტო კოდექსის შესახებ“.

საქართველოს ტერიტორიული მოწყობა შეიცვალა და მან ასეთი სახე მიიღო;

- 12 რეგიონი (თბილისის და 2 ავტონომიური რესპუბლიკის ჩათვლით).
- 69 მუნიციპალიტეტი (ყოფილი რაიონებისა და დიდი ქალაქების საზღვრებში).

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 27 ივნისის №406 ბრძანებულებით დამტკიცდა სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის დებულება. დებულება განსაზღვრავს სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის სტატუსს, მის ამოცანებს, ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს, ასევე გუბერნიის (მხარის) ტერიტორიულ საზღვრებს, რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის სტრუქტურასა და საქმიანობის წესს.

მოქმედი კანონმდებლობით ქალაქი არის არანაკლებ 5000 მოსახლისგან შემდგარი მსხვილი დასახლება, რომელსაც აქვს საქალაქო მეურნეობა და რეგიონის ეკონომიკურ-კულტურული ცენტრია. ქალაქის კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლება, რომლის მოსახლეთა რიცხვი 5000-ზე ნაკლებია, თუ იგი არის თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ცენტრი ან აქვს შემდგომი ეკონომიკური განვითარების და მოსახლეობის ზრდის უახლოესი პერსპექტივა. ქალაქებს, მათთვის დაკისრებული სპეციფიკური ფუნქციებიდან და სახელმწიფო მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეიძლება მიენიჭოს სპეციალური სტატუსი. ცალკე გამოიყოფა თვითმმართველი ქალაქი, თვითმმართველი ქალაქი არის ქალაქის კატეგორიის

დასახლება, რომელსაც „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად აქვს თვითმმართველი ერთეულის სტატუსი. ადმინისტრაციული ერთეული არის თვითმმართველი ერთეულის ნაწილი, სადაც იქმნება ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიული ორგანო [13].

ადმინისტრაციული ერთეულია:

- ა) დასახლება (სოფელი, დაბა, ქალაქი);
- ბ) დასახლებათა გაერთიანება (თემი);
- გ) დასახლებათა ნაწილი (უბანი).

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად თვითმმართველ ერთეულებს გააჩნიათ შემდეგი უფლებამოსილებები:

1. საკუთარი უფლებამოსილება - რომელიც არის ისეთი უფლებამოსილება, რომელსაც თვითმმართველი ერთეულები ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით;

2. დელეგირებული უფლებამოსილება - სახელმწიფო მმართველობითი ორგანოს უფლებამოსილება, რომელიც „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ ორგანული კანონით დადგენილი წესით, კანონის თანახმად ან ადგილობრივი თვითმმართველობასა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე განსახორციელებლად გადაეცემა თვითმმართველ ერთეულს [13].

განვიხილოთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ არსებული ნორმატიული აქტების, რეგიონის მუნიციპალიტეტების ეკონომიკის, მათი გეოგრაფიის, მუნიციპალიტეტებში არსებული ეკონომიკური კავშირების და საბიუჯეტო მოწყობის შესახებ სამართლებრივი და ეკონომიკური საფუძვლები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფუნქციონირების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონი;

- კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებასა და საქმიანობის წესის შესახებ“;

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია;

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის და მთავრობის სტრუქტურისა, უფლებამოსილებასა და საქმიანობის წესის შესახებ კანონის შესაბამისად ფუნქციონირებს ოთხი სამინისტრო და მთავრობის დაქვემდებარებაში არსებული საქვეუწყებო დაწესებულებები:


- ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო;
- ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტრო;

აღნიშნული სამთავრობო სტრუქტურები ავტონომიური რესპუბლიკის ინტერესებიდან გამომდინარე ახორციელებენ თავიანთ უფლებამოსილებას.

განვიხილოთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში ეკონომიკის ფუნქციონირების ზოგიერთი მაჩვენებელი:

დიაგრამა №3.

აჭარის მოსახლეობის ცვლილების დინამიკა 2017-2020 წლებში
(ათასი კაცი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით 2021 წლის 01 იანვრისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 351.9 ათას კაცს. 2020 წლისათვის რეგიონში შექმნილი დამატებული ღირებულება შეადგენდა 4,997.6 მლნ.ლარს, ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით კი მთლიანი შიდა პროდუქტი არის 5.058.2 აშშ დოლარი. უმუშევრობის დონე 2020 წლისათვის იყო 17.6 %-ს. დასაქმებულთა საერთო რაოდენობა 2020 წლისათვის 128.1 ათასი კაცია. ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობაა-74.8 ათასი კაცი. დასაქმებულთა საშუალოთვიური ხელფასის ოდენობა ბიზნეს სექტორში შეადგენს-1019 ლარს. რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა კი-68103 ერთეულს.

ცხრილი №19.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის განაწილება

| დასახელება | 2015 წ | 2017 წ | 2018 წ | 2019 წ |
|--|--------|--------|--------|--------|
| სულ მოსახლეობა 15+ ასაკის (ათასი კაცი) | 271.7 | 268.7 | 273 | 268.5 |
| სამუშაო ძალა (აქტიური მოსახლეობა) (ათასი კაცი) | 181.1 | 166.2 | 162.1 | 155.4 |
| დასაქმებული (ათასი კაცი) | 117.4 | 128.9 | 132.4 | 128.1 |
| უმუშევარი (ათასი კაცი) | 63.7 | 37.4 | 29.7 | 27.3 |
| მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ (ათასი კაცი) | 90.6 | 102.4 | 110.9 | 113.2 |
| უმუშევრობის დონე % | 35.2 | 22.5 | 18.3 | 17.6 |
| სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე % | 66.6 | 61.9 | 59.4 | 57.9 |
| დასაქმების დონე % | 43.2 | 48 | 48.5 | 47.7 |


წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

წარმოდგენილი მონაცემებიდან ირკვევა, რომ 2015 წელს რეგიონში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა იყო 181.1 ათასი კაცი, 2019 წელს კი 155.4 ათასი კაცი. 2015 წელს უმუშევრობის დონე რეგიონში იყო 35.2 %, მთლიანად ქვეყანაში კი 21.9 %, 2019 წელს უმუშევრობის დონემ რეგიონში შეადგინა 17.6 %, აღნიშნული მაჩვენებელი დაფიქსირდა ასევე მთლიანად ქვეყნის მასშტაბით.

უმუშევრობის შესახებ წარმოდგენილი მონაცემები ცხადყოფს, რომ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი რეგიონის მუნიციპალიტეტებში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიმართულებით, რათა უახლოეს წლებში მნიშვნელოვნად შემცირდეს რეგიონში არსებული უმუშევრობის მეტად საგანგაშო მაჩვენებელი.

დიაგრამა №4.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი 2015-2019 წლებში



წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

წარმოდგენილი მონაცემებიდან გამომდინარე ირკვევა, რომ 2015-2019 წლებში მშპ-ის ოდენობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება ეროვნულ ვალუტაში გაანგარიშებით, ხოლო აშშ-ის დოლარებში გაანგარიშებით შემდეგი სურათი გვაქვს, 2015 წელს ერთ სულზე შემოსავალი 2717 ამერიკული დოლარი, ხოლო 2019 წელს კი-4988 დოლარი დაფიქსირდა. მაშინ როცა მთლიანად ქვეყანაში 2015 წელს ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის ოდენობამ 3700 ამერიკული დოლარი, ხოლო 2019 წელს კი--4700 დოლარი შეადგინა

საჭიროა აღინიშნოს, რომ 2019 წლის მდგომარეობით აჭარის მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში მშენებლობის წილი შეადგენდა მთლიანი მშპ-ის 20 %-ს, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობა 14 %-ს, ვაჭრობა 10 %-ს. მეტად სავალალო მდგომარეობა არის ეკონომიკის რეალურ სექტორში, კერძოდ: დამამუშავებელ მრეწველობაზე მოდის მშპ-ის 5%, ხოლო სოფლის მეურნეობის სექტორზე 4%. ჩემი ხედვით აღნიშნული მონაცემები კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ მნიშვნელოვნად უნდა შეიცვალოს რეგიონში შექმნილი დამატებული ღირებულების დარგობრივი სტრუქტურა. რეგიონის სპეციფიკიდან და საჭიროებიდან გამომდინარე ისეთი ეკონომიკური პოლიტიკა უნდა გატარდეს, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდოს მშპ-ში ეკონომიკის რეალური სექტორის წილი, მხოლოდ ამის შემდეგ შეიქმნება აჭარის რეგიონში მცირე და საშუალო ბიზნესის სწრაფი განვითარების წინაპირობა, რის შემდეგ მოხდება უმუშევრობის დონის შემცირება და საერთო ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღება.

ცხრილი №20.

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ვაჭრობის სექტორის მაჩვენებლები
(2016-2019 წწ)**

| მაჩვენებელი | 2016 წ | 2017 წ | 2018 წ | 2019 წ |
|--|---------|---------|---------|---------|
| ბრუნვა (მლნ.ლარი) | 1 972.9 | 2 066.2 | 2 337.6 | 2 925.9 |
| პროდუქციის გამოშვება (მლნ.ლარი) | 346 | 400.7 | 453.4 | 516.6 |
| დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი) | 13 464 | 14 057 | 14 607 | 16 647 |
| საშუალო თვიური ანაზღაურება (ლარი) | 644.7 | 675.8 | 711.3 | 802.7 |
| დამატებული ღირებულება (მლნ.ლარი) | 130.4 | 135.6 | 139.7 | 217.8 |


წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

მეტად შთამბეჭქდავი სურათი გვაქვს აჭარის რეგიონის ვაჭრობის ბიზნეს-სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულების და მთლიანად გამოშვებული პროდუქციის მოცულობასთან დაკავშირებით. ანალიზით ირკვევა, რომ რეგიონში

ვაჭრობის ბიზნეს-სექტორის ბრუნვამ 2016 წელს შეადგინა 1 972.9 მლნ.ლარი, ხოლო 2019 წელს 2 925.9 მლნ.ლარი. მზარდი დინამიკა ასევე შენარჩუნებული საშუალო თვიური ხელფასის კუთხითაც, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2016 წელს შეადგინა 644.70 ლარი, ხოლო 2019 წელს კი-802.70 ლარი. მზარდი ტენდენცია ასევე ვაჭრობის სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულების კუთხით. 2016 წელს შექმნილმა დამატებულმა ღირებულებამ შეადგინა 130.4 ლნ.ლარი, ხოლო 2019 წელს 217.8 მლნ.ლარი. 2019 წელს ზრდამ 2016 წელთან მიმართებაში 67 % შეადგინა.

დიაგრამა №5.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების მოსახლეობა
2016-2020 წლებში (ათასი კაცი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

წარმოდგენილი მონაცემებიდან ირკვევა, რომ აჭარის მუნიციპალიტეტებიდან მოსახლეობის ზრდის დინამიკა 2016-2020 წლებში აღინიშნება ბათუმის, ხელვაჩაურის და ხულოს მუნიციპალიტეტებში, ხოლო დანარჩენ მუნიციპალიტეტებში ასეთი ტენდენცია არ შეინიშნება. საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებთან მიმართებაში მდგომარეობა ამ კუთხით ნამდვილად დამაიმედებელია. არსებული დემოგრაფიული მდგომარეობის და რეგიონის რესურსული პოტენციალიდან გამომდინარე სრული წინაპირობა არსებობს აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობი რეგიონული და მუნიციპალური პროგრამების შემუშავებისა. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი მეცნიერ-მკვლევარების (ლ.ჩიქავა, ნ.ჭითანავა, ნ.ჩიხლაძე, ე.ბარათაშვილი, ნ.გრძელიშვილი, ი.მესხია, ვლ.დლონტი, რ.მანველიძე, მ.ჯიბუტი და სხვა) მიერ მრავალი ნაშრომი და კვლევა მიემდვნა რეგიონების ეკონომიკური მდგრადობის შესწავლას, როგორც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების აუცილებელ წინაპირობას, ცენტრალური, რეგიონული და მუნიციპალური ხელისუფლებების მიერ ადგილებზე დაინერგოს მეცნიერულად დასაბუთებული ისეთი სიახლეები, რომლებიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა დასაქმებას და ადგილობრივი პროდუქციის რაოდენობის ზრდას.

2.2 მუნიციპალიტეტის სამეწარმეო შესაძლებლობები და სარესურსო პოტენციალი

სამართლებრივი ფორმაციებისა და რეფორმების კვალდაკვალ იცვლებოდა ეკონომიკური პოლიტიკა ადგილობრივ დონეზე, მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი და განვითარების მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი გეგმების შედგენა ფაქტობრივად წარმოდგენელია, თუ არ მოხდა მუნიციპალიტეტების სამეწარმეო შესაძლებლობების შესწავლა, არსებული სარესურსო პოტენციალის ღრმა ანალიზი და მუნიციპალიტეტების SWOT ანალიზის წარმოდგენა. მაშინ, როცა საქართველოში დაბალია მუნიციპალიტეტების ეკონომიკური განვითარების დონე, მნიშვნელოვანია მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების მუნიციპალიტეტებში გატარებული შედეგზე ორიენტირებული რეგიონული და ადგილობრივი ეკონომიკური და ინოვაციური პოლიტიკის შესწავლა, ანალიზი და მათ საქართველოში დანერგვა.

უცხოური გამოცდილების გაზიარებისას მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს საქართველოს მუნიციპალიტეტების თავისებურებებსა და მათ სპეციფიკაზე. მუნიციპალიტეტების სამეწარმეო შესაძლებლობების და სარესურსო

პოტენციალის შესწავლისას გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს მუნიციპალიტეტებში ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებიდან (1991 წელი) დღემდე, ძალიან სწრაფად განვითარდა ნეგატიური პროცესები, რამაც მთლიანობაში საერთო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ იყო მრავალი მცდელობა რეგიონული თუ ადგილობრივი მნიშვნელობის რეფორმის გატარებისა, შედეგი მაინც ვერ იქნა მიღწეული, რადგანაც გატარებული რეფორმების მიმდინარეობისას არ იყო გათვალისწინებული მუნიციპალიტეტების სპეციფიკა და თავისებურებები, ასევე სრულყოფილად არ იქნა შესწავლილი და გაანალიზებული მათი სამეწარმეო შესაძლებლობები და სარესურსო პოტენციალი. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივ დონეებზე ეკონომიკის ისეთი პროფილური დარგების გამოვლენას და მათი ფუნქციონირების ხელშეწყობას, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ადგილობრივი ეკონომიკის სწრაფი გაჯანსაღება. ჩვენი აზრით, გატარებული ეკონომიკური რეფორმები, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე, არ ითვალისწინებდა მუნიციპალური თავისებურებების, პოტენციალს, შესაძლებლობებს. სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შემუშავება ხდებოდა სპონტანურად.

მუნიციპალიტეტების დონეებზე არ ხდებოდა სამეწარმეო შესაძლებლობების და სარესურსო პოტენციალის ღრმა ანალიზი. ადგილობრივ დონეებზე ფაქტობრივად არ ტრადებოდა ბიზნესის ხელშემწყობი ღონისძიებები, შეზღუდული იყო, ინვესტიციების მოზიდვის მიზნით ადგილობრივი დონის მმართველობის ურთიერთობა სხვადასხვა დონორ, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელი იყო მომხდარიყო რეგიონში არსებული სამეწარმეო შესაძლებლობების გამოვლენა და შესწავლილიყო სარესურსო პოტენციალი, რადგანაც სწორედ რეგიონის სამეწარმეო შესაძლებლობები და შესაბამისი სარესურსო პოტენციალი წარმოადგენს განვითარების ძირითადად საფუძველს.

აჭარის რეგიონის სარესურსო პოტენციალის განმსაზღვრელი კრიტერიუმები

| № | მაჩვენებელი | სტატისტიკური მონაცემების წყარო | ვინ ახდენს მონაცემების შეგროვება-მონიტორინგს | ვინ არის ინფორმაციის ადრესატი |
|---|---------------------------|--|--|---|
| 1 | ადამიანური რესურსი | აჭარის მთავრობა. მუნიციპალიტეტის მერია. გარემოს დაცვის სამინისტრო | მერიის შესაბამისი სამსახური | მუნიციპალიტეტის საკრებულო. ადგილობრივი მოსახლეობა. ადგილობრივი და უცხოური ინვესტორი |
| | ფინანსური რესურსი | | | |
| | ინოვაციური რესურსი | | | |
| | ბუნებრივი რესურსი | | | |
| 2 | საინვესტიციო რესურსი | აჭარის მთავრობა. გარემოს დაცვის სამინისტრო. მუნიციპალიტეტის მერია | მერიის შესაბამისი სამსახური | მუნიციპალიტეტის საკრებულო. ადგილობრივი მოსახლეობა. ადგილობრივი და უცხოური ინვესტორი |
| | ეკოლოგიური რესურსი | | | |
| | საკადრო რესურსი | | | |
| | პოლიტიკური რესურსი | | | |
| 3 | ინფორმაციული რესურსი | აჭარის მთავრობა. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მუნიციპალიტეტის მერია. | მერიის შესაბამისი სამსახური | მუნიციპალიტეტის საკრებულო. ადგილობრივი მოსახლეობა. ადგილობრივი და უცხოური ინვესტორი |
| | სოციალური რესურსი | | | |
| | სოფლის მეურნეობის რესურსი | | | |
| | ინფრასტრუქტურული რესურსი | | | |

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტები გამოირჩევა თავისი ბუნებრივი რესურსებით, რომელიც მომავალში შეიძლება გახდეს რეგიონის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობა. აჭარაში მოიპოვება როგორც მადნეული, ასევე არამადნეული წიაღისეული. რკინის მადნები გვხვდება ქობულეთის ზღვის სანაპიროზე. ფერადი ლითონები გვხვდება შუახევის მუნიციპალიტეტში. რეგიონში არის ასევე საამშენებლო-მინერალური ნედლეული: კერამიკული თიხები, ბაზალტი, ანდეზიტი, მაგმური ქანები ასევე ტორფი. რეგიონში გვხვდება ასევე მინერალური

სამკურნალო მჯავე წყლები, ასევე გოგირდოვანი წყლები. რეგიონი გამოირჩევა ასევე მდიდარი და მრავალფეროვანი ტყის რესურსებით.

ცხრილი №22.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ძირითადი ბუნებრივი რესურსები

2021 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით

| № | რესურსი | ზომის ერთეული | რაოდენობა | მათ შორის | | შენიშვნა |
|----|--|---------------|-----------|----------------|----------------|---|
| | | | | გამოყენებული % | გამოყენებადი % | |
| 1 | მიწის ფონდი | ათასი/ ჰა | 290 | 27 | 40 | |
| | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | ათასი/ ჰა | 72.9 | 25.1 | 100 | |
| 2 | სახ. სათ. სავარგული | ათასი/ ჰა | 25.1 | 38 | 100 | |
| 4 | ტყის ფონდი | ჰა | 150.1 | 7 | 45 | გამოყენებულ ტყის ფონდში იგულისხმება, ეროვნული პარკების, ველური საკვები პროდუქციის მოპოვების და სხვ დანიშნულების ტყის ნაწილი |
| 6 | მსხვილი რქ. პირუტყვი | ათასი სული | 55.1 | | | შეინიშნება მნიშვნელოვანი კლება |
| 7 | მდინარეების საშ.წლიური ხარჯი | მ3/წმ | 373.5 | | | |
| 8 | დადგმული ჰესების სიმძლავრე | მვტ | 200 | 75 | 100 | |
| 9 | მშენებარე და დაპროექტებული ჰესების სიმძლავრე | მვტ | 190 | 0 | 100 | |
| 10 | მინერალური წყლების დებეტი | ტ/დღე-ღამეში | 1348 | 5 | 100 | |
| 11 | მოსაპირკეთებელი ქვების მარაგი | მლნ/მ3 | 21.41 | 14 | 90 | დიდი ნაწილი ჩამოწერილია |
| 12 | სამშენებლო ინერტული მასალების დებეტი | მლნ/მ3 | 77.3 | 60 | 100 | |
| 13 | მვირფასი ლითონების მარაგი | მლნ/მ3 | 111.64 | 5 | 100 | მარაგები დამტკიცებულია 1955-1970 წწ, ნაწილი ჩამოწერილია |

| | | | | | | |
|----|--------------------------------|------------|-------|------|-----|-----------------------|
| 14 | საკურორტო ობიექტები | ერთეული | 16 | 90 | 100 | |
| 15 | შრომისუნარიანი მოსახლეობა | ათასი კაცი | 155.1 | 46.9 | 90 | |
| 16 | საგანმანათლებლო დაწესებულებები | ერთეული | 253 | | | |
| 17 | უმაღლესი სასწავლებლები. | ერთეული | 9 | | | 3 სახელმწიფო, 6 კერძო |

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ.

სავსებით ვეთანხმებით ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების: ი. მესხიას, ე. ბარათაშვილის, ნ. ჭითანავას, რ. მანველიძის, ნ. ჩიხლაძის, ლ. ჩიქავას, ვლ. პაპავას, ნ. გრძელიშვილის, ბ. ჭიჭინაძის ნაშრომებსა და სამეცნიერო სტატიებში გამოთქმულ შეხედულებებს, რომ მუნიციპალიტეტების ეკონომიკური მდგრადობის, საინვესტიციო მდგომარეობის გაუმჯობესების და კონკურენტუნარიანობის ზრდის საფუძველს წარმოადგენს მუნიციპალიტეტებში არსებული მდიდარი სამეწარმეო შესაძლებლობების, სარესურსო პოტენციალის ეფექტური და ეფექტიანი გამოყენება.

სწორედ ამ პოტენციალის გამოყენების მიმართულებით უნდა იმუშავონ აჭარის მუნიციპალიტეტების მერიების შესაბამისმა დარგობრივმა სამსახურებმა. ყურადღება უნდა გამახვილდეს რეგიონში შექმნილი დამატებითი ღირებულების მაჩვენებლის ზრდაზე. ამ ეტაპზე განსაკუთრებით აქტუალურია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოება, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

არსებულ მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს ის, რომ ცენტრალური ხელისუფლების მიერ ამ ეტაპისათვის არ არის შედგენილი ერთიანი მეთოდოლოგია, რომელიც შესაბამისი ინდიკატორების გამოყენებით უზრუნველყოფს რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის გამოვლენას.

საქართველოში საკმაოდ კარგი პირობებია ბიზნესის დასაწყებად, რეგისტრაციის პროცედურები საკმაოდ გამარტივებულია, მეორე მხრივ ბიზნეს ოპერატორებზე არც საგადასახადო წნეხია დიდი, რაც დამატებითი პოზიტიური პირობაა, საქართველოში 2021 წლის 01 იანვრისათვის არსებობს 6 გადასახადი (საშემოსავლო, მოგების, დღგ, აქციზი, იმპორტისა და ქონების), რომელთაგან მხოლოდ ქონების გადასახადი ირიცხება სრულად (100%) ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. ამ გადასახადის განაკვეთის განსაზღვრა, სათანადო პირობების დაცვით,

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი/არჩევითი ორგანოს - საკრებულოს მიერ ხდება და არის შესაძლებლობა ადგილობრივი ბიზნესის ხელშეწყობისა და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით გარკვეული შეღავათების დაწესებისა. ასევე მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსაკრებლების საკითხი. მუნიციპალიტეტის მერიები თავიანთი კომპეტენციის ფარგლები მაქსიმალურად ცდილობს ადგილობრივი მეწარმე-სუბიექტების პირობების გასაუმჯობესებლად, დააწესოს გარკვეულის სახის შეღავათები ადგილობრივი ქონების გადასახადის და მოსაკრებლების გადახდის მიმართულებით.

განვიხილოთ აჭარის საწარმოთა ბრუნვის მაჩვენებლების, გამოშვებული პროდუქციის, დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობისა და დასაქმებულთა შრომის საშუალოთვიური ანაზღაურების შესახებ მონაცემები.

ცხრილი №23.

აჭარის რეგიონში საწარმოთა ბრუნვის მაჩვენებლები საწარმოთა ზომის მიხედვით
(მლნ.ლარი)

| საწარმო | 2015 წ | 2016 წ | 2017 წ | 2018 წ | 2019 წ |
|---------|----------|-----------|----------|----------|----------|
| მსხვილი | 1,055.80 | 1,192.20 | 1,241.20 | 1,195.60 | 2,376.30 |
| საშუალო | 1,044.00 | 1,150.60 | 1,525.20 | 1,804.5 | 1,882.3 |
| მცირე | 2,095.70 | 21,543.00 | 2,410.50 | 2,694.90 | 3,140.80 |
| სულ: | 4,155.50 | 4,755.80 | 5,176.90 | 5,695.00 | 7,399.40 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

წარმოდგენილი მონაცემებიდან ირკვევა, რომ აჭარის რეგიონში 2015 წელს რეგისტრირებული მცირე საწარმოს ბრუნვის წლიურმა მოცულობამ შეადგინა 2,095.7 მლნ.ლარი, მაშინ როცა ანალოგიური მაჩვენებელი 2019 წლისათვის შეადგენდა 3,140.8 მლნ. ლარს. ბრუნვის მოცულობის ზრდამ 2015-2019 წლებში შეადგინა თითქმის 50 %. საშუალო ბიზნესის ბრუნვის მოცულობამ 2015 წელს შეადგინა 1,044.0 მლნ. ლარი, 2019 წელს კი - 1,882.3 მლნ.ლარი, შესაბამისად 80% იანი ზრდა ფიქსირდება. მცირე და საშუალო საწარმოთა ბრუნვის მაჩვენებელი და წლიური ზრდის დინამიკა იძლევა იმის საფუძველს, რომ არსებული რესურსების პირობებში,

სწორი რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შემთხვევაში აღნიშნული პოზიტიური მაჩვენებელი კიდევ უფრო შთამბეჭდავი გახდეს.

ცხრილი №24.

აჭარის რეგიონში გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა საწარმოთა ზომების მიხედვით
(მლნ.ლარი)

| საწარმო | 2015 წ | 2016 წ | 2017 წ | 2018 წ | 2019წ |
|---------|----------|----------|----------|----------|----------|
| მსხვილი | 742.7 | 933.8 | 656.4 | 672.2 | 1,354.70 |
| საშუალო | 635.5 | 847 | 1,002.20 | 1,234.2 | 1,204.40 |
| მცირე | 1,048.00 | 1,298.80 | 1,496.40 | 1,626.6 | 1,867.10 |
| სულ: | 2,426.30 | 3,079.60 | 3,155.00 | 3,532.90 | 4,426.10 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

წარმოდგენილი მონაცემებიდან ირკვევა, რომ 2015 წელს აჭარის რეგიონში მცირე საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის რაოდენობამ შეადგინა 1,048.0 მლნ.ლარი, ხოლო 2019 წელს 1,867.1 მლნ. ლარი. საშუალო ზომის საწარმოების მიერ გამოშვებულმა პროდუქციის რაოდენობამ კი 2015 წელს 635.5 ათასი ლარი შეადგინა, 2019 წელს კი მისი მაჩვენებელი 1,204.4 მლნ.ლარამდე გაიზარდა. საშუალო საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის ზრდამ 2019 წელს, 2015 წელთან შედარებით თითქმის 90 % შეადგინა.

ცხრილი №25.

აჭარაში დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა საწარმოთა ზომის მიხედვით
(ერთეული)

| საწარმო | 2015 წ | 2016 წ | 2017 წ | 2018 წ | 2019 წ |
|---------|--------|--------|--------|--------|--------|
| მსხვილი | 13,437 | 15,457 | 14,454 | 13,895 | 16,586 |
| საშუალო | 12,351 | 13,193 | 15,215 | 16,340 | 14,915 |
| მცირე | 31,766 | 37,947 | 40,419 | 40,057 | 43,303 |
| სულ: | 57,555 | 66,597 | 70,087 | 70,292 | 74,804 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აჭარის მუნიციპალიტეტებში მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში დასაქმებული პირების რაოდენობის ანალიზისას ირკვევა, რომ 2015 წელს აჭარის რეგიონში მცირე ბიზნესის სფეროში სულ დასაქმებული იყო 31,766 კაცი, 2018 წელს- 40,057, ხოლო 2019 წელს კი-43,303 კაცი. საშუალო ბიზნესის სფეროში დასაქმებულთა მაჩვენებელი კი 2015 წელს-12,351 კაცს, 2018 წელს--16,340, 2019 წელს კი-14,915 კაცს შეადგენდა. 2015 წელს მცირე ბიზნესის სფეროში სულ დასაქმებული იყო აჭარის რეგიონში სულ დასაქმებულთა--55 %, ხოლო იმავე წელს საშუალო ბიზნესში დასაქმებული იყო მთლიანად აჭარის რეგიონში დასაქმებულთა-21.5 %. ანალოგიური მაჩვენებელი 2019 წელს მცირე ბიზნესისთვის შეადგენდა--58 %-ს, ხოლო საშუალო ბიზნესისთვის-19.9 %-ს. დასაქმებულთა ზრდის ტენდენციის შენარჩუნება პოზიტიურად იმოქმედებს აჭარის რეგიონის ბიზნეს გარემოზე. რიგ შემთხვევებში მცირე ბიზნესში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა, საშუალო ბიზნესში დასაქმებულთა ხარჯზე ხდება, რაც მცირე ბიზნესის სფეროში განხორციელებული მასტიმულირებელი პროგრამების შედეგია.

ცხრილი №26.

აჭარაში დასაქმებულთა საშუალოთვიური ანაზღაურება საწარმოთა ზომის მიხედვით
(ლარი)

| საწარმო | 2015 წ | 2016 წ | 2017 წ | 2018 წ | 2019 წ |
|---------|----------|----------|----------|----------|----------|
| მსხვილი | 1,234.60 | 1.403.3 | 1,134.10 | 1,153.40 | 1,554.50 |
| საშუალო | 928.2 | 1,011.00 | 1,045.70 | 1,224.2 | 1.195.6 |
| მცირე | 573.5 | 517.1 | 644.9 | 690.2 | 702.1 |
| სულ: | 821.5 | 854.4 | 848.5 | 928.7 | 1.019.0 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


აჭარაში სხვადასხვა ზომის საწარმოებში დასაქმებულთა საშუალო ხელფასის 2015-2019 წლების სტატისტიკამ გვიჩვენა, რომ 2015 წელს მცირე საწარმოში საშუალოთვიური ნომინალური ხელფასის ოდენობამ 573.5 ლარი შეადგინა, 2019 წელს კი-702.10 ლარი, 2015-2019 წლების წლიური ინფლაციის გათვალისწინებით ზრდა (128.60 ლარი) უმნიშვნელოა. გამომდინარე აქედან შეგვიძლია აღვნიშნოთ რომ ზრდა ფაქტიურად არ გვქონია. ანალოგიური მდგომარეობა იყო საშუალო საწარმოებში დასაქმებული პირების საშუალოთვიური ხელფასების შემთხვევაშიც.

2015 წელს ნომინალურმა ხელფასმა შეადგინა 928.20 ლარი, ხოლო 2019 წელს კი-1195.60 ლარი. 2015-2019 წლებში გაიზარდა ნომინალური ხელფასი (ხელფასი ინფლაციის გათვლისწინებით), რეალური ხელფასის ზრდას კი ადგილი არ ჰქონია. აღნიშნული ნეგატიური პროცესების აღმოფხვრა ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა. მთავრობამ გატარებული ფულად-საკრედიტო და მონეტარული პოლიტიკის საშუალებით უნდა მოახდინოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაბალანსება, გადასახადების ტვირთის სამართლიანად გადანაწილება, ინფლაციის კონტროლი, მთავრობის საშინაო და საგარეო ვალის კონტროლი, შეამციროს წლების განმავლობაში არსებული უარყოფითი სავაჭრო სალდო, არეგულიროს საბანკო სესხის განაკვეთი, უცხოური ვალუტის შემოდინება-გადინება, აკონტროლოს უმუშევრობის დონე.

აჭარის მუნიციპალიტეტების საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლების მიზნით მნიშვნელოვანია ისეთი საინვესტიციო პოლიტიკის გატარება, რომელიც მაქსიმალურად მოკლე პერიოდში უზრუნველყოფს რეგიონის საინვესტიციო დარგების დივერსიფიკაციას.

დიაგრამა №6.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2009-2020 წწ (ათასი აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აღსანიშნავია ის რომ რეგიონში განთავსებული ინვესტიციის 70 % მოდის ბათუმის მუნიციპალიტეტზე, დანარჩენი 30 % ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტებზე. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2009-2020

წლებში შემოსული უცხოური ინვესტიციების ანალიზით ირკვევა, რომ 2020 წელს წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა შემოსული უცხოური ინვესტიციების რაოდენობა, რაც ძირითადად მსოფლიო პანდემიის ფონზე საქართველოში განვითარებული მოვლენებით, ასევე გაუმართავი მუნიციპალური საინვესტიციო პოლიტიკით არის გამოწვეული.

აჭარის მუნიციპალიტეტები გამოირჩევა მდიდარი სასოფლო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის, ტყის და სხვა ბუნებრივი რესურსებით. რეგიონის მუნიციპალიტეტებში მრავალწლიანი კულტურებიდან გავრცელებულია ციტრუსი. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში იწარმოება ქვეყანაში წარმოებული მთლიანი ციტრუსის 70 %. ციტრუსის რეალიზაცია ძირითადად ყოფილი საბჭოთა კავშირის, შუა აზიის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ხდება. რეგიონში მნიშვნელოვნადაა განვითარებული ჩაის კულტურა, მეცხოველეობის დარგი, ფართოდაა გავრცელებული თხილის, თაფლის, რძის და სხვა პროდუქტების წარმოება. მრავალფეროვნებით გამოირჩევა აჭარის ტყის მასივები. სსიპ „საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს“ მასალებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტყის ფართობი მთლიანი ფართობის 65 %-ს შეადგენს. ტყის მასივები გამოირჩევა თავისი მრავალფეროვნებით, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის რეგიონს.

ცხრილი №27.

აჭარის მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა

2020 წლის 01 იანვრისათვის

| მუნიციპალიტეტი | რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა | აჭარაში რეგისტრირებულ საწარმოთა მიმართებაში | |
|----------------|-----------------------------------|---|-------------------|
| | | (%) | მათ შორის აქტიური |
| ბათუმი | 39640 | 59.55 | 10520 |
| ქობულეთი | 10290 | 15.45 | 2480 |
| ხელვაჩაური | 9990 | 15 | 2440 |
| ქედა | 1950 | 2.94 | 485 |
| შუახევი | 1675 | 2.52 | 440 |
| ხულო | 3040 | 4.54 | 860 |
| სულ აჭარა | 66585 | | 17225 |

წყარო: აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ 2020 წლის 01 იანვრისათვის აჭარის რეგიონში მოქმედ საწარმოთა რაოდენობა მთლიანად რეგისტრირებულ საწარმოთა მხოლოდ 25.90 %-ს შეადგენს. კონკრეტულად მუნიციპალიტეტების მიხედვით კი შემდეგ სურათს ვღებულობთ: ხულოში მოქმედ საწარმოთა რაოდენობა შედგენდა რეგისტრირებულ საწარმოთა 28 %,ს, შუახევში - 26 %-ს, ქედამი - 25 %-ს, ხელვაჩაურში და ქობულეთში - 24 %-ს, ბათუმში კი - 26.5 %-ს. წარმოდგენილი მონაცემები კიდევ ერთხელ მიუთითებს რეგიონში რეგისტრირებულ და მოქმედ საწარმოთა შორის მნიშვნელოვან სხვაობაზე. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ქედამი, შუახევში და ხულოში რეგისტრირებული საწარმოების აბსოლუტური უმრავლესობა წარმოადგენს მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოს. ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ საწარმოთა 55 % არის მცირე და საშუალო. ანალოგიური მაჩვენებელი შუახევის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში შეადგენს 95 %-ს, ხოლო ხულოს მუნიციპალიტეტში კი 60 %-ს. ხულოს, შუახევის და ქედის მუნიციპალიტეტებში ძირითადად განვითარებულია სავაჭრო და საცალო ვაჭრობის სექტორი. მნიშვნელოვნადაა ასევე განვითარებული სოფლის მეურნეობის და ტურიზმის მიმართულებები. ვითარდება სამთო-სათხილამურო კურორტები შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტში, ასვე ვითარდება სასოფლო, აგრო და ეკოტურიზმი. აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში დღეისათვის ყველა პირობაა შექმნილი, ადგილობრივი მდიდარი ბუნებრივი რესურსების გამოყენებით, სწრაფად განვითარდეს მუნიციპალიტეტის ეკონომიკა. აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში ინვესტიციების მოზიდვის მხრივ კი მდგომარეობა სავალალოა. 2015-2020 წლებში მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის განვითარების მიმართულებით ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტებში განთავსდა რეგიონში მთლიანად მოზიდული ინვესტიციის მხოლოდ 11 %, რაც მეტად მიზეზული თანხაა დარგის განვითარების უზრუნველსაყოფად. გამომდინარე იქედან რომ ბიზნესის განვითარება პირდაპირ კავშირშია ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებასთან, ამიტომ უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში ისეთი მუნიციპალური ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას რომელიც მნიშვნელოვნად გაზრდის მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში

წარმოებული პროდუქციის რაოდენობას. ამ მიმართულებით მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს ნაყოფიერი მიწის რესურსი. ქედის მუნიციპალიტეტში არის 5093 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, შუახევში 58 800 ჰა, ხულოში კი 2446 ჰა.

ცნობილია, რომ ქვეყნის, ან მისი ცალკეული რეგიონების განვითარების მიმართულებით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არსებული ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას. როგორც ვიცით, მას შემდეგ რაც ნორვეგიამ მე-20 საუკუნის 60 -იან წლებში აღმოაჩინა ნავთობის საბადოები, მაშინვე მიიღო კანონი, რომელიც არსებულ საბადოებს აღიარებდა სახელმწიფო საკუთრებად და მის საფუძველზე შექმნა „მომავალი თაობების ფონდი“, რაც გახდა საფუძველი აღნიშნული რესურსის ეფექტურად გამოყენებისა, მომავალი თაობების ინტერესების დასაკმაყოფილებლად. საჭიროა გათვალისწინებულ იქნას ნორვეგიის ეს მდიდარი გამოცდილება, ეკონომიკურ პროცესებში ბუნებრივი რესურსების ეფექტურად გამოყენების მიმართულებით.

ცხრილი №28.

მინერალური რესურსული ფონდის განაწილება საქართველოს მხარეებში
(რესურსების ეკონომიკური ტიპი %-ში)

| ადმ. ერთეული | სათბობ- ენერგეტიკული რესურსი | მეტალები და იშვიათი ლითონები | ქიმიური, აგროქიმიური რესურსი | სანაკეთო ქვები, კერამიკული რესურსი | მოსაპირკეთებელი და საშენ ქვები | მეტალურგიული ინერტული და სამშენებლო რესურსები | მიწიქვეშა მინერალური წყლები | სახელმწიფოში არსებული რესურსის წილი % |
|---------------------------------------|------------------------------------|---------------------------------|------------------------------------|--|-----------------------------------|--|-----------------------------------|---|
| თბილისი | 2.4 | 0 | 1 | 0 | 0.4 | 0.8 | 0 | 0.6 |
| აფხაზეთის ა.რ | 19 | 10.1 | 14.6 | 1.3 | 14.3 | 10.2 | 14.5 | 11.6 |
| აჭარის ა.რ. | 2.4 | 4.3 | 1 | 2.5 | 2.6 | 1.7 | 4.3 | 2.3 |
| გურია | 16.7 | 1.4 | 3.1 | 3.8 | 1.7 | 2.8 | 5.8 | 3.4 |
| სამეგრელო | | | | | | | | |
| ზემო | 23.8 | 5.8 | 5.2 | 7.5 | 9.1 | 9.1 | 5.8 | 8.7 |
| სვანეთი | | | | | | | | |
| იმერეთი | 7.1 | 7.2 | 34.2 | 30 | 22.1 | 19.2 | 13 | 20.7 |
| რაჭა- ლეჩხუმში ქვემო სვანეთი | 0 | 31.9 | 5.5 | 20 | 6.5 | 5.2 | 2.9 | 8.3 |

| | | | | | | | | | |
|-----------------|------|------|------|------|------|------|------|------|--|
| შიდა ქართლი | 0 | 10.1 | 7.3 | 8 | 5.6 | 14 | 8.7 | 9.3 | |
| სამცხე-ჯავახეთი | 2.4 | 0 | 11.5 | 13.8 | 7.8 | 8.3 | 14.5 | 8.5 | |
| მცხეთა-მთიანეთი | 0 | 0 | 7.3 | 7.5 | 5.2 | 6.1 | 14.5 | 6 | |
| ქვემო ქართლი | 7.1 | 27.5 | 5.2 | 8.6 | 21.2 | 8.3 | 8.7 | 12.5 | |
| კახეთი | 19.1 | 1.5 | 4.1 | 0 | 3.5 | 14.3 | 7.3 | 8.1 | |
| სულ: საქართველო | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | |

წყარო: [29]

წარმოდგენილი მონაცემებით, ირკვევა რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას გააჩნია ისეთი მინერალური რესურსები, რომელთა ეფექტური გამოყენება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს რეგიონში მცხოვრები მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. თანამედროვე ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესში კიდევ უფრო იკვეთება სახელწიფოს ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების აუცილებლობა, რომელიც ორიენტირებული იქნება რეგიონებში არსებული ბუნებრივი რესურსების ეფექტურ გამოყენებაზე და მიმდინარე პერიოდში ბუნებრივი რესურსების მოხმარება საფრთხეს არ შეუქმნის მომავალი თაობების კეთილდღეობას. მიგვაჩნია, რომ სახელმწიფომ ბუნებრივი რესურსები უნდა გამოიყენოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის ზრდის მისაღწევად და პროცესში მაქსიმალურად უნდა იქნას გათვალისწინებული ქვეყნის ეკონომიკაზე მოქმედი ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში არსებული მდიდარი შრომითი, ბუნებრივი, ტრადიციული და ინოვაციური რესურსი მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული შესაბამისი მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური გეგმის შედგენისას. განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს აჭარის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში (ხულო, ქედა, შუახევი) არსებულ გამოუყენებელ პოტენციალს.

ქედის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა ისეთი ტრადიციული დარგების განვითარებით როგორებიცაა: მეთამბაქოება, მევენახეობა, მებაღჩეობა. მუნიციპალიტეტებში მნიშვნელოვანი პოტენციალია ხილ-ბოსტნეულის მოყვანა-რეალიზაციის მიმართულებით. ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა, შესაბამისი

საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებასთან ერთად, უნდა იზრუნონ მოწეული პროდუქციის გასაღების ბაზრების მოძიებასა და პროდუქციის შესანახი საცავების მოწყობაზე, რაც მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება დასაქმების და პროდუქციის რეალიზების მიმართულებით.

შუახევის მუნიციპალიტეტი ასევე გამოირჩევა მაღალი ხარისხის თამბაქოსა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებით. აქ მოჰყავთ კარტოფილი, ნიგოზი, სიმინდი, კენკროვანი მცენარეები. მუნიციპალიტეტის მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. სამშენებლო ქვის საბადოებით, მინერალური წყლებით. ამ მხრივ შეგვიძლია გამოვყოთ ალუმინის, გაბროს, სანალიის, ბრილის სააგურე თიხის საბადოები. ასევე დღვანის, ბოგილის, გუდნის, ნიგაზეულის და სხვა მინერალური წყლის საბადოები. მუნიციპალიტეტი გამოირჩევა ისეთი მნიშვნელოვანი სასარგებლო რესურსებით, როგორებიცაა გოგირდწყალბადის თერმული წყლები, რომელთა ტემპერატურა 30 °C-ს აღწევს. მუნიციპალიტეტი მდიდარია ასევე რეკრეაციული რესურსით. შუახევის ტერიტორიაზე ჩაედინება მდინარეები: აჭარისწყალი, ტბეთისწყალი, ჭვანისწყალი, ჩირუხის წყალი, სანალიის წყალი. ზოგიერთ მათგანზე აგებულია ჰიდროელექტროსადგური. 2017 წლიდან ექსპლუატაციაში გაეშვა „შუახევი ჰესი“ რომლის დადგმული სიმძლავრე 187 მეგავატია.

ხულოს მუნიციპალიტეტი გამოირჩევა ისეთი ტრადიციული დარგის განვითარებით, როგორიცაა მეცხოველეობა, მეხაჩეობა და მეხილეობა. მუნიციპალიტეტი მდიდარია მინერალური წყლების რესურსებით ყინჩაურის, დანისპარაულის, წაბლანის, ხიხაძირის მხარეში. არსებობს ასევე თერმული წყლებიც, სადაც გოგირდწყალბადიანი წყლის ტემპერატურა თითქმის ცელსიუსით 35 გრადუსია. მუნიციპალიტეტი მდიდარია რეკრეაციული რესურსებით. აქ ჩამოედინება მდინარეები: აჭარისწყალი, სხალთისწყალი, ღორჯომისწყალი. არის მრავალი წყარო.

წარმოდგენილი ბუნებრივი და რეკრეაციული რესურსების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აჭარის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში (ქედა, შუახევი, ხულო) მუნიციპალური ეკონომიკური განვითარების გეგმით

მოხდება არსებული მდიდარი ადგილობრივი პოტენციალის ეფექტიანი და ეფექტური გამოყენება. შედეგად კი მუნიციპალიტეტებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ბიზნესგარემო, გაიზრდება დასაქმება და რეგიონი მიმზიდველი გახდება ქართველი და უცხოელი ინვესტორებისათვის.

დღეს მსოფლიოში სულ უფრო პოპულარული ხდება ველნეს ინდუსტრია. აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტებში ხელსაყრელი პირობებია შექმნილი ამ ინდუსტრიის გასაწვითარებლად. ბიზნესის აღნიშნული მიმართულებით ძირითადად მაღალშემოსავლიანი ტურისტები სარგებლობენ, რადგანაც ის მოიცავს სპასალონებით, ფიტნესით, კოსმეტოლოგიით, დაბერების საწინააღმდეგო მედიცინით, დიეტოლოგიის და ფიტოთერაპიის კაბინეტებით სარგებლობას. აღნიშნული ბიზნესის განვითარება მნიშვნელოვან შემოსავალს მოუტანს აჭარის რეგიონს, ასევე ხელს შეუწყობს რეგიონის ცნობადობის ზრდას.

ბათუმი, ქობულეთი, მახინჯაური, გონიო, კვარიათი, სარფი, ციხისძირი, მწვანე კონცხი, ჩაქვი, კოკოტაური, ბაბანაური, გომარდული და ბეშუმი გამორჩეულია სამკურნალო კლიმატით. ბათუმს გააჩნია ასევე კარგი ინფრასტრუქტურა, იქ არსებობს მსოფლიოში ცნობილი სასტუმრო ბრენდები, გასართობი ცენტრები, დასასვენებელი პარკები, ზღვისპირა ნოტიო, სუბტროპიკული ჰავა და ზღვის წალი. ჰაერის და მზის აბაზანები გამოიყენება გულ-სისხლძარღვთა და სუნთქვის სისტემის და რკინადეფიციტური ანემიის დროს.

ქობულეთს გააჩნია უნიკალური პლაჟი, მიკროკლიმატი ნერვული, გულ-სისხლძარღვთა სისტემების, სისხლნაკლებობის და რაქიტის წინააღმდეგ. აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტების ასეთი მდიდარი პოტენციალი ხელსაყრელ პირობებს ქმნის რეგიონში ველნეს ინდუსტრიის განვითარების მიმართულებით.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში არსებობს მდიდარი შესაძლებლობები ტურიზმის შემდეგი მიმართულებებით განვითარებისათვის:

- შემეცნებითი ტურიზმი;
- ეკოტურიზმი;
- სასოფლო და აგრარული ტურიზმი;
- სამთო ტურიზმი;

- საცხენოსნო ტურიზმი;
- სამკურნალო ტურიზმი.

მუნიციპალიტეტში კარგადაა განვითარებული სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელი მრეწველობა, მათ შორის: ხილის, ბოსტნეულის, ჩაის და სუბტროპიკული კულტურების მოყვანა-გადამამუშავება. ქობულეთი ფლობს აჭარის რეგიონის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების თითქმის 45%-ს. მუნიციპალიტეტში მრავლადაა დაცული ტერიტორიები და ეროვნული პარკები. 2015-2020 წლებში ქობულეთის მუნიციპალიტეტის საწარმოთა ბრუნვის წილი აჭარის საწარმოთა ბრუნვის დაახლოებით 6% - ის ფარგლებში მერყეობდა, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა რეგიონში დასაქმებულთა - 9%-ს აღწევს. მუნიციპალიტეტში წარმოებული პროდუქცია გადის ექსპორტზე როგორც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, ასევე აზიის და ევროპის ქვეყნებში.

თავისი სპეციფიკით გამოირჩევა ქედის მუნიციპალიტეტი. 2015-2020 წლებში ქედის მუნიციპალიტეტის საწარმოთა ბრუნვის წილი აჭარის საწარმოთა ბრუნვის დაახლოებით 0.4%-ს შეადგენდა. დასაქმებულთა რაოდენობა კი რეგიონში დასაქმებულთა 1.2 %-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 80 % სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული. საქმიანობის ძირითად სახეს წარმოადგენს: მეთევზეობა, ბოსტნეულის წარმოება.

მნიშვნელოვანია, კერძო სექტორის, სახელმწიფო სტრუქტურებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლობა სარესურსო პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზების მიზნით.

თანამშრომლობის ერთ-ერთი მაგალითია 2017 წელს ქედის მუნიციპალიტეტში ევროკავშირის ENPARD პროგრამის ფარგლებში პროექტის - „ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი რესურსებისა და პოტენციალის ოპტიმალური გამოყენება სოფლის განვითარებისთვის“ დამტკიცება. პროექტის მიზნად განისაზღვრა ადგილობრივი ეკონომიკური საქმიანობის დივერსიფიკაცია, ინვესტიციების მოზიდვა, კონკურენტული სასოფლო-სამეურნეო და გარემოსდაცვითი პროექტების რეალიზების ხელშეწყობა. ასევე, მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების პოტენციალის გაძლიერება და ადგილობრივი

შესაძლებლობების მაქსიმალურად ეფექტური და ეფექტიანი გამოყენება. აღნიშნული პროექტი ხორციელდება შემდეგ ორგანიზაციებთან პარტნიორობით:

- საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG);
- დემოკრატიის ინსტიტუტი (IOD);
- ავსტრიის რეგიონული კვლევებისა და სივრცითი დაგეგმარების ინსტიტუტი (OIR).

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარაში მოქმედმა ფერმერმა აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს „დანერგე მომავლის“ ფარგლებში 1 ჰა-ზე გააშენა ლურჯი მოცვი. მას დაუფინანსდა 32000 ძირი ლურჯი მოცვის ნერგის შექმნა. მიღებული პროდუქცია დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე. სულ მეურნეობაში დასაქმებულია 50 ადამიანი.

ქედის მუნიციპალიტეტში არსებობს მშრალი ხილის გადამამუშავებელი საწარმო. საწარმოში ხდება სხვადასხვა სახის მშრალი ხილის დამუშავება, დაფასოება და შესაბამისი შეფუთვის შემდეგ პროდუქციის ბაზარზე გატანა. საწარმო აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ არსებული პროგრამის ფარგლებში 100 000 ლარით დაფინანსდა. მეურნეობაში დასაქმებულია 40 ადამიანი. [2]. საჭიროა აღინიშნოს, რომ ანალოგიური, ოღონდ მცირე მოცულობის, აგრარული მეურნეობები არსებობს ხელვაჩაურის, ხულოს, შუახევის და ქედის მუნიციპალიტეტებშიც.

აღნიშნული ორგანიზაციების ჩართულობით და მათი გამოცდილების გაზიარებით მიზნად იქნა დასახული ქედის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის შემუშავება. სოფლად არსებული ეკონომიკური და საინვესტიციო შესაძლებლობების გაძლიერება, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის და დასაქმების ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება. ასევე განისაზღვრა დასაქმების შესაძლებლობების მდგრადი პროექტების იდენტიფიცირება, ინოვაციური პროექტების დაფინანსება და განხორციელება, ქედის მარკეტინგული და საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება. მიუხედავად იმისა, რომ თანამშრომლობის ფარგლებში მნიშვნელოვანი პროექტები დაიგეგმა, საბოლოო მიზანი მიღწეული მაინც არ არის, რაც კიდევ ერთხელ აყენებს დღის წესრიგში ქედის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი (საკრებულო) და აღმასრულებელი

ორგანოების (მერია) გააქტიურების აუცილებლობას, საჯარო და კერძო თანამშრომლობის ფარგლებში მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით, საქართველოს 2022-2030 წლების განვითარების გეგმის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საპროგნოზო მონაცემების, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების სტრატეგიული განვითარების გეგმებისა საფუძველზე წარმოვადგენთ მონაცემებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების მიმდინარე და ჩვენ მიერ პროგნოზირებადი სამომავლო ეკონომიკური მაჩვენებლების შესახებ:

ცხრილი №29.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების მიმდინარე და საპროგნოზო ეკონომიკური მაჩვენებლები 2020-2028 წლებში

| მუნიციპალიტეტი | წწ | მაჩვენებ. | | | | | 2020-2028 წლების ეკონომიკური მაჩვენებლების შედარებითი სხვაობა % |
|----------------|------|---|-------------------------------|---|--------------------------------------|--|---|
| | | რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა (ერთეული) | ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი) | საბიუჯეტო შემოსავლები წლიურად, ერთ სულზე (ლარი) | დასაქმებულთა რაოდენობა. (ათასი კაცი) | აჭარის ა.რ. შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტი. საბაზისო ფასებში. (მლნ.ლარი) | |
| ბათუმი | 2020 | 10520 | 92.3 | 936 | 60850 | 2350 | (+50%) |
| | 2025 | 12400 | 225 | 1560 | 63766 | 3525 | |
| | 2028 | 13500 | 405 | 1950 | 68595 | 7050 | |
| ქობულეთი | 2020 | 2480 | 21 | 492 | 25920 | 1025 | (+50%) |
| | 2025 | 2860 | 31.5 | 750 | 26830 | 1537.5 | |
| | 2028 | 3150 | 82.3 | 980 | 29245 | 3075 | |
| ხელვაჩაური | 2020 | 2440 | 10.9 | 363 | 19440 | 750 | (+50%) |
| | 2025 | 2870 | 20.1 | 520.5 | 19860 | 1125 | |
| | 2028 | 3170 | 42.3 | 750 | 22550 | 2250 | |
| ქედა | 2020 | 485 | 2.9 | 694 | 5950 | 300 | (+65%) |
| | 2025 | 660 | 2.9 | 1200 | 7950 | 450 | |
| | 2028 | 860 | 11.9 | 1650 | 8890 | 900 | |

| | | | | | | | |
|----------|------|------|------|------|-------|-------|------------|
| შუახვევი | 2020 | 440 | 2.9 | 687 | 5504 | 200 | (+) 65% |
| | 2025 | 640 | 6.1 | 970 | 6450 | 300 | |
| | 2028 | 790 | 9.5 | 1440 | 7250 | 600 | |
| ხულო | 2020 | 860 | 2.7 | 435 | 9542 | 375 | (+) 65% |
| | 2025 | 1150 | 5.9 | 690 | 12280 | 562.5 | |
| | 2028 | 1420 | 11.9 | 1200 | 14500 | 1125 | |

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

2.3 ბიზნესის ორგანიზაციის, მართვისა და განვითარების თანამედროვე მდგომარეობა აჭარის მუნიციპალიტეტებში.

მსოფლიო პანდემიის ფონზე, მნიშვნელოვანია საკუთარი და მოზიდული რესურსების საშუალებით შემუშავდეს ისეთი სახელმწიფო, რეგიონული და მუნიციპალური სტრატეგიული განვითარების გეგმები, რომლებიც ქვეყნის პოტენციალიდან (ბუნებრივი რესურსები, ინტელექტუალური რესურსი, კარგი გეოეკონომიკური მდგომარეობა) გამომდინარე სწრაფად შეძლებს რეგიონებში არსებული მზარდი პოტენციალის მოქმედებაში მოყვანას. მდგომარეობის სწრაფად გაუმჯობესების მიზნით უმთავრესი ბიზნესის ხელშეწყობა და შესაბამისი რეგულაციების ლიბერალიზაციაა. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ცენტრალური მთავრობის მიერ კრიზისულ პერიოდში გათვალისწინებულ იქნას ბიზნესის მართვის და განვითარების თანამედროვე მსოფლიო მიღწევები და სწრაფად მოხდეს ბიზნესის მდგომარეობის გაუმჯობესება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძველია:

- ა) საქართველოს კონსტიტუცია;
- ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი;
- გ) საჯარო სამსახურის შესახებ კანონი;
- დ) ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- ე) საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი.

მუნიციპალიტეტების თავიანთი უფლებამოსილებების შესრულებისას ხელმძღვანელობენ ასევე კანონქვემდებარე აქტებით, ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტებით, სამსახურის დებულებებით და სხვა სამთავრობო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების სარეკომენდაციო წერილებით.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი აჭარის მუნიციპალიტეტში არის თვითმმართველი ქალაქი **ბათუმი**, 2020 წლის 01 იანვრისათვის ბათუმის მოსახლეობა შეადგენს 169 000 კაცს. ბოლო ორ ათეულ წელიწადში ბათუმის მოსახლეობა 30%-ით გაიზარდა. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ბათუმში ხელსაყრელი პირობებია შექმნილი სხვადასხვა მიმართულებით რაც გახდა საფუძველი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ბათუმში მოქალაქეების დასახლებისა. ძირითადი მიმზიდველი გარემო ტურიზმის სფეროშია შექმნილი. თანამედროვე საქართველოში ბათუმი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად ზრდადი ქალაქია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით ბათუმში სწრაფად ზრდადი სექტორი სამშენებლო ინდუსტრიაა. 2018 წლის მდგომარეობით აჭარის რეგიონში უმუშევრობის დონე 2.6 %-ით ნაკლები იყო საქართველოს მთლიან მაჩვენებელთან შედარებით, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს რეგიონის მიმზიდველობაზე.

ქალაქ ბათუმში მაქსიმალურად არის შექმნილი ყველა პირობა ბიზნესის წარმოებისთვის. ბათუმის მუნიციპალიტეტის საერთო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მთავარი ადგილობრივი ბიზნესის ხელშეწყობა და შესაბამისი შეღავათების შემოღებაა. ბათუმის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის წილი საქართველოს მთლიან ეკონომიკაში ყოველწლიურად იზრდება.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან პარტნიორობით მოქმედებს გაეროს განვითარების (UNDP) პროგრამა „იდეებიდან წარმატებამდე“ მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერისათვის. ამ პროექტის მიზანია სოფლად მოხდეს მიკრო და მცირე ბიზნის საქმიანობის ხელშეწყობა. რაც მოიცავს დამწყები ბიზნესებისთვის დახმარებას და მათ სტიმულირებას. ამ პროექტით ისარგებლა ქობულეთის, ხელვაჩაურისა და შუახევის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებმა მიკრო და მცირე მეწარმეებმა. ერთ

ბენეფიციარზე გაიცემოდა მინიმუმ 2000 და მაქსიმუმ 25 000 ლარი. აღნიშნულმა პროექტმა მნიშვნელოვანი სტიმული მისცა ადგილობრივ მიკრო და მცირე ბიზნესს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მასშტაბით ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2021-2025 წლების დაგეგმილ პრიორიტეტებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად განხილულია ადგილობრივი მეწარმეობის ხელშეწყობა, რაც გამოიხატება შემდეგი ძირითადად აქტივობებით:

- ა) პოტენციური ინვესტორისათვის საინვესტიციო პროექტების შეთავაზება;
- ბ) ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერი პროექტების განხორციელება;
- დ) ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობა;
- ე) მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2009 წლის სექტემბერში შეიქმნა ააიპ „ბათუმის ბიზნეს ინკუბატორი (BBI) გაეროს განვითარების პროგრამის „აჭარის ეკონომიკური განვითარების პროექტის“ ფარგლებში. 2013 წლიდან ბათუმის ბიზნეს ინკუბატორი გარდაიქმნა ბიზნესის განვითარების ცენტრად (BDC). 2020 წლის მდგომარეობით ბიზნეს ინკუბატორის წევრის სტატუსი მიიღო 55 კომპანია. 2009-2020 წლებში ინკუბირებული კომპანიების ერთობლივმა შემოსავალმა შეადგინა 19 მილიონი ლარი, ხოლო ინკუბირებული კომპანიების ერთობლივმა შენატანებმა შესაბამის ბიუჯეტებში 2 მილიონ ლარზე მეტი. კომპანიების მიერ გაცემული ხელფასის ოდენობამ თითქმის 5 მილიონი ლარი იყო.

აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტებში ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში მოქმედებს შემდეგი მხარდამჭერი პროგრამები;

- ინდუსტრიული მიმართულების კომპონენტი, ორიენტირებულია ბიზნესის შექმნაზე ან მის გადაიარაღებაზე;
- სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების კომპონენტი, რეგიონში სასტუმრო ინდუსტრიის ხელშეწყობაზეა ორიენტირებული;

- მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის კომპონენტი, რომელიც გათვალისწინებულია აღნიშნული სექტორში დასაქმებული პირების ფინანსურ მხარდაჭერასა და კონსულტაციის გაწევაზე;

- „გადაიღე საქართველოში“ კომპონენტი, სადაც საერთაშორისო ცნობილი კინო სტუდიების საქართველოში გადაღებების გადმოტანის სტიმულირება ხდება;

- საკრედიტო-საგრანტო მექანიზმი, გულისხმობს ისეთი მიკრო და მცირე ბიზნესის დაფინანსებას, რომლებსაც არ გააჩნიათ საკმარისი ფინანსური რესურსები [55].

საქართველო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით აქტიურად მუშაობს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD), ევროპული განათლების ფონდთან (ETF), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) და სხვა საერთაშორისო ავტორიტეტულ ორგანიზაციებთან. საქართველო ასევე აქტიურად მონაწილეობს ევროკავშირის East-Invest პროექტში, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობა საქართველოს რეგიონებში. „მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობა აღმოსავლეთ სამეზობლო ქვეყნებში“ ევროკავშირის მიმდინარე პროექტია, რაც ითვალისწინებს სახელმწიფოსა და ბიზნეს შორის დიალოგის ხელშეწყობას „მდგრადი“ წარმოების განვითარების მიზნით [56].

მიუხედავად ბიზნესის ხელშეწყობის მიმართულებით გატარებული ღონისძიებებისა ჯერ კიდევ პრობლემად რჩება ქვეყანაში და მათ შორის აჭარის რეგიონში შემდეგი მიმართულებები:

- სამეწარმეო უნარები და გამოცდილება;
- თანამედროვე ტექნოლოგიები;
- ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა;
- კანონმდებლობის ხარვეზები;
- გასაღების ბაზრის ნაკლებობა;
- მუშა ხელის კვალიფიკაციის დაბალი დონე;
- სიღარიბის მაღალი დონე

აჭარის რეგიონის ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესების მიმართულებით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტოს“, ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაფინანსებულ შესაბამის პროგრამებს. ბიზნესის მიმართულებით გამოვყოფთ მეჩაიეობის, მეფუტკრეობის, თხილის წარმოების, მეთევზეობის, მებოსტნეობის, სოკოს წარმოების, მეფრინველეობის, ხორცისა და ხორცპროდუქტების, კენკროვნების, მინერალური წყლების, რძის პროდუქტების წარმოების სექტორებს. გადამამუშავებელი საწარმოების დიდი ნაწილი განთავსებულია ბათუმის, ქობულეთის და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე. მნიშვნელოვნადაა განვითარებული სასათბურე და სანერგე მეურნეობები, ასევე მტკნარი წყლის მეთევზეობა. განვითარებულია მეხცოველეობის დარგი. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით ირკვევა, რომ აჭარის რეგიონში იწარმოება ქვეყანაში წარმოებული რძის 7 %. მნიშვნელოვნადაა განვითარებული მეფრინველეობაც, ამ მიმართულებით ძირითადად გამოირჩევა ქობულეთის მუნიციპალიტეტი. მიუხედავად იმისა, რომ ჩაის კულტურის განვითარების მხრივ რეგიონში რთული მდგომარეობაა, სტრატეგიული გეგმით აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვანი აქტივობებია დაგეგმილი. რეგიონი გამოირჩევა **მეფუტკრეობის** დარგის განვითარებით. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით ირკვევა, რომ აჭარის რეგიონში იწარმოება მთლიანად ქვეყანაში წარმოებული თაფლის თითქმის 15 %. აღსანიშნავია სათევზე მეურნეობები, სწორედ თევზჭერა და მისი გადამამუშავება გახლავთ რეგიონალური ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი. რეგიონი გამოირჩევა ასევე მდიდარი ბუნებრივი რესურსებით, ისეთებით როგორცაა ბაზალტი, გაბრო, ანდეზიტის და სხვა საამშენებლო მინერალებით.

ბიზნესის ორგანიზაციის, მართვისა და განვითარებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმად „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება მიგვაჩნია. რადგანაც ეს კანონი ადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის სამართლებრივ საფუძვლებს, მათ შორის საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის

შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებულ წესებს და პროცედურებს. საჯარო და კერძო თანამშრომლობის ძირითადი მიზნებია:

- კერძო დაფინანსების მოზიდვა;
- საჯარო ინტერესის დაკმაყოფილება ახალი საჯარო ინფრასტრუქტურის შექმნით, ან არსებულის გაუმჯობესებით;
- კერძო პარტნიორის ნოუ-ჰაუს გამოყენება.

აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის (საჯარო და კერძო თანამშრომლობის კრიტერიუმები) თანახმად თანამშრომლობა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- გრძელვადიანობა - საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულების მინიმალური ვადა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის სამათლებრივი აქტით, მაგრამ არანაკლებ 5 წლით;

- ღირებულება - 2020 წლის 1 ივლისამდე საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის ღირებულება უნდა იყოს არანაკლებ 5 000 000 ლარისა, ხოლო 1 ივლისიდან საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის ღირებულების მინიმალური ოდენობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით;

- კერძო პარტნიორის მიერ საჯარო მომსახურების გაწევა ან საჯარო ინფრასტრუქტურის შექმნა და მოვლა პატრონობა ან/და ოპერირება და მოვლა-პატრონობა;

- საჯარო და კერძო პარტნიორებს შორის რისკების განაწილება;
- კერძო პარტნიორის მიერ საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის სრული ან ნაწილობრივი დაფინანსება.

საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის იდენტიფიცირება და მომზადება ხორციელდება საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტის შესაბამისად, სახელმწიფო განვითარების სტრატეგიის ან/და მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიის გეგმის გათვალისწინებით. საქართველოს მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის მოწონების,

უარის თქმის ან საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის გადამუშავების შესახებ.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია კანონში „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ შევიდეს ცვლილება, მოხდეს აღნიშნული თანამშრომლობის მიმართულებით მთავრობის უფლებამოსილებების დეცენტრალიზება და განისაზღვროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს როლი და ფუნქცია თანამშრომლობის ფარგლებში პროექტების შერჩევისას და იდენტიფიცირებისას (ამჟამად მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქცია კანონით არ არ არის განსაზღვრული), რადგანაც სწორედ საკრებულო წარმოადგენს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით, ხალხის მიერ არჩეულ ორგანოს და ის არის პასუხისმგებელი (მერიასთან ერთად) მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, შესაბამისი ადგილობრივი მნიშვნელობის საკანონმდებლო ბაზის შექმნაზე. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში აუცილებელია გაიზარდოს აჭარის მუნიციპალიტეტების უფლებამოსილება პრიორიტეტული დარგების შერჩევის და იდენტიფიცირების მიმართულებით. ასეთი მიდგომები მნიშვნელოვნად გაზრდის მუნიციპალიტეტების დაინტერესებას ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, ინოვაციური დარგების განვითარების და უკეთესი საერთო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის უზრუნველსაყოფად. საკითხი კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენს მსოფლიო პანდემიის პირობებში, როდესაც მნიშვნელოვნად შემცირებულია აჭარის მუნიციპალიტეტებში სამუშაო ადგილები. სწორედ საჯარო და კერძო თანამშრომლობა წარმოადგენს პრობლემის იდენტიფიცირების და საბიუჯეტო თუ არასაბიუჯეტო რესურსით გადაწყვეტის ძირითად მექანიზმს.

აუცილებელია აჭარის მუნიციპალიტეტებმა გაითვალისწინონ აღნიშნული კანონის მოთხოვნები და მაქსიმალურად იაქტიურონ კერძო სექტორთან თანამშრომლობის მიმართულებით.

ჩვენი აზრით, მსოფლიო პანდემიის შედეგად რეგიონში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სალიკვიდაციოდ, აჭარის მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი ბიზნესის ორგანიზების, მართვის და

თანამედროვე მდგომარეობასთან ადაპტირების მიზნით საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- რეგიონის მუნიციპალიტეტების სპეციფიკიდან გამომდინარე შემუშავდეს რეგიონული და მუნიციპალური სტრატეგიული გეგმები;
- მაქსიმალურად იქნას გამოყენებული მუნიციპალიტეტებში არსებული დიდი სამეწარმეო შესაძლებლობები და ადამიანური პოტენციალი რათა სწრაფად მოხდეს ბიზნესის განვითარება;
- რეგიონის მუნიციპალიტეტების მერიებში არსებული ეკონომიკური პროფილის სამსახურების მიერ გააქტიურდეს მუშაობა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებში მოქმედი მეწარმე-სუბიექტების საქმიანობასთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაციის მოძიების, დაჯგუფების, ანალიზის და ინფორმაციის პროაქტიურად გავრცელების მიმართულებით;
- მუნიციპალიტეტებმა გამოიყენენ დამეგობრებულ ქალაქებში არსებული დიდი გამოცდილება, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიმართულებით და დანერგონ ეს სიახლეები აჭარის მუნიციპალიტეტებში;
- ცენტრალურ, რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე მიღებულ იქნას შესაბამის მარეგულირებელი კანონები ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით, რაც გამოიხატება გადასახადების შემცირებაში, შეღავათებში და სხვა აქტივობებში;
- რეგიონის მუნიციპალიტეტებმა ადგილობრივი ბიუჯეტების დაგეგმვისას მაქსიმალურად გაითვალისწინონ ბიზნესის წინაშე არსებული პრობლემები და შესაბამისი ფინანსური რესურსების გამოყენებით დაეხმარონ მათ ადგილობრივი და უცხოური გასაღების ბაზრების მოძიებაში;
- არსებული კანონმდებლობის ფარგლებში მუნიციპალიტეტებმა საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო თანხებით მოახდინონ მცირე და საშუალო ბიზნესისთვის გრანტების გაცემა;
- კანონებში ცვლილებების შეტანის შემდეგ მუნიციპალიტეტებს მიეცეთ უფლება ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის არანაკლებ 5 % მიმართონ ადგილობრივი ბიზნესი პირობების გაუმჯობესებისკენ;

- აუცილებელია მოხდეს აჭარის მუნიციპალიტეტების სტრატეგიული განვითარების გეგმების მნიშვნელოვანი კორექტირება, კორონავირუსის პანდემიით შექმნილი მდგომარეობის სალიკვიდაციოდ;

- მუნიციპალიტეტებმა საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო თანხებით მოახდინონ ადგილობრივი ინოვაციური და ტრადიციული დარგების განვითარება;

- აჭარის მუნიციპალიტეტების მერიებმა ადგილობრივი სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესების და ადგილებზე თანამედროვე ევროპული სიახლეების და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით მაქსიმალურად გამოიყენონ ევროპის განვითარებული ქვეყნების დამეგობრებულ ქალაქებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. მოახდინონ ერთობლივი ბიზნეს-პროექტების შედგენა და რეალიზება;

- არსებული პანდემიის პირობებში აჭარის მუნიციპალიტეტებმა ადგილობრივი ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, მაქსიმალურად გამოიყენონ რეგიონში არსებული სამეცნიერო პოტენციალი (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სხვა ინსტიტუტები);

- ადგილობრივი ტურისტული ბიზნესის განვითარების პარალელურად აუცილებელია ყველაფერი გაკეთდეს რათა ხელი შეეწყოს ადგილობრივი პროდუქტების წარმოებას. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ტურიზმის სექტორის გაფართოვება ეფექტური თუ ტურისტები ისარგებლებენ ადგილობრივი პროდუქტებით;

- აჭარის რეგიონში აგრარული სექტორის გაუმჯობესების კუთხით შესაბამისი გეგმებისა და დოქტრინების შედგენის პროცესში მაქსიმალურად გაიზარდოს ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო კვლებითი ცენტრების და რეგიონში არსებული უმაღლესი საწავლებლების შესაბამისი დარგების მკვლევარების ჩართულობა;

რეგიონული და მუნიციპალური ხელისუფლებების მიერ ადგილობრივი ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესების მიზნით გათვალისწინებულ უნდა იქნას ზემოაღნიშნული რეკომენდაციები. რათა პანდემიის პირობებში მდგომარეობა ამ კუთხით რადიკალურად შეიცვალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს რეგიონებში მდგომარეობა მნიშვნელოვნად გართულდება. არ შეიქმნება ახალი სამუშაო

ადგილები, შემცირდება გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა, გაუქმდება საექსპორტო დარგები, შემცირდება ექსპორტი, ასევე უცხოური ვალუტის შემოდინება. გაუარესდება ისედაც რთული დემოგრაფიული მდგომარეობა, გაიზრდება მიგრაცია, მთლიანობაში ეს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებაზე ნეგატიურად აისახება და კიდევ უფრო გაიზრდება იმპორტზე დამოკიდებულების ხარისხი.

თავი 3. მუნიციპალიტეტის მდგრადობა, როგორც საინვესტიციო მიმზიდველობის მთავარი ფაქტორი. საწარმო პოტენციალის გამოყენების ეფექტურობის ამაღლების შესაძლებლობები და შეფასების მიდგომები.

3.1. მუნიციპალიტეტის საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლების შესაძლებლობები

მსოფლიო პრაქტიკაზე დაყრდნობით აღვნიშნავთ, რომ მუნიციპალიტეტის სწრაფი ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ისეთი სოციალურ-ეკონომიკური რეფორმის გატარება, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკის დარგების დივერსიფიკაციას, რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე ეკონომიკის ისეთი პროფილური დარგების გამოვლენას, რომელიც ისტორიულად დამახასიათებელია რეგიონისთვის და უზრუნველყოფს ადგილებზე არსებული რეზერვების ამოქმედებას.

გლობალიზაციის პირობებში მნიშვნელოვანია სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვა, რომელიც ორიენტირებული იქნება მუნიციპალიტეტების საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდისკენ. შედეგზე ორიენტირებული რეგიონალური რეფორმა ეფექტურია, თუ რეფორმის გატარებისას გათვალისწინებული იქნება უცხოური კაპიტალის მოზიდვის შესაძლებლობები და მოხდება ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოების შექმნა. შეიძლება ითქვას, რომ არათანმიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად 2018 წელს იმპორტი აჭარბებდა ექსპორტს 2.5 ჯერ, 2019 წელს 2.7-ჯერ 2020 წელს კი თითქმის 3-ჯერ. შექმნილი მდგომარეობა საგანგაშოა, გარდა იმისა, რომ ეს იწვევს რეგიონულ დონეზე ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას, სამუშაო ადგილების გაუქმებას, რეგიონში წარმოებული დამატებული ღირებულების შემცირებას, პროცესი უარყოფითად აისახება ასევე ჩვენს ეროვნულ ვალუტაზე.

იმისათვის რომ გაიზარდოს მუნიციპალიტეტის საინვესტიციო მიმზიდველობა, აუცილებელია არსებობდეს მკაცრად გაწერილი ადგილობრივი საინვესტიციო გეგმა, მუნიციპალიტეტის სპეციფიკის და ტრადიციული დარგების განვითარების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია საინვესტიციო გეგმის შედგენისას პროცესში

აქტიურად იყვნენ ჩართულნი ადგილობრივი მეწარმე-სუბიექტები, არასამთავრობო სექტორი და მოსახლეობა. რეგიონი და მუნიციპალიტეტი წარმოადგენს ქვეყნის შემადგენელ ნაწილს, შესაბამისად უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი ადგილობრივი საინვესტიციო პოლიტიკის გატარებას, რომელიც თავსებადი იქნება ქვეყნის მიერ გაცხადებულ საინვესტიციო პოლიტიკასთან. ადგილობრივი საინვესტიციო პოლიტიკის გატარებისას მაქსიმალურად უნდა იქნას გათვალისწინებული რეგიონის და მუნიციპალიტეტის ეკონომიკური შესაძლებლობები და არსებული პოტენციალი.

რეგიონული საინვესტიციო საქმიანობის სამეურნეო მექანიზმი შეიძლება წარმოადგენილ იყოს როგორც საინვესტიციო საქმიანობის ორგანიზაციის, ეკონომიკური ფორმების, მეთოდებისა და ხერხების სისტემა, სახელმწიფოს მიერ რეგლამენტირებული საინვესტიციო პროცესის მონაწილეების ურთიერთობებისა და ურთიერთკავშირის ერთიანობა, რომლებიც მის მაღალ ეფექტიანობას, უწყვეტობასა და საგარეო პირობებისგან შედარებით დამოუკიდებლობას უზრუნველყოფენ. ჩვენი აზრით, საინვესტიციო პროცესების მთლიან ციკლში უნდა გამოვყოთ სამი ეტაპი:

1. საინვესტიციო პროცესის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე ზემოქმედების ფორმები, მეთოდები და ინსტრუმენტები;
2. ინვესტირების პროცესის მეთოდები და ხერხები, რომლებიც ქმნის სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს;
3. რეგიონის მმართველი ორგანოებისა და საინვესტიციო ინფრასტრუქტურის ობიექტების მუშაობის ორგანიზაციის ფორმები, ინვესტირების პროცესების შეთანხმებული ურთიერთობის რეგლამენტები.

რეგიონული საინვესტიციო პოლიტიკის სწორად განსაზღვრაზეა დამოკიდებული იმ პრიორიტეტების იდენტიფიცირება და არსებული ეკონომიკური პოტენციალის მოქმედებაში მოყვანა, რომელმაც უნდა შეასრულოს კატალიზატორის როლი რეგიონის საერთო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით. საინვესტიციო გეგმის შემუშავებისას მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის სამეწარმეო შესაძლებლობები, ინოვაციური

დარგების განვითარების აუცილებლობა და თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევების ადგილზე დანერგვის შესაძლებლობები.

თანამედროვე პირობებში რეგიონები მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგანან, აუცილებელია ინოვაციური ხედვების დანერგვა. რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებში განვითარების მუდმივად ზრდადი გამოწვევებისა და მათთან დაკავშირებული მუნიციპალური ამოცანების გადასაჭრელად, საჭიროა ფინანსური და ადამიანური რესურსების გაერთიანება, ეკონომიკური და კომერციული დიპლომატიის ცალკეული ელემენტების გამოყენება, სახელმწიფო და კერძო სექტორების ინტეგრაცია [100].

საინვესტიციო გეგმის მიზანი უნდა იყოს რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე მეტი უცხოური კომპანიის მოზიდვა, მათი თანამედროვე მიღწევების ადგილზე დანერგვა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგმელი როგორც ცენტრალური, ასევე რეგიონული და მუნიციპალური ხელისუფლებების მიერ, რათა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების საშუალებით მაქსიმალურად მოხდეს ადგილობრივი საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება. „ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია ქართულ ბაზარზე უცხოური კომპანიების აქტიური შემოსვლა, ასევე ქართული კომპანიებისათვის საერთაშორისო ბაზრებზე წარმატებული ფუნქციონირების ხელშეწყობა. საზღვარგარეთ საქართველოს ეკონომიკური ხასიათის საკითხების დამუშავებას ახორციელებს დიპლომატიურ მისიაში არსებული ეკონომიკური სამსახური, რომლის ძირითადი მიზანია საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში გასატარებელ ღონისძიებეთა ხელშეწყობა ადგილსამყოფელ ქვეყნებში, ეკონომიკური დიპლომატიის სამსახურს ხელმძღვანელობს დიპლომატიურ თანამდებობაზე დანიშნული - ეკონომიკურ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი, რომლის თანამდებობა განისაზღვრება მრჩევლის დონით [100].

რეგიონის საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდის კუთხით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მუნიციპალიტეტების მაკროეკონომიკურ მდგომარეობას. ამისათვის საჭიროა გამოიყოს მიმზიდველობის შეფასების კრიტერიუმები,

„რეგიონის საინვესტიციო მიმზიდველობის“ შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი მახასიათებლები:

1. გეოგრაფიული; ტერიტორიის ზომა, ბუნებრივი პირობები, ინდუსტრიული ცენტრისგან დაშორება, სხვა რეგიონებთან სატრანსპორტო კავშირის არსებობა და ა.შ;
2. ბუნებრივი რესურსების: წყლის, მინერალური ნედლეულის, მიწის არსებობა;
3. სოციალურ-დემოგრაფიული: მოსახლეობის რაოდენობა, სიმჭიდროვე, დასაქმება, ინტელექტუალური რესურსები, მუშახელის მიგრაცია, ცხოვრების დონე და ა.შ;
4. ეკონომიკური: ტერიტორიის ეკონომიკური განვითარების დონე, ფისკალური პოლიტიკა, რეგიონული ბაზრის მდგომარეობა და ა.შ;
5. ეკოლოგიური: გარემოს დაბინძურების პარამეტრები, ბუნების დაცვის ღონისძიებებზე დანახარჯები;
6. პოლიტიკური: პოლიტიკური სიტუაცია რეგიონში, სოციალური დამაბულობა და ა.შ;
7. საკანონმდებლო: კანონები და კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც ზრდიან მუნიციპალიტეტების დამოუკიდებლობის ხარისხს, ამდლებენ საინვესტიციო მიმზიდველობას. [18].

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემური საკითხი, რასაც რეგიონებში აქვს ადგილი, არის სტრატეგიული გეგმების არ არსებობა, ან არსებობის შემთხვევაში მის მიმდინარეობაზე ნაკლები მონიტორინგი. ხშირად არ არის განსაზღვრული დასახული სტრატეგიული მიზნის მისაღწევად გასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალი, არ არის განსაზღვრული შედეგის განსაზღვრის კრიტერიუმები. არ არის გამოკვეთილი მონიტორინგის განხორციელების პერიოდულობა. სწორედ რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე უნდა მოხდეს ადგილობრივი საინვესტიციო-სტრატეგიული გეგმის შედგენა და შესაბამისი ეფექტის მიღება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ყურადღება უნდა გავამახვილოთ რეგიონის ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის შეფასების მეთოდოლოგიაზე. სტრატეგიული გეგმის ან ნებისმიერი პროგრამის შედეგების შეფასებამდე, ცხადია, ჯერ უნდა განისაზღვროს შეფასებისათვის საჭირო მოდელი,

რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ პროგრამის ფორმალიზებულ წარმოდგენად, ანუ ურთიერთდაკავშირებული ეტაპების ერთობლიობად. თუ შესაფასებელია თვით სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი, მაშინ ის შეიძლება განვიხილოთ, როგორც ქმედებათა გარკვეული პროგრამა, რომლის შედეგიცაა ტერიტორიის სტრატეგიული განვითარების გეგმა. პროგრამათა განხორციელება შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი ჯაჭვური პროცესის სახით: რესურსები-საქმიანობა-პროდუქტი-შედეგები-ეფექტი, რომელსაც შეიძლება პროგრამის შედეგებზე ორიენტირებული მოდელი ეწოდოს [35].

რეგიონული საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავების და წარმართვის საქმეში მნიშვნელოვანი როლი აკისრია ცენტრალურ ხელისუფლებას. ქვეყნის ფულად-საკრედიტო და მონეტარული პოლიტიკის წარმართვის პასუხისმგებლობა ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა და შესაბამისად, მაკროეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარება, მნიშვნელოვანი ფაქტორია რეგიონებში არსებული საინვესტიციო კლიმატისათვის. მდგომარეობას ართულებს არსებული საფინანსო ინსტიტუტების დაბალი აქტივობა რეგიონების დონეზე შესაბამისი ბიზნეს-სესხების აკუმულაციისთვის, რომელიც ეკონომიკის რეალური სექტორის გაუმჯობესებისკენ იქნება მიმართული. უარყოფითი ფაქტორებს შორის გამოვყოფდით რეგიონულ დონეზე, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების კომპეტენციას. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე აუცილებელია რეგიონის და მუნიციპალიტეტების დონეზე გაიზარდოს საინვესტიციო პოლიტიკის გატარების მიმართულებით რეგიონის კომპეტენცია [110].

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზმის პირობებში მნიშვნელოვანია შეიქმნას ეროვნულ იდეოლოგიაზე დაფუძნებული სატრატეგიული განვითარების გეგმა. „ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია ქვეყნის განვითარების იდეების, შეხედულებების კულტურის, ეკონომიკის, მორალისა და რწმენის სისტემური ერთობლიობაა, რომელიც ეფუძნება ეროვნულ ფენომენს და თავსებადია ზოგად-საკაცობრიო იდეალებთან. იგი განსაზღვრავს (ემყარება) მთავარ ეროვნულ იდეას (მიზანს), განვითარების ეტაპების მიხედვით ჩამოყალიბებულ ამოცანებს და ქვეყნის განვითარების ორიენტაციის სტაბულურობას უწყობს ხელს. უპირველეს ყოვლისა

უნდა განისაზღვროს ეროვნული იდეა, რომლის გარშემო მოხდება მოსახლეობის კონსოლიდაცია და მიიღწევა ეროვნული თანხმობა. განვითარების დღევანდელ ეტაპზე ასეთ იდეად მართებულია მივიჩნიოთ: საქართველოს სახელმწიფო იდენტურობის, თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და განმტკიცების, ქართული ფენომენის თვითგანვითარების უნარის უზრუნველყოფა, გლობალური პროცესების აქტიურ სუბიექტად გადაქცევა [106].

რეგიონული საინვესტიციო მიმზიდველობა უნდა გამოიხატოს თანამედროვე ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვაში, რომელიც ეკონომიკური მდგომარეობის მდგრადობის საფუძველია. მუნიციპალიტეტების საინვესტიციო მიმზიდველობას კიდევ უფრო გაზრდის უცხოეთის განვითარებული ქვეყნების მუნიციპალიტეტებთან ერთობლივი საინვესტიციო ბიზნეს-გეგმების შედგენა და ურთიერთგამოცდილების გაზიარება ეკონომიკის ამა თუ იმ დარგის განვითარების მიმართულებით, რათქმაუნდა ჩვენს მიერ ზემოთხსენებული სტრატეგიული გეგმის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტების საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდის მიმართულებით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნის რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროების და მათი საქვეუწყებო დაწესებულებების როლი. სწორედ ამ სამინისტროების და მათი რეგიონული წარმომადგენლობების უშუალო ჩართულობით უნდა მომზადდეს საინვესტიციო გეგმები. მუნიციპალიტეტების საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანია კაპიტალის დაცვის უზრუნველყოფა, რამდენად დაცული იქნება სამამულო თუ უცხოური კაპიტალი რეგიონში, როგორი იქნება დაბეგვრის პრინციპები, როგორი ხელშეწყობა ექნება ინვესტორს მის მიერ გამოშვებული პროდუქციის შიდა თუ გარე ბაზარზე საქონლის რეალიზაციისას და როგორ ფულად-საკრედიტო და მონეტალურ პოლიტიკას ატარებს ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლება საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში. რეგიონების საინვესტიციო კლიმატის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია ის, თუ როგორია სამამულო და უცხოური ინვესტიციების რეგიონში

შემოდინების დინამიკა. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია რეგიონებს შორის კონკურენტუნარიანობის ზრდა ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით. ცენტრალური ხელისუფლების მიერ საკანონმდებლო დონეზე უნდა ხდებოდეს მნიშვნელოვანი შეღავათების დაწესება რეგიონებში ინვესტიციების სტიმულირების მიზნით.

რეგიონის მუნიციპალიტეტის საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდა მხოლოდ მდგრად ეკონომიკურ განვითარებაშია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, აჭარაში მოზიდული უცხოური ინვესტიციები ძირითადად ენერჯეტიკის, ტურიზმის, საფინანსო და ტრანსპორტის სფეროში განხორციელდა. ირკვევა რომ უცხოელ ინვესტორებს ძირითადად ისეთი სფეროები აინტერესებს, სადაც მოკლე პერიოდში მაქსიმალურ მოგებას მიიღებენ. რეგიონის მთავრობის, მათ შორის მუნიციპალიტეტების მმართველი რგოლების ძირითადი მიზანი ინვესტიციების მოზიდვისას, ინვესტიციების ეკონომიკის რეალურ სექტორში განთავსება წარმოადგენს, როგორცაა მრეწველობის და სოფლის მეურნეობის მიმართულებები. 2010-2020 წლებში, აჭარის რეგიონში, ეკონომიკის რეალურ სექტორში ინვესტიციების საერთო მოცულობის მხოლოდ 10 %-ია, მაშინ როცა რეგიონის ეკონომიკის ზრდის მიზნით, აუცილებელია ინვესტიციები სწორედ ეკონომიკის რეალურ სექტორში განთავსდეს.

ვეთანხმებით პროფ.ნ.ჭითანავას, რომელიც აღნიშნავს „ინვესტიციების მოზიდვისას პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რაზე იქნება ყურადღება გამახვილებული: ინვესტიციების მოცულობაზე (როგორც დღეს) თუ ინვესტიციების ეფექტიანობასა და მის როლზე ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. ინვესტიცია იქ უნდა ჩაიდოს, სადაც არა მხოლოდ კონკრეტული სამეურნეო ამოცანა წყდება, არამედ იქ, სადაც მნიშვნელოვანი იქნება შექმნილი სიმძლავრეების როლი ეკონომიკურ სტაბილიზაციაში. უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პერსპექტიულ ფორმებად უნდა მივიჩნიოთ ერთობლივი საწარმოების შექმნა, თავისუფალი ზონების, ლიზინგის და სხვა ფორმების გამოყენება. პირველ რიგში, მიზანშეწონილია მათი დაბანდება ახალი საწარმოების აშენებისა და არსებულის გადაიარაღებისათვის, რომელთა პროდუქცია საექსპორტო და შიდა ბაზრის მომხმარებელთა მოთხოვნების

დაკმაყოფილებას მოემსახურება [106]. აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გასატარებელი საინვესტიციო პოლიტიკა გამომდინარეობდეს რეგიონის სტრატეგიული განვითარების გეგმიდან, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული რეგიონის სპეციფიკა, შესაძლებლობები და გატარებული საინვესტიციო პოლიტიკა უზრუნველყოფს რეგიონის მდგრად ეკონომიკურ განვითარებას.

აჭარის რეგიონის საინვესტიციო მიმზიდველობა განვიხილოთ **ქობულეთის მუნიციპალიტეტის** მაგალითზე. ქობულეთის მუნიციპალიტეტში, მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე ხელსაყრელი პირობებია შექმნილი ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით. მუნიციპალიტეტში მოზიდული ინვესტიციების უმეტესი ნაწილი ტურიზმის, მშენებლობის და ენერგეტიკის სფეროზე მოდის, რაც ძირითადად განპირობებულია მუნიციპალიტეტის ზღვისპირა მდებარეობით. ინვესტიციების მოზიდვას ხელს უწყობს გამართული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაც. მუნიციპალიტეტში ასევე აქტიურად მიმდინარეობს ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება. ამ ეტაპისათვის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს აჭიპესი, რომლის სიმძლავრეა 1.02 მეგავატი და კინტრიშაჰესი, რომლის სიმძლავრეა-6.0 მეგავატი. საინვესტიციო მიმზიდველობას ზრდის ისეთი ტურისტული დანიშნულების ადგილების არსებობა, როგორცაა: ისპანის ჭაობები, კვირიკეს მეჩეთი, ცხემვანის ხიდი, თიკერის აღკვეთილი, ხინოწმინდის საეპისკოპოსო ტაძარი, პეტრას ციხე, კინტრიშის და ქობულეთის ეროვნული პარკი და სხვა. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ შედგენილია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ასევე ტურიზმის სექტორის განვითარების გეგმები, სადაც ინვესტიციების მოზიდვა მნიშვნელოვან მიზნად არის მიჩნეული.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში არსებულ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში მნიშვნელოვანი შედეგათები მოქმედებს ინვესტორებისათვის, კერძოდ:

- ინვესტორი თავისუფლდება მოგების და ქონების გადასახადის გადახდისაგან 15 წლის ვადით;
- ინვესტორი თავისუფლდება მშენებლობის მოსაკრებლის გადახდისაგან;

- ინვესტორს სიმბოლურ ფასად (1 ლარად) გადაეცემა მიწის ნაკვეთი, არაუმეტეს 0.2 ჰა-სა;

აჭარის მუნიციპალიტეტების საინვესტიციო მიმზიდველობის ამალგების მნიშვნელოვან ფაქტორად, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, მუნიციპალიტეტებში განხორციელებული სხვადასხვა აქტივობები გვესახება. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ქედის, ხულოს და შუახევის მუნიციპალიტეტებში ევროკავშირის ინიციატივითა და დახმარებით განხორციელებული პროექტები. აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში 2017-2020 წლებში ადგილობრივი განვითარების ჯგუფების (LAG) მეშვეობით და ENPARD-ის სოფლის განვითარების პროექტებით, რომელსაც ახორციელებს კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია (CENN) და ჩეხეთის რესპუბლიკის არასამთავრობო ორგანიზაცია (Caritas) შესაძლებელი გახდა სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობის პოპულარიზაცია. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოხდა აჭარის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების სოფლების ინკლუზიური განვითარება და მათი საქმიანობის პოპულარიზაცია. პროექტის ფარგლებში დახმარება გაეწია 100-ზე მეტ მეწარმეს, რომლებიც ბუნებრივი რესურსების ეფექტურად გამოყენების საშუალებით წარმატებით აგრძელებენ თავის საქმიანობას ეკოტურიზმის, აგრო ტურიზმის მიმართულებით. განხორციელებული პროექტის შედეგად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბიზნესგარემო აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში, გაიზარდა მათი საქმიანობის პოპულარიზაცია, რაც აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში უცხოური ინვესტიციის მოზიდვის საფუძველია. მიუხედავად 2020 წელს განვითარებული კოვიდპანდემიისა, მუნიციპალიტეტებში შეიქმნა 500-ზე მეტი სამუშაო ადგილი. ადგილობრივი პრიორიტეტების გათვალისწინებით ევროკავშირმა მხარი დაუჭირა 170 სოფლის განვითარების ინიციატივას. გარდა ტურიზმის მიმართულებისა დახმარებამ მოიცვა ისეთი სფეროები, როგორცაა: ადგილობრივი ინფრასტრუქტურა, განათლება, მუნიციპალური სერვისები. აღსანიშნავია, ისიც, რომ 2021 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, CENN-ს დემოკრატიის ინსტიტუტსა და ქედის ადგილობრივი განვითარების ჯგუფს (LAG) შორის გაფორმდა მემორანდუმი, ქედის

მუნიციპალიტეტის 66 საჯარო სკოლაში ენერგეტიკული და ენერგოეფექტიანი ტექნოლოგიების დანერგვისა და გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით.

ევროკავშირის მხარდაჭერილი პროექტის „სოფლის განვითარებისა და დივერსიფიკაციის ხელშეწყობა ხულოს მუნიციპალიტეტში“ ფარგლებში ხულოს მუნიციპალიტეტის, როგორც ტურისტული ადგილის, პოპულარიზაციის მიზნით 2019-2020 წლებში განხორციელდა მნიშვნელოვანი აქტივობები. პროექტის ძირითადი მიზანი ხულოს მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული ობიექტების ცნობადობის ხარისხის გაზრდაა, რაც მუნიციპალიტეტის ტურიზმის ინდუსტრიაში უცხოური ინვესტიციის მოზიდვას გამოიწვევს. პროექტის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა ისეთ მნიშვნელოვან ტურისტულ ადგილებზე, როგორცაა: ხიხანის ციხე, სხლათის მონასტერი, ღორჯომისა და დიდაჭარის მეჩეთები, კურორტი ბემუმი, გოდერძის ალპური ბაღი, მწვანე ტბა.

2018 წლის დეკემბერში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარესა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელმძღვანელს შორის ხელი მოეწერა შესაბამის ხელშეკრულებას 2018-2022 წლებში ევროკავშირის მიერ, აჭარის სოფლების მხარდაჭერისა და დახმარების პროექტის განხორციელების შესახებ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თანამონაწილეობა 10 მილიონიანი ევროს ღირებულების პროექტში 230 000 ევროს ოდენობით განისაზღვრა. პროექტის ძირითადი მიზანია სოფლების მხარდაჭერა და მათი შესაძლებლობების პოპულარიზაციის გზით სამამულო და უცხოელი ინვესტორის დაინტერესება.

ევროკავშირი საქართველოში ENPARD-ის პროგრამის საშუალებით სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების მიმართულებით 2013 წლიდან ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს. ორგანიზაციის მთლიანი ბიუჯეტი თითქმის 180 მლნ. ევროა.

რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში 2021 წელს გათვალისწინებულ იქნა 1 797 000 ლარი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების საინვესტიციო მიმზიდველობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს რეგიონის ინოვაციური პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება წარმოადგენს. ამ მხრივ უნდა გამოიყოს

რეგიონის ინტელექტუალური საკუთრება. რეგიონმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები. აღნიშნული კანონის მიზანია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის შექმნა და სრულყოფა, ქვეყანაში ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობა, სხვა სახელმწიფოში შექმნილი ტექნოლოგიების საქართველოში ათვისების ხელშეწყობა, საქართველოში შექმნილი ინტელექტუალური საკუთრებისა და ტექნოლოგიების დანერგვისა და ექსპორტის ხელშეწყობა, მოწინავე ტექნოლოგიების მეცნიერებისა და ეკონომიკის ყველა სფეროში შეღწევა ამ სფეროთა კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით. აღნიშნული კანონის შესაბამისად, იქმნება ინოვაციური საქმიანობის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა:

- ა) სამეცნიერო/ტექნოლოგიური პარკი;
- ბ) ბიზნესინკუბატორი;
- გ) ბიზნესამაჩქარებელი;
- დ) ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი;
- ე) სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია;
- ვ) ინოვაციური ცენტრი;

წარმოდგენილი მასალებიდან გამომდინარე, რეგიონის განვითარება და მუნიციპალიტეტების საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდა, რეგიონში არსებული ბუნებრივი რესურსების, შესაძლებლობების და კომპეტენციების ეფექტურად გამოყენებაზეა დამოკიდებული, რაც რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და მის მდგრადი განვითარებას უზრუნველყოფს.

3.2 მუნიციპალიტეტის საწარმოო პოტენციალის გამოყენების ეფექტურობის ამაღლების მექანიზმები და შეფასების მიდგომები

საქართველოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მაშინ როცა ქვეყანას კურსი აღებული აქვს ევროკავშირისკენ, რაც დასტურდება საქართველოსა და ევროკავშირის შორის ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულებით, უაღრესად დიდი

მნიშვნელობა ენიჭება რეგიონების დონეზე ისეთი სწრაფი და შედეგზე ორიენტირებული ეკონომიკური რეფორმების გატარებას, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს ადგილზე არსებული საწარმოო პოტენციალის გამოყენება, რაც შემდგომში დადებითად აისახება რეგიონებში მცხოვრები მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაზე. გატარებულმა რეფორმებმა უნდა უზრუნველყოს რეგიონულ-დარგობრივი საწარმოების რეაბილიტაცია და ტრანსფორმაცია, რომლებიც ადგილობრივ დონეზე შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს, გაზრდის ექსპორტზე ორიენტირებული პროდუქციის გამოშვებას, მნიშვნელოვნად შეცვლის ადგილობრივ საინვესტიციო კლიმატს, გაზრდის რეგიონულ დონეზე წარმოებული დამატებული ღირებულების მოცულობას, მთლიანობაში შექმნილი მდგომარეობა დადებითად აისახება ადგილობრივი მოქალაქეების კეთილდღეობაზე. დადებითი შედეგების მიღწევა მხოლოდ შედეგზე ორიენტირებული ადგილობრივი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებითაა შესაძლებელი. საქართველოს ეკონომიკური შესაძლებლობების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მიუხედავად საქართველოს რეგიონებში არსებული არასახარბიელო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა, რაც სამუშაო ადგილების სიმწირით, საინვესტიციო, დემოგრაფიული მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებით და სხვა ინდიკატორებით გამოიხატება, არსებული პოტენციალის გამოყენებით შესაძლებელია ეკონომიკის სწრაფი ზრდა.

საქართველოს მუნიციპალიტეტების სპეციფიკიდან, განვითარების ეტაპებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება განვითარების ისეთი სტრატეგიის შერჩევას, რომელიც მაქსიმალურად მოახდენს მუნიციპალიტეტებში არსებული ეკონომიკური პოტენციალის გამოვლენას, ტრადიციული დარგების განვითარების ხელშეწყობას, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება, ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში დასაქმებული ადამიანების სისტემატური გადამზადება, შესაძლებლობის ფარგლებში მუნიციპალიტეტებში განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებული თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევების დანერგვა, ადგილობრივი საექსპორტო პოტენციალის გამოვლენა და მისი ხელშეწყობა.

მუნიციპალიტეტების ეკონომიკური განვითარების გეგმების შედგენისას მკაფიოდ უნდა იყოს გამოკვეთილი მუნიციპალიტეტის მიერ დასახული მიზანი, მისი მიღწევის გზები და გეგმის განხორციელებისას იმ სტრუქტურების (სამთავრობო, არასამთავრობო) ჩამონათვალი, რომლებმაც უნდა მოახდინოს ამ გეგმის განხორციელების მონიტორინგი და ადგილობრივი მოქალაქეების სისტემატური ინფორმირება. განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივი პრიორიტეტების გამოვლენას, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტისათვის. მკაცრად უნდა განისაზღვროს კრიტერიუმები, რომელთა საშუალებითაც შეფასდება განვითარების გეგმა. მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, რომ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტს გააჩნდეს დამტკიცებული მეთოდოლოგიის მიხედვით, დროში მკაცრად გაწერილი მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი განვითარების გეგმა.

არსებული მსოფლიო გლობალიზმის პირობებში რეგიონების მთავარი მიზანი უნდა იყოს, მათი თვითმყოფადობის და იდენტობის შენარჩუნება. ამის მიღწევა კი შესაძლებელია მხოლოდ ინტელექტუალური რესურსების გამოყენებით, რაც გამოიხატება მეცნიერების უშუალოდ ჩართულობაში. შედეგზე ორიენტირებული, სამეცნიერო დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები უზრუნველყოფს რეგიონებში კონკურენტული გარემოს შექმნას, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ბიზნეს-გარემოს და საინვესტიციო კლიმატს.

რეგიონების საინვესტიციო მიმზიდველობის შეფასებისას მრავალი ფაქტორი შეიძლება იქნას გამოყენებული. გამომდინარე იქედან, რომ რეგიონები განსხვავდებიან ერთმანეთისგან როგორც ბუნებრივი რესურსებით და ეკონომიკის დარგების განვითარებით, ასევე ინფრასტრუქტურის და საერთო რეგიონული ეკონომიკური მდგომარეობით, ამიტომ შეფასების მიდგომებიც განსხვავებულია. ევროპის ქვეყნებშიც მნიშვნელოვანი განსხვავებული მიდგომები არსებობს რეგიონის საინვესტიციო კლიმატის შეფასებისათვის. ამ ეტაპისთვის საკმაოდ აპრობირებულ კრიტერიუმებს ევროკავშირის ქვეყნების მასშტაბით წარმოადგენს ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის და უმუშევრობის დონის მაჩვენებლები.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებულია „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება“, აღნიშნული შეთანხმების ფარგლებში სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად საქართველოს მთავრობამ აიღო ვალდებულება ქვეყანაში გააუმჯობესოს ბიზნეს-გარემო და შექმნას ბიზნესის კეთების მხრივ ხელსაყრელი პირობები. „საქართველო უნდა მიისწრაფოდეს, რომ დააფუძნოს ქმედითი საბაზრო ეკონომიკა და ეტაპობრივად დაუახლოოს საკუთარი ეკონომიკური და ფინანსური რეგულაციები ევროკავშირის რეგულაციებს და იმავდროულად უზრუნველყოს სწორი მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარება [49]. გამომდინარე აქედან აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტებში საწარმოო პოტენციალის გამოყენების ეფექტურობის ამაღლების მიმართულებით ქმედითი ნაბიჯებია გადასადგმელი.


ჩვენი აზრით, რეგიონის მუნიციპალიტეტებში სამეწარმეო პოტენციალის გაზრდის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულ უნდა იქნას უცხოეთის გამოცდილება. ევროპის თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში, კერძოდ: გერმანიაში, იტალიაში, ავსტრიაში, შვეიცარიაში, საფრანგეთში ირლანდიაში, ნიდერლანდებში, საბერძნეთში, ესპანეთში, პოლონეთში და სხვა განვითარებულ ქვეყნებში ადგილობრივი ბიზნესის ხელშეწყობის და წახალისების მიზნით მრავალი მეთოდია გამოყენებული, რაც გამოიხატება ძირითადი მარეგულირებელი კანონმდებლობის ლიბერალიზაციაში. განსხვავებული მოთხოვნები არსებობს კომპანიების დამფუძნებლების მიმართ, დიფერენცირებულია მიდგომები გადასახადებით დაბეგვრის კუთხით, განსხვავებული მიდგომებია ასევე მეწარმე-სუბიექტებთან მიმართებაში, შესაბამისი საგადასახადო და სტატისტიკური ანგარიშგებების ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე წარდგენასთან დაკავშირებით. განსხვავებული მიდგომებია საბანკო სესხების მომსახურების სარგებლობის კუთხით, მნიშვნელოვნადაა გაზრდილი რეგიონული ხელისუფლებების როლი მეწარმე-სუბიექტების ფუნქციონირების ხელშეწყობის და შესაბამისი საგადასახადო შეღავათების დაწესების მიმართულებით. მთავარი რითაც გამოირჩევა ევროპის განვითარებული ქვეყნები ადგილობრივი ბიზნეს-სუბიექტების ფუნქციონირების ხელშეწყობის მიმართულებით არის ის რომ, მიღებული კანონები

და შესაბამისი რეგულაციები მაქსიმალურად უწყობს ხელს ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებას და კონკურენტული გარემოს შექმნას. სწორედ ბიზნესის წარმატებულ ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული მოქალაქეების ცხოვრების დონის და საერთო კეთილდღეობის ზრდა.

ევროპის განვითარებულ ქვეყნებში განსაკუთრებით შეიცვალა ბიზნესისადმი დამოკიდებულება მსოფლიოში მიმდინარე პანდემიის პირობებში. ევროკავშირმა პანდემიით დაზარებული ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით 2020 წელს გამოყო 1 მილიარდ ევროზე მეტი, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თითქმის 3 ტრილიონი დოლარი, იაპონიამ 50 მილიარდი აშშ დოლარზე მეტი. მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების მთავრობები აგრძელებენ პანდემიის შედეგად დაზარალებული ბიზნესის და მოქალაქეების დახმარების სხვადასხვა მიმართულებების განხილვას, რათა სწრაფად მოხდეს მიღებული ზარალის ანაზღაურება და მსოფლიო დაუბრუნდეს განვითარების ჩვეულ რიტმს. ამ პირობებში განსაკუთრებით რთულია საქართველოში მოქმედი ბიზნესის და ძირითადად მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობა.

ჩვენი აზრით, რეგიონის საინვესტიციო მდგომარეობის და ეკონომიკური მდგრადობის შეფასების მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში საჭიროა ქვემოთ მოცემული პარამეტრების კომპლექსური შესწავლა და ანალიზი:

აჭარის საინვესტიციო და ეკონომიკური მდგრადობის შეფასების კრიტერიუმები



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

აჭარის საერთო ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების და შესაბამისი გადაწყვეტილების მიზნით აუცილებელია მოხდეს ქვემოთ მოცემული მონაცემების შესწავლა:

- 1) მთლიანი რეგიონული პროდუქტის ოდენობა ერთ სულ მოსახლეზე;
- 2) მოზიდული უცხოური ინვესტიციების რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით;
- 3) მოზიდული სამამულო ინვესტიციის რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით;
- 4) მცირე და საშუალო ბიზნესის საკუთრებაში არსებული ქონების საბაზრო ღირებულების ცვლილების დინამიკა;
- 5) სამომხმარებლო ფასების ინდექსის ცვლილების დინამიკა;

- 6) მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების ღირებულება;
- 7) მცირე და საშუალო ბიზნესში არსებული ქონების კაპიტალიზება;
- 8) მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ აღებული საბანკო სესხის მოცულობა;
- 9) საექსპორტო პროდუქციის წილი ბიზნესის მიერ გამოშვებული პროდუქციის მთლიან მოცუობაში;
- 10) მუნიციპალიტეტში სოციალური შემწეობის მიმღებთა რაოდენობა;
- 11) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით გახარჯული ასიგნების მოცულობა;
- 12) მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ადგილობრივ მოქალაქეებზე გაცემული სოციალური დახმარების მოცულობა;
- 13) მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებულთა რეალური ხელფასი;
- 14) თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის მოცულობა;
- 15) დანაშაულის მაჩვენებელი მუნიციპალიტეტში;
- 16) სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მუნიციპალიტეტში;
- 17) საარსებო მინიმუმის ოდენობა მუნიციპალიტეტში;
- 18) კომუნალური ხარჯების წილი მოქალაქის მთლიან თვიურ შემოსავალში;
- 19) ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების რაოდენობა მუნიციპალიტეტში;
- 20) უმუშევრობის დონე მუნიციპალიტეტში;
- 21) ახალი საცხოვრებელი ფონდების რაოდენობა მუნიციპალიტეტში;
- 22) უსახლკარო პირთა რაოდენობა მუნიციპალიტეტში;
- 23) ასფალტირებული გზის ხვედრითი წილი გზების მთლიან რაოდენობაში;
- 24) მოქალაქეების მიერ მოხმარებული ელ.ენერჯის რაოდენობა;
- 25) მცირე და საშუალო ბიზნესიდან საბიუჯეტო შემოსავლების ოდენობა;
- 26) მუნიციპალიტეტის დემოგრაფიული მდგომარეობა, მათ შორის მუნიციპალიტეტში უკან დაბრუნებული მოქალაქეების რაოდენობა;

27) მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მცირე და საშუალო ბიზნესზე გაცემული გრანტების ოდენობა;

28) დამეგობრებულ უცხოურ ქალაქებთან გაფორმებული ერთობლივი საინვესტიციო პროექტები;

29) მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით გამართული ეროვნული და საერთაშორისო ბიზნეს-ფორუმები და გამოფენები;

30) ადგილობრივი მოქალაქეების კმაყოფილების ხარისხი;

31) სასმელი წყლით მოსახლეობის უზრუნველყოფის მაჩვენებელი;

32) ჩრდილოვანი ეკონომიკის დონე;

33) ერთ სულ მოსახლეზე საბიუჯეტო ხარჯების მაჩვენებელი;

34) მოქალაქეების ნდობის მაჩვენებელი ადგილობრივი ხელისუფლებისადმი;

35) ვადაგადაცილებული საბანკო სესხების მქონე პირთა რაოდენობა;

36) ბანკების საკუთრებაში გადასული ქონების ღირებულება;

37) მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ აღებული და გადახდილი საბანკო სესხების მოცულობა;

38) წარმოებული ადგილობრივი პროდუქციის მაჩვენებელი;

ჩვენს მიერ წარმოდგენილი რეგიონის ეკონომიკის მდგრადობის განმსაზღვრელი კრიტერიუმების გამოყენებით შესაძლებელი იქნება მუნიციპალიტეტების მერიებმა შეიქმნან სრული წარმოდგენა მუნიციპალიტეტში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, მოახდინონ სტატისტიკური ინფორმაციის აღრიცხვა-ანალიზი, მონაცემების დინამიკაში განხილვა და სამომავლოდ მუნიციპალიტეტის დონეზე, მათი კომპეტენციების, საბიუჯეტო და მოზიდული რესურსის ფარგლებში განახორციელონ შესაბამისი ქმედითი ღონისძიებები, რომელიც ორიენტირებული იქნება ბიზნესის ხელშეწყობაზე და საერთო მუნიციპალური გარემოს გაუმჯობესებაზე.

ქვეყნის და რეგიონების განვითარების მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წლის 17 ივნისს მიღებულ იქნა დადგენილება №400---„საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“

დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“. აღნიშნული სტრატეგიით დაისახა ის მიზნები, რომელთა მიღწევასაც სახელმწიფო 2020 წლისათვის გეგმავდა.

ცხრილი №30.

2014 წელს არსებული და 2020 წლისთვის დაგეგმილი ქვეყნის საპროგნოზო მაჩვენებელი

| მაკროეკონომიკური მაჩვენებლები | 2014 წელი | 2020 წლისთვის დაგეგმილი | 2020 წელს ფაქტიურად მიღწეული | შენიშვნა |
|--|------------|-------------------------|------------------------------|---|
| მშპ ერთ სულზე (ლარი, ნომინალური) | 5811.7 | 13 000 | 13292 | დაფიქსირდა შემცირება ლარის დევალვაციის გამო |
| მშპს ერთ სულზე (ლარი, მუდმივი) | 5811.7 | 9200 | 10200 | დაფიქსირდა შემცირება ლარის დევალვაციის გამო |
| ჯინის კოეფიციენტი | 0.41 | 0.35 | 40.9 | მდგომარეობა გაუარესდა |
| ინფლაცია (%) | 2.4 | 3 | 7.7 | მდგომარეობა გაუარესდა |
| უმუშევრობა (%) | 15 | 12 | 18.5 | მდგომარეობა გაუარესდა |
| გადასახადები (წილი მშპ-ში, %) | 24 | 25 | 18 | მდგომარეობა გაუარესდა |
| ექსპორტი (საქონელი და მომსახურება წილი მშპ-ში %) | 45 | 65 | 21 | მდგომარეობა გაუარესდა |
| მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (წილი მშპ-ში %) | მეტი 10-ზე | 6 | 11.1 | მდგომარეობა გაუარესდა |
| სახელმწიფო ვალის მიმართება მშპ-სთან | 34 | 40 | 61 | მდგომარეობა გაუარესდა |

შენიშვნა: შედგენილია ავტორის მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების 2014 წლის სტრატეგიით დასახული და 2020 წელს ფაქტიურად მიღებული შედეგების ანალიზით ირკვევა, რომ მნიშვნელოვანი აცდენაა დაგეგმილ და ფაქტიურად მიღწეულ შედეგებს შორის. 2020 წელს მნიშვნელოვნად გაუარესებულია მაკროეკონომიკური მონაცემები, კერძოდ: 2020 წელს ჯინის კოეფიციენტმა შეადგინა 40.9, ნაცვლად პროგნოზირებადი 0.35-სა. ინფლაციის მაჩვენებელმა 2020 წელს შეადგინა 7.7 %, ნაცვლად პროგნოზირებადი 3.0

%-სა, უმუშევრობის მაჩვენებელმა კი 18.5%, ნაცვლად პროგნოზირებადი 12 %-სა. გაუარესებულია მდგომარეობა ასევე სხვა მაკროეკონომიკური მონაცემების კუთხითაც. კიდევ უფრო რთულადაა საქმე ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის (ნომინალური, რეალური) მაჩვენებლების მიხედვით, ლარის რეალური გაცვლითი კურსის დევალვაციიდან გამომდინარე. 2014 წელს ქვეყნის მთავრობის მიერ დაგეგმილი და ფაქტიურად მიღებული შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მნიშვნელოვანი პრობლემებია როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონების და მუნიციპალიტეტების სტრატეგიების შედგენის და შედეგების გაზომვის მიმართულებით. სტრატეგიების შედგენის დროს მთავარი პრინციპი უნდა იყოს კონსტიტუციით გათვალისწინებული აუცილებელი მოთხოვნების შესრულება. სწორედ ამ მოთხოვნების საფუძველზე უნდა შედგეს ქვეყნის სტრატეგიული გეგმა, სადაც გათვალისწინებული იქნება რეგიონების და მუნიციპალიტეტების ეკონომიკური შესაძლებლობები და იქ არსებული მდიდარი პოტენციალი.

ჩვენი აზრით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დონეზე შესაძლებელია გამოვყოთ ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვნად აუარესებს ადგილობრივ ბიზნეს-გარემოს და საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდას უშლის ხელს. არსებული პრობლემები მთლიანობაში უარყოფითად აისახება რეგონის ეკონომიკის მდგრად განვითარებაზე.

ცხრილი №31.

აჭარის რეგიონის ეკონომიკურ მდგრადობაზე მოქმედი უარყოფითი ფაქტორები

| მოქმედი ფაქტორები | ვინ ახდენს პრობლემის იდენტიფიცირებას | ვინ უნდა მოახდინოს პრობლემის გადაწყვეტა | სექტორები რომელზეც მოქმედებს ეს ფაქტორი უარყოფითად |
|---|--|---|--|
| ბიზნესის კეთების და ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით არსებული პრობლემები | არასამთავრობო სექტორი. კვლევითი ორგანიზაციები. სამეცნიერო წრეები | პარლამენტი. აჭარის უმაღლესი საბჭო და მთავრობა. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. მუნიციპალიტეტი | ბიზნეს-აქტივობაზე. სამუშაო ადგილების შექმნაზე. ინვესტიციების მოზიდვაზე |
| არასტაბილური (ხშირ შემთხვევაში) | არასამთავრობო სექტორი. კვლევითი | პარლამენტი. საქართველოს | მუნიციპალურ გადაწყვეტილებებზე. |

| | | | |
|--|--|--|--|
| არაკვალიფიციური) საჯარო სამსახური | ორგანიზაციები. სამეცნიერო წრეები. ადგილობრივი მოსახლეობა | მთავრობა. მუნიციპალიტეტი | ადგილობრივი განვითარების გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებაზე |
| არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა | ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციები | პარლამენტი. საქართველოს მთავრობა. მუნიციპალიტეტი | ინვესტიციების მოზიდვაზე. რეგიონის კონკურენტუნარიანობაზე |
| კანონმდებლობის ხშირი ცვლილება | არასამთავრობო სექტორი. კვლევითი ორგანიზაციები. სამეცნიერო წრეები | პარლამენტი. საქართველოს მთავრობა. მუნიციპალიტეტი | ბიზნეს-სექტორზე. ინვესტორებზე. მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულებაზე |
| რეგიონის მუნიციპალიტეტების ცნობადობის დაბალი დონე | არასამთავრობო სექტორი. კვლევითი ორგანიზაციები. სამეცნიერო წრეები. საერთაშორისო ორგანიზაციები | რეგიონის მთავრობა. მუნიციპალიტეტი | ინვესტიციების მოზიდვაზე. სამუშაო ადგილების შექმნაზე. კონკურენტუნარიანობის ზრდაზე. |
| რეგიონის მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო-საფინანსო დამოუკიდებლობის დაბალი დონე | არასამთავრობო სექტორი. კვლევითი ორგანიზაციები. სამეცნიერო წრეები. ადგილობრივი მოსახლეობა | საქართველოს პარლამენტი და მთავრობა. მუნიციპალიტეტი | მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებების შესრულებაზე. რეგიონის განვითარების გეგმების შესრულებაზე. მუნიციპალიტეტისათვის საჭირო სხვადასხვა აქტივობების დაფინანსებაზე |

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე აჭარის მუნიციპალიტეტების საწარმოო პოტენციალის გამოყენების და მისი ეფექტურობის ამაღლების მიზნით, ხელისუფლების დონეების მიხედვით უნდა გადაიდგას ნაბიჯები შემდეგი მიმართულებით

ცენტრალური ხელისუფლების მიერ:

- ცვლილებები შევიდეს „საგადასახადო“ და საბიუჯეტო კოდექსებში, გადასახადების პროცენტული ანარიცხების ტერიტორიულ ორგანოებში გადანაწილების პრინციპების შეცვლის მიზნით (საშემოსავლო გადასახადის სულ მცირე 80 % და მოგების გადასახადის 50 % უნდა დარჩეს ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტში);

- შეიცვალოს მეწარმეთა დაბეგვრის დღეს არსებული სისტემა. კერძოდ: გაიზარდოს დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვა, დღეს არსებული 100 000 ლარიანი ზღვარი გაიზარდოს 500 000 ლარამდე, აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვნად გაზრდის

გადამხდელთა კანონმორჩილების ხარისხს და მნიშვნელოვნად შემცირდება გადასახადისგან თავის არიდების ფაქტები;

- შემუშავდეს მცირე და საშუალო მეწარმეთა განვითარების და ხელშეწყობის „ეროვნული დოქტრინა“ (განისაზღვროს ეკონომიკის იმ სფეროების ჩამონათვალი, რომელთა განვითარება რეგიონის სპეციფიკიდან და პოტენციალიდან გამომდინარე საჭიროებს საკანონმდებლო ცვლილებებს და შესაბამის შეღავათებს);

- მოსახლეობის სურსათით შეუფერხებლად მიწოდების მიზნით შემუშავდეს კანონი „სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ“, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერესები (აღნიშნული კანონის მიღების შემდეგ რეგიონმა უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის სურსათით დაკმაყოფილება სულ მცირე 70 %-ის ფარგლებში);

- შევიდეს ცვლილება კანონში „ინვესტიციების მხარდაჭერის შესახებ“ მუნიციპალიტეტებში საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდის მიზნით (მუნიციპალიტეტებს უნდა გაეზარდოთ საკანონმდებლო უფლებამოსილება ინვესტიციების მოზიდვის და ეკონომიკის იმ დარგებში განთავსების მიმართულებით, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რეგიონის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის);

- ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით მთავრობამ ეროვნულ ბანკთან ერთად დაარეგულიროს სასესხო რეგულაციები. მცირე და საშუალო ბიზნესზე გაცემული სესხები უნდა იყოს დაბალპროცენტიანი (1-3 % წლიური) გრძელვადიანი (10 წელი და ზემოთ) და საშეღავათო (4 წლამდე ძირი და პროცენტის თანხის არგადახდა). სესხების გაცემისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს აღნიშნული ბიზნეს-საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა.

- ცენტრალურმა მთავრობამ შეცვალოს ეკონომიკის მართვის დღეს არსებული მანკიერი სისტემა. დამკვიდრებულ უნდა იქნეს ეკონომიკის რეგულირების ისეთი სისტემა, რომელიც მაქსიმალურად ეფექტიანად და ეფექტურად გამოიყენებს ქვეყანაში არსებულ რესურსებს (ადამიანური, ფინანსური, ბუნებრივი, გეოგრაფიული, ინტელექტუალური) და ორიენტირებული იქნება მოსახლეობის კეთილდღეობის სისტემატურ ზრდაზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ:

- ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტებში მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული ფინანსური რესურსი, რეგიონის მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის და შესაბამისი დაფინანსების გაზრდის მიმართულებით;

- აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკამ მაქსიმალურად გამოიყენოს დამეგობრებული სხვადასხვა (განსაკუთრებით განვითარებული ქვეყნების) ქვეყნის რეგიონების (აჭარის რეგიონი დამეგობრებულია სულ უცხოეთის 10 ქვეყნის 17 რეგიონთან) გამოცდილება მცირე და საშუალო ბიზნესის შექმნის და ხელშეწყობის მიმართულებით;

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ორგანიზებით სისტემატურად გაიმართოს რეგიონული, რესპუბლიკური და საერთაშორისო ბიზნეს-ფორუმები, რეგიონის მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით;

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ გამოიყენოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაძლებლობები რეგიონში მცირე და საშუალო ბიზნესში წარმოებული პროდუქციის უცხოეთის ბაზრებზე გატანის ხელშეწყობის მიზნით;

-

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების მიერ:

- „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მოთხოვნათა შესაბამისად მუნიციპალიტეტებმა თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავეთ და დააფინანსონ მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამები;

- მუნიციპალიტეტებმა, მაქსიმალურად გამოიყენონ უცხოეთის დამეგობრებული ქალაქების გამოცდილება მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით და ამ ქალაქების მუნიციპალიტეტებთან ერთად შეიმუშავეთ ერთობლივი საინვესტიციო და მხარდამჭერი პროგრამები;

- მუნიციპალიტეტებმა ადგილობრივი და მცირე ბიზნესის მცირე საგრანტო პროგრამებით დაფინანსების მიზნით მოიძიონ არასაბიუჯეტო ფინანსური რესურსი, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ;

- მუნიციპალიტეტებმა გააძლიერონ მუშაობა მცირე და საშუალო ბიზნესთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაციის მოძიების, აღრიცხვა-დამუშავების და შესაბამისი ანალიზის უზრუნველყოფის მიზნით;

- მუნიციპალიტეტებში მაქსიმალურად გაიზარდოს „საჯარო და კერძო თანამშრომლობის“ კანონის შესაბამისად ადგილობრივ ბიზნესთან ურთიერთობა. შედგეს ერთობლივი პროექტები და განხორციელდეს დაგეგმილი პროექტების მიმდინარეობის ერთობლივი მონიტორინგი, მოსახლეობის ფართო ფენების მაქსიმალური ჩართულობით;

- მუნიციპალიტეტებმა მაქსიმალურად გამოიყენონ „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობები, ინტელექტუალური საკუთრების, ტექნოლოგიების დანერგვის და ექსპორტის ხელშეწყობის, ასევე მოწინავე ტექნოლოგიების ეკონომიკის ყველა სფეროში შეღწევის და ამ სფეროთა კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით.

-

მუნიციპალიტეტებში უნდა გამოიკვეთოს:

- როგორი უნდა იყოს მუნიციპალური მმართველობა?! (საჭიროა ინოვაციებზე და კრეატიულ ეკონომიკაზე ორიენტირებული მუნიციპალური პროგრამების და ბიუჯეტის შედგენა);

- როგორ ცვლილებას საჭიროებს მუნიციპალიტეტების სამსახურების დებულებები?! (დამტკიცებული სამტატო ნუსხის ფარგლებში ეკონომიკური პროფილის სამსახურებში უნდა გააქტიურდეს ინოვაციური და ინვესტიციების მოზიდვაზე ორიენტირებული მიმართულებები);

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე წარმოვადგენთ ჩვენს მოსაზრებას, მუნიციპალიტეტების არსებული და ოპტიმალურად მისაღები სტრუქტურებისა, ცხრილის სახით:

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების მერიების არსებული და
ოპტიმალურად მისაღები სტრუქტურა**

2021 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ;

**3.3 ბიზნესის მართვისა და რეგულირების გაუმჯობესების მექანიზმი აჭარის
მუნიციპალიტეტებში**

მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელია რეგიონში გაიზარდოს დასაქმების დონე, შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები, რეგიონის მდიდარი სარესურსო პოტენციალისა და კარგი გეოეკონომიკური მდებარეობის გათვალისწინებით გაიზარდოს საინვესტიციო მიმზიდველობა, ხელი შეეწყოს ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკის დარგების აღორძინებას, მნიშვნელოვნად

გაიზარდოს რეგიონის ცნობადობის ხარისხი უცხოეთში, რეგიონი გავხადოთ მნიშვნელოვანი საინვესტიციო, საფინანსო და სატრანსპორტო ჰაბი, ამის მისაღწევად კი ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დონეზე უნდა მოხდეს ახალი კანონების, ან უკვე მიღებული კანონების კორექტირება.

გამომდინარე იქედან, რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობის („ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, „საგადასახადო კოდექსი“, ინვესტიციების მხარდაჭერის შესახებ“ კანონი, „საბიუჯეტო კოდექსი“, „მეწარმეთა შესახებ კანონი“) შესაბამისად ბიზნესის მართვისა და რეგულირების გაუმჯობესების მიმართულებით მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებები ძალიან მწირია, არსებული კანონმდებლობის ფარგლებში მაინც შესაძლებელია მუნიციპალიტეტების საკრებულოებმა და მერიებმა დამტკიცებული მუნიციპალური ბიუჯეტების ასიგნებების ფარგლებში შეიმუშაონ და დაამტკიცონ ისეთი მიზნობრივი, ადგილობრივი მნიშვნელობის პროგრამები, რომელიც ორიენტირებული იქნება მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სწრაფ გაუმჯობესებაზე. ერთ-ერთი მნიშვნელოვან თემად ამ ეტაპისათვის მაინც დასაქმება რჩება, რადგანაც ის წარმოადგენს მნიშვნელოვან სოციალურ პრობლემას. მოქმედი კანონმდებლობით, რაც ჩვენი აზრით კანონმდებლობის ხარვეზს წარმოადგენს, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება მუნიციპალიტეტის ნებაყოფლობით უფლებამოსილებას განეკუთვნება. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს ღონისძიებები დასაქმების ხელშეწყობის მიზნით. 2019 წლიდან საშემოსავლო გადასახადებიდან ანარიცხები მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში აღარ ირიცხება, ამან კიდევ უფრო გააუარესა მუნიციპალიტეტების დაინტერესების ხარისხი სამუშაო ადგილების შექმნის მიმართულებით.

ბიზნესის მართვის და რეგულირების გაუმჯობესების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს ადგილობრივი ხელისუფლების გააქტიურებაში ვხედავთ. ამ მიზნისათვის კი აჭარის მუნიციპალიტეტების ეკონომიკური პროფილის სამსახურების დებულებაში უნდა განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები და

უნდა გაიზარდოს მათი კომპეტენციები საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობის, სტიმულირების, მოსახლეობისათვის პროფესიული გადამზადების ადგილობრივი სასწავლო ცენტრების შექმნის მიმართულებით. სავსებით შესაძლებელია მუნიციპალიტეტის დონეზე მოხდეს დასაქმების ხელშემწყობი მუნიციპალური საბჭოს შექმნა, რომელშიც გაწევრიანდებიან ადგილობრივი დამსაქმებლები და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები. დღეს მოქმედი „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონის მე-18 მუხლით მკაცრადაა განსაზღვრული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილება პროფესიული განათლების სფეროში. სამწუხაროდ აჭარის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მიერ არ ხდება კანონი გათვალისწინებული ამ უფლებამოსილებით სარგებლობა. აღნიშნული კანონის მე-18 მუხლის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები:

- ხელს უწყობენ პროფესიულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მოქმედებებს, უფლებამოსილი არიან განახორციელონ პროფესიულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირების--პროფესიულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების წესდებით განსაზღვრული წესით მონაწილეობენ მათ მართვაში;
- პროფესიულ-საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით ქმნიან კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს.

როგორც ვხედავთ დღეს მოქმედი კანონმდებლობა აძლევს უფლებას მუნიციპალიტეტს განახორციელოს შესაბამისი აქტივობა, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემის - დასაქმების გაუმჯობესების მიმართულებით, მაგრამ ადგილობრივი საბიუჯეტო დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხის და ხშირ შემთხვევაში მუნიციპალიტეტებში დასაქმებული პროფესიული საჯარო მოხელეების დაბალი კვალიფიკაციის გამო, კანონის ამ მოთხოვნის შესრულება ვერ ხორციელდება, რაც კიდევ უფრო აუარესებს ადგილობრივ დონეზე საერთო სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

აჭარის რეგიონში ბიზნესის მართვისა და რეგულირების გაუმჯობესების მიზნით ხელისუფლების სხვადასხვა შტოების მხრიდან უნდა განხორციელდეს მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები. კერძოდ:

ცენტრალური ხელისუფლების მიერ, აჭარის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად სწრაფად უნდა მოხდეს შემდეგ კანონებში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება:

- საქართველოს საგადასახადო კოდექსი (რეგიონის საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდის მიზნით);
- „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ (რეგიონის მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებების გაზრდის უზრუნველსაყოფად);
- კანონი „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ (საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სექტორის თანამშრომლობის გაზრდის მიზნით);
- „საბიუჯეტო კოდექსი“ (სახელმწიფო გადასახადებიდან და მოსაკრებლებიდან რეგიონის ბიუჯეტში მეტი ანარიცხების გადაცემის მიზნით);
- კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ (რეგიონებში ინვესტიციების განთავსების გაზრდის მიზნით, შესაბამისი შეღავათებისა და პრეფერენციების შემოღება);
- კანონი „მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“ (გაიზარდოს რეგიონის ბიუჯეტში აღნიშნული მოსაკრებლებიდან საპროცენტო ანარიცხების ოდენობა);;
- კანონი „მეწარმეთა შესახებ“ (დაიხვეწოს რეგიონში ბიზნესის დაწყების და შეწყვეტის პროცედურები, კორექტირდეს ამ მიზნით დაწესებული ვადები);
- კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“ (განხორციელდეს ცვლილებები და საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვნად გაიზარდოს მუნიციპალიტეტების ფუნქციები ქონების განკარგვის მიმართულებით);
- მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდეს კანონში--„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ (გაიზარდოს სახელმწიფო გადასახადებიდან შემოსულობების პროცენტული მაჩვენებელი ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში);

- კანონი „კონკურენციის შესახებ“ (გაიზარდოს ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილება კონკურენციის დაცვის მიმართულებით, რაც რეგიონში თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია);

- ცვლილებები უნდა შევიდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონში, რათა მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერესები რეგიონის მუნიციპალიტეტის დონეზე, მერიების და საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საქონლის და მომსახურების შესყიდვისას;

მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებებია განსახორციელებელი პოლიტიკური და საბიუჯეტო დეცენტრალიზების მიმართულებით. ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს უნდა გადაეცეთ მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები, ასევე შესაბამისი ფინანსური რესურსი. მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო დამოუკიდებლობის გაზრდის უზრუნველსაყოფად უნდა მოხდეს ამ კუთხით არსებული კანონმდებლობის მნიშვნელოვანი ლიბერალიზაცია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დონეზე უნდა განხორციელდეს ცვლილებები შემდეგი მიმართულებით:

- საქართველოს კონსტიტუციურ კანონში „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ (აჭარის უმაღლესი აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოს კომპეტენციების და მოსახლეობასთან ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით);

- კანონში „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ (გაიზარდოს რეგიონის საბიუჯეტო შემოსავლებიდან შესაბამისი ფინანსების გამოყოფის ვალდებულება რეგიონის მდგრადი განვითარების ღონისძიებების გატარების უზრუნველსაყოფად);

- განხორციელდეს ცვლილებები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტრატეგიული განვითარების 2016-2021 წლების გეგმაში (რეგიონის მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიზნით დაიხვეწოს მისაღწევი (მიღწეული) შედეგის გაზომვის კრიტერიუმები);

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიერ მაქსიმალურად მოხდეს ევროპის რეგიონთა ანსამბლეს წევრობის უპირატესობის გამოყენება სხვადასხვა პროექტებში

მონაწილეობის გზით, რეგიონის მდგრადი განვითარების მისაღწევად (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა აღნიშნული ანსამბლეს წევრია 1997 წლიდან);

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკამ მაქსიმალურად გამოიყენოს დამეგობრებული ქვეყნების გამოცდილება კორონაპანდემიის პირობებში რეგიონის მდგრადი განვითარების მისაღწევად (აჭარის რეგიონი დამეგობრებულია უცხოეთის ქვეყნების 17 სხვადასხვა რეგიონთან);

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებმა თავისი კომპეტენციების ფარგლებში მოახდინონ შემდეგი რეაგირება:

- „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში სამამულო და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით კანონმდებლობის დონეზე მწირი უფლებების მაქსიმალურად გამოყენება (ქონების გადასახადის დაწესების დროს შესაბამისი შეღავათების შემოღება ახლადშექმნილი საწარმოებისათვის, ეკონომიკის დარგების მიხედვით ქონების გადასახადების დიფერენცირება, შეღავათების დაწესება და სხვა);

- „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით მუნიციპალიტეტების დონეზე დასაქმების ხელშეწყობის და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით შესაბამისი ადგილობრივი ეკონომიკის მასტიმულირებელი მექანიზმების შემუშავება;

- „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, კორონავირუსის პანდემიის შედეგად აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტებში არსებული ნეგატიური შედეგების სალიკვიდაციოდ, უმუშევრად დარჩენილი მოქალაქეებისთვის ადგილობრივი პროფესიული გადამზადების ცენტრების შექმნა;

- „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მოთხოვნათა შესაბამისად მუნიციპალიტეტებმა მიიღონ ისეთი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს რეგიონის მუნიციპალიტეტებთან დამეგობრებული უცხოური ქალაქების გამოცდილების გაზიარებას, ინოვაციური და კრეატიული ბიზნეს-სექტორების დაფუძნების და წახალისების მიმართულებით. აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტებმა ამ კუთხით მაქსიმალურად იქნას გამოყენებული ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გამოცდილება. ბათუმის მუნიციპალიტეტი

დამეგობრებულია უცხოეთის სხვადასხვა 29 ქალაქთან. ამ ქალაქებთან და სხვადასხვა უცხოურ ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობით ბათუმის მუნიციპალიტეტში განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები, რაც მნიშვნელოვანი საფუძველია შემდგომი ეკონომიკური აქტივობების განხორციელების მიმართულებით;

- „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მოთხოვნათა შესაბამისად მიღებულ იქნას ადგილობრივი საინვესტიციო გეგმები. გეგმების განხორციელებისას მაქსიმალური ყურადღება მიექცეს ადგილობრივი მწარმოებითი დარგების განვითარების აუცილებლობას, უცხოეთის საინვესტიციო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას და შედეგზე ორიენტირებული ბიზნეს-აქტივობების წილობრივ დაფინანსებას;

- „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მოთხოვნათა შესაბამისად აჭარის მუნიციპალიტეტების მერიებში, არსებული საშტატო ნუსხის ფარგლებში გამოიკვეთოს ისეთი სამსახურები ან განყოფილებები, რომლებიც ორიენტირებულნი იქნებიან შესაბამისი მუნიციპალიტეტების ცნობადობის გაზრდის პოპულარიზაციით, შესაბამისი საინვესტიციო ბიზნეს-გეგმების შედგენით, ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის განმსაზღვრელი სტატისტიკური ინფორმაციის შედგენა-დამუშავებით, მთლიანობაში კი ადგილობრივ მოქალაქეებთან და ბიზნეს-სექტორთან ერთად, კორონავირუსის პანდემიის შედეგად რეგიონში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სალიკვიდაციოდ მდგრადი ეკონომიკური პოლიტიკის წარმოებით;

- „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მოთხოვნათა შესაბამისად, მუნიციპალიტეტებმა თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მიიღონ ისეთი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მაქსიმალურად შუწყობს ხელს მუნიციპალური ეკონომიკის დარგების დივერსიფიკაციას და ბიზნეს-ინკუბატორების შექმნას;

ბიზნესის მართვისა და შესაბამისი რეგულირების გაუმჯობესების მიზნით, მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად რეგიონის მუნიციპალიტეტების დონეზე მეტად მნიშვნელოვანია ქალაქების ბრენდის შექმნა.

„რეგიონების ზოგიერთ მუნიციპალიტეტში ბრენდინგის წინამძღვრები უკვე

არსებობს. იგი უფრო სისტემურ მიდგომას მოითხოვს, რაც სწორედ დასამუშავებელი კონცეფციის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს. გადამწყვეტი როლი ქალაქის ბრენდის ფორმირებაში თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა შეასრულონ [100].

აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტების ბიზნესის მართვისა და რეგულირების გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ცენტრის, რეგიონის და შესაბამისი მუნიციპალიტეტების მიერ მოხდეს შედეგზე ორიენტირებული ისეთი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც ზემოდაღნიშნულ კანონებში და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში აისახება. სწორედ განხორციელებულმა ცვლილებებმა უნდა შექმნან ადგილებზე ბიზნესის კეთებაზე ორიენტირებული მიმზიდველი გარემო, განსაკუთრებით ყურადღება უნდა იქნას გამახვილებული უცხოური კომპანიების ან მათი ფილიალების მოზიდვაზე, რაც საფუძველი უნდა გახდეს ევროპული, თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევებისა და სიახლეების რეგიონის მუნიციპალიტეტებში დანერგვისა, სწორედ ეს არის ჩვენი აზრით აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტების ეკონომიკის მდგრადი განვითარების საფუძველი.

ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვებამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ რეგიონების და მათ შორის მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და მდგრადი ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვა შეუძლებელია თუ ცენტრალური ხელისუფლების მიერ არ გატარდება სწორი ფულად-საკრედიტო და მონეტარული პოლიტიკა. გამომდინარე აქედან რაც არ უნდა კარგი და რეგიონის მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე ორიენტირებული სტრატეგიული განვითარების გეგმა იქნას მიღებული, თუ ცენტრალური ხელისუფლების მიერ გატარებული იქნება არასწორი ეკონომიკური პოლიტიკა, შედეგი მიღწეული ვერ იქნება. შესაბამისად რეგიონებში ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესების და მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატის შექმნის უზრუნველსაყოფად ცენტრალური ხელისუფლების როლი უმნიშვნელოვანესია. მოქმედი კანონმდებლობით სწორედ ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა უმუშევრობის დონის, ინფლაციის მაჩვენებლის, ეროვნული ვალუტის კურსის, სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდოს მაჩვენებლების, მთავრობის საგარეო ვალის დარეგულირება.

აჭარის მუნიციპალიტეტების ბიზნესის მართვის ერთ-ერთ მექანიზმად მივიჩნევთ ადგილობრივი ბიზნესის კრეატიული ინდუსტრიის განვითარებას. ისეთი ბიზნესპროექტების შედგენასა და რეალიზებას, სადაც წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების დამატებული ღირებულება იქმნება ინტელექტუალური იდეებისა და მეცნიერული მიღწევების ხარჯზე. ევროპის განვითარებული ქვეყნებისა და აშშ-ის მუნიციპალიტეტები ეკონომიკის მდგრადი განვითარების მიზნით სწორედ ამ მეთოდს იყენებენ. აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტების სპეციფიკიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, კრეატიული ინდუსტრია შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: არქიტექტურული პროექტირება, გასტრონომია, მარკეტინგი, რეკლამა, ტურიზმი, ფოტოგრაფია, კომპიუტერული უზრუნველყოფა, სხვადასხვა სახის კულტურული მიმართულების ფესტივალები და შემოქმედებითი ხელოვნება.

„საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს“ ხელშეწყობით აუცილებელია მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების და ახალ თანამედროვე ტექნოლოგიებზე წვდომის მიზნით შემუშავდეს ადგილობრივი სამოქმედო გეგმები. გეგმის რეალიზებისას მაქსიმალურად უნდა შეეწყოს ხელი ექპორტზე ორიენტირებული დარგების განვითარებას. ამ კუთხით შესაძლებელია გამოვიყენოთ:

- ა) მეციტრუსეობა, სუბტროპიკული კულტურები;
- ბ) თვითუზრუნველყოფაზე ორიენტირებული დარგები;

ბიზნესის მართვისა და რეგულირების გაუმჯობესების მიმართულებით ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმად მივიჩნევთ ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის და ბიზნეს სფეროს წარმომადგენლების ინიციატივების არსებობას, რადგანაც აუცილებელია ადგილობრივი ხელისუფლების, ბიზნესის და საზოგადოების სოციალური პარტნიორობა.

აუცილებელია ელექტრონული ბიზნესის გააქტიურება, რათა მათი მოგების უმეტესი წილი ფორმირებული იყოს თანამედროვე ინოვაციური და ტექნოლოგიური სიახლეების პრაქტიკაში გამოყენების ხარჯზე.

მნიშვნელოვანია რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლებებმა გაითვალისწინონ ზემოაღნიშნული მიგნებები და აჭარის რეგიონში არსებული სარესურსო პოტენციალის გამოყენებით გატარდეს ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონის მდგრად ეკონომიკურ განვითარებას. სწორედ რეგიონების მდგრადი ეკონომიკური განვითარება წარმოადგენს ადგილობრივი ბიზნესის სწრაფი განვითარების საფუძველს.

დასკვნები და რეკომენდაციები

კვლევის შედეგების გათვალისწინებით, შესაძლებელია გამოვეყნოთ ზოგიერთი ძირითადი მიგნება, რომლებიც ჩამოვაცალიბეთ შემდეგნაირად:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებს გააჩნიათ ბუნებრივი, საწარმოო და ინტელექტუალური პოტენციალი ეკონომიკის მდგრადი განვითარების, რესურსების კომერციალიზაციის, დასაქმების ეტაპობრივი გაზრდის, კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და ქვეყნის ეროვნულ შემოსავალებში ხვედრითი წილის ადეკვატური მაჩვენებლის უზრუნველსაყოფად;

2. გლობალური ეკონომიკის პირობებში ის მუნიციპალიტეტები აღწევენ პოტენციალის რაციონალურ და ეფექტურ გამოყენებას, რომლებიც რესურსების, ორგანიზებული მექანიზმებისა და ტექნოლოგიის სინერგიული დამოკიდებულების საფუძვლებს ქმნიან. ამ თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, შესწავლილ მუნიციპალიტეტებში ჯერ კიდევ პრობლემურია ინფრასტრუქტურა, ინსტიტუციური და საინვესტიციო გარემო, საკუთრებითი ურთიერთობები, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების რესურსების პარტნიორობა, ქვეყნის შიდა და გარე ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობები, ბიზნესის შეფასებისა და წამახალისებელი მექანიზმების დელეგირებული საკითხების მონიტორინგი;

3. საკითხის შესწავლა და ანალიზი ცხადყოფს, რომ კონკრეტული სტრატეგიის, სპეციფიკური ფაქტორების გათვალისწინების, კორპორაციული მართვის ძირითადი პრინციპების შემუშავებისა და პრაქტიკაში გამოყენების გარეშე, შეუძლებელია რესურსების ეფექტური გამოყენება, მუნიციპალური სტრუქტურების უნიფიცირებული ფუნქციონირება, ცენტრალურ და ადგილობრივ სტრუქტურებს შორის კოორდინაცია.

4. მუნიციპალიტეტებში ეკონომიკურ სექტორში ინვესტიციების მასტიმულირებელ ფაქტორებად გამოყენებული უნდა იქნეს ქვეყნის სტაბილური ეკონომიკური განვითარება, თავისუფალი და ლიბერალური საბაზრო სისტემა, გადასახადების მცირე რაოდენობა და დაბალი განაკვეთები, ბიზნესის დაწყების მარტივი პროცედურები, თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობა ევროკავშირსა და სხვა ქვეყნებთან, მიმზიდველი ეკონომიკური, სავაჭრო და პოლიტიკური კავშირები

ძირითად მეზობელ პარტნიორებთან, ევრაზიულ დერეფანში ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა, მნიშვნელოვანი აუთვისებელი ან ნაკლებად გამოყენებული ბუნებრივი რესურსები და სხვ.

5. კვლევამ აჩვენა, რომ ასევე არსებობს საინვესტიციო მიმზიდველობაზე, განსაკუთრებით უცხოურ ინვესტიციებზე წვდომის ხელშემშლელი ფაქტორები. მათ შორის, ფინანსურ რესურსებზე წვდომის დაბალი შესაძლებლობა და მაღალი საბანკო სასესხო განაკვეთები, რიგ სფეროებში სპეციალისტების დაბალი კვალიფიკაცია, მცირე ზომის ბაზრები, არასტაბილური ეროვნული ვალუტა, კონფლიქტური რეგიონები, მომხმარებლის დაბალი მსყიდველობითი უნარი, საკუთრების უფლების დაცულობის გარანტია, დაბალი დეცენტრალიზაციის დონე, ეკონომიკური ზრდის პრიორიტერული პრობლემების ადგილზე დამოუკიდებლად გადაწყვეტის შესაძლებლობა და სხვ.

6. დასაბუთებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში, განსაკუთრებით მაღალმთიან სოფლებში, ველნეს ინდუსტრიის განვითარების შესაძლებლობები. რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ გასატარებელი ღონისძიებები და მექანიზმები აღნიშნული ინსტრუმენტების ჰარმონიული ფუნქციონირებისათვის (კურორტები, მტკნარი და მინერალური წყლები, სამკურნალო ველური მცენარეები, ეკოლოგიურად სუფთა ხილი და ბოსტნეული, განსაკუთრებული ფლორა და ფაუნა და სხვ.).

7. დასაბუთებულია მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური რესურსების ტერიტორიული და გეოგრაფიული თავისებურებებით გამოწვეული წინააღმდეგობების დასაძლევად, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის რეგიონული კლასტერების ფორმირების შესაძლებლობები და უპირატესობები;

8. ჩამოყალიბებულია სპეციალიზებული საწარმოების კლასტერიზაციის და ინტეგრაციის სახელმწიფო ხელშემწყობი მექანიზმები, რეგიონთაშორისი განვითარების სინერგიული ეფექტის გაძლიერების შესაძლებლობები;

9. დადგენილია, რომ რეგიონისა და მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება უნდა ემსახურებოდეს მიზნობრივი, კომპლექსური სახელმწიფო და კერძო რესურსების ინტეგრაციული პროგრამების შედგენას. ეს

პროგრამები და მათი განხორციელების მექანიზმები უნდა წარმოადგენდეს განსაზღვრულ მიზანს, სამართლებრივ ბაზას, რესურსების არსებულ პოტენციალს, ეროვნულ ინტერესებს დაფუძნებულ, კონკრეტული ტერიტორიული ერთეულის ეკონომიკის მართვის სტრატეგიას.

10. ადგილობრივ თვითმმართველობაში კაპიტალის, ინვესტიციების ეფექტიანი გამოყენების და შესაბამისი მექანიზმების უზრუნველყოფი ინსტიტუციების უფლებების დელეგირება წარმატებული ბიზნესის განვითარების საფუძველია. ეს, პირველ რიგში, სტიმულს აძლევს შესაბამისი ბაზრების, საქმიანი ორგანიზაციების, ქონების შეფასების, ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის, რესურსების ტრანსფორმაციის საკითხების მართვას.

11. ეროვნულმა ეკონომიკებმა, მუნიციპალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენებით, უნდა გამოძებნონ გლობალიზაციის დინამიკური და უმტკივნეულო მექანიზმები, რომლებიც განსაკუთრებით პოსტპანდემიურ პერიოდში არ გამოიწვევენ შიდა ბაზრების დერეგულირებას;

12. მუნიციპალური ეკონომიკის მდგრადი განვითარება არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ გარემოს დაცვისა და პოტენციალის ეფექტური გამოყენებით. ამ მიმართულებით შემუშავებული მექანიზმები უნდა იყოს განხილული სისტემური მიდგომებით ისეთი რესურსების მიმართ, როგორებიცაა საფინანსო, ტექნოლოგიური, ტექნიკური, ინოვაციური, გარემოს დაცვითი და სხვ;

13. მიგვაჩნია, რომ საწარმოო პოტენციალის რაციონალური (ეფექტიანი) გამოყენებისა და ამ პროცესების მართვის შესაბამისი მექანიზმების ჩამოყალიბებისათვის, კონკრეტული ღონისძიებები და უფლება-მოვალეობები მკაფიოდ გაიმიჯნოს სახელმწიფო, რეგიონალური, მუნიციპალური და ბიზნესსტრუქტურებს შორის, კერძოდ:

სახელმწიფო სტრუქტურების მიერ:

- შესაბამისი ცვლილება უნდა შევიდეს დღეს მოქმედ „საგადასახადო კოდექსში“, რათა მნიშვნელოვანი შედეგაღებები დაუწესდეს მთის პირობებში მოქმედ ბიზნესს გადასახადების განაკვეთების და შედეგაღებების მიმართულებით. კერძოდ: ადგილობრივი წარმოების საქონლის რეალიზაცია დაიბეგროს დღგ-ის 5 %-იანი,

ხოლო იმპორტირებული საქონლის რეალიზაცია კი 15 %-იანი განაკვეთით. 1000 ლარამდე დასაბეგრი შემოსავლის მქონე მეწარმე პირების შემოსავალი დაიბეგროს საშემოსავლო გადასახადის 5 %-იანი განაკვეთით, 1000 დან 2500 ლარამდე შემოსავლის მქონე 10 %-იანი განაკვეთით, 2500 ლარიდან 5000 ლარამდე შემოსავლის მქონე 15 %-იანი განაკვეთით, 5000 ლარიდან 10000 ლარამდე 17 %-იანი განაკვეთით, ხოლო 10000 ლარიდან ზემოთ შემოსავლის მქონე კი 20 %-იანი განაკვეთით;

- მნიშვნელოვანი ცვლილება უნდა შევიდეს დღეს მოქმედ „საბიუჯეტო კოდექსში“, რათა მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში დარჩეს საშემოსავლო გადასახადის 80% და მოგების გადასახადის არანაკლებ 50 %;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ სისტემატურად (წელიწადში 2-ჯერ მაინც) მოეწყოს რესპუბლიკური და საერთაშორისო ბიზნესფორუმები მუნიციპალიტეტებში წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაციის და უცხოური ბაზრების მოძიების მიზნით. ამ მიმართულებით ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში გათვალისწინებული უნდა იქნეს შესაბამისი საბიუჯეტო რესურსი;

- მაქსიმალურად გამოიყენოს რეგიონთან დამეგობრებული უცხოეთის განვითარებული ქვეყნების რეგიონების გამოცდილება იქ არსებული მაღალტექნოლოგიური მიღწევების აჭარის მუნიციპალიტეტებში დანერგვის მიზნით.

- მოხდეს ინოვაციური ბიზნესის განვითარების სტიმულირება;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებმა:

- მუნიციპალური ეკონომიკის განვითარების მიზნით ხელი შეუწყონ ტრადიციული და ინოვაციური დარგების განვითარებას. არსებული კანონმდებლობის ფარგლებში მაქსიმალურად უზრუნველყონ ბიზნესის ხელშეწყობა და საქმიანობის წახალისება. კერძოდ: მუნიციპალიტეტებმა მოახდინონ ბიზნესის ქონების გადასახადით დაბეგვრის დიფერენცირების ინიცირება. ქონების გადასახადის 0.1 %-იანი განაკვეთით დაბეგრონ ის დარგები, რომელთა მიერ

წარმოებული პროდუქცია გადის ექსპორტზე, ხოლო ისეთი ბიზნესით დაკავებული პირები, რომლებიც ეწევიან იმპორტირებული პროდუქციის რეალიზაციას, დაბეგრონ ქონების 1 %-იანი განაკვეთით. ანალოგიური საშეღავათო მიდგომა შესაძლებელია ასევე გამოყენებულ იქნეს ტრადიციული და ინოვაციური ბიზნესის განვითარების შემთხვევაშიც;

- წახალისონ ადგილობრივი ბიზნესის მაქსიმალური ჩართულობა სახელმწიფოს მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა პროექტში, როგორებიცაა: „წარმოე საქართველოში“, „დანერგე საქართველოში“, „კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ და სხვა. ამ ჩართულობის გაზრდის მიზნით გათვალისწინებული იყოს შესაბამისი საბიუჯეტო რესურსი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, რათა ბიზნესით დაკავებული პირების ცოდნის ამაღლების და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით მოწვეულ იქნეს ადგილობრივი და უცხოელი ტრენერ-სპეციალისტები;

- შეღავათები დაუწესონ ადგილობრივ ბიზნესს ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისას. კერძოდ: დამწყებ ბიზნესს შეუმციროს დაწესებული ადგილობრივი მოსაკრებელი, ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში საერთოდ გაათავისუფლოს ბიზნესი მოსაკრებლის გადახდისგან;

- ადგილობრივი ბიზნესის ხელშეწყობის და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით მაქსიმალურად გამოიყენონ უცხოეთის დამეგობრებული ქალაქების გამოცდილება და შეადგინონ ერთობლივი ბიზნეს და საინვესტიციო პროექტები და მოახდინონ მუნიციპალიტეტებში მათი რეალიზება;

- წახალისონ ადგილობრივი საინვესტიციო საქმიანობის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის განვითარება, ასევე ტურისტული ბიზნესის მაქსიმალური ხელშეწყობა და მათი წახალისება;

- ბიზნესის ხელშეწყობის და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით ხელი შეუწყონ ადგილობრივი სამეცნიერო/ტექნოლოგიური პარკების, ბიზნესინკუბატორების, ბიზნესამაჩქარებლების, ტექნოლოგიების გადაცემის და ინოვაციური ცენტრების შექმნასა და ფუნქციონირებას.

-

სამეცნიერო, სასწავლო და კვლევითმა დაწესებულებებმა:

- ითანამშრომლონ აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტებთან. რეგიონის სამეცნიერო, სასწავლო და კვლევითი დაწესებულებების მიერ გამოვლენილი სიახლეებისა და ტექნოლოგიური მიღწევების შესახებ ინფორმაცია სისტემატურად მიეწოდოს მუნიციპალიტეტებს. სამეცნიერო დაწესებულებებში, მუნიციპალიტეტებთან, ზოგადად რეგიონის ეკონომიკის და ბიზნესის განვითარებასთან დაკავშირებით შექმნილი სამეცნიერო ნაშრომების განხილვის პროცესში მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტების პასუხისმგებელმა თანამდებობის პირებმა;

- მუნიციპალიტეტებთან ერთად შექმნან ისეთი ფორმატი, რომლის გამოყენებითაც მაქსიმალურად გაიზრდება სამეცნიერო დაწესებულებების ჩართულობის ხარისხი მუნიციპალიტეტებში პრიორიტეტების გამოვლენის, ადგილობრივი ბიზნესის ხელშეწყობის და სტრატეგიის დაგეგმვის საკითხებში.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. აბესაძე. რ., (2014), ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი. თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა;
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი;
3. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი;
4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სივრცითი მოწყობის სქემა, 2012 წ, ბათუმი;
5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის რეგლამენტი;
6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ საქართველოს კონსტიტუციური კანონი;
7. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი;
8. აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი;
9. აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ოფიციალური ვებგვერდი;
10. აჭარის ტურისტული გზამკვლევის ოფიციალური ვებგვერდი www.gobatumi.com;
11. ალადაშვილი ბ., (2016), ეკონომიკური უსაფრთხოება: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა;
12. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება, სახელმძღვანელო <http://dokuments1.worldbank.org>;
13. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, (2014);
14. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2011-2016 წლების, რეგიონული განვითარების სტრატეგია, <https://adjara.gov.ge>;
15. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016-2021 წლების, რეგიონული განვითარების სტრატეგია, <https://adjara.gov.ge>;

16. აჭარის 2016-2020 წლების სოფლის განვითარების სტრატეგია, <https://adjara.gov.ge>;
17. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ვებგვერდი, www.adjara.gov.ge
18. ბარათაშვილი, ე., გრძელიშვილი. (2012), „რეგიონული ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო რეგულირება საქართველოში (რეგიონული მენეჯმენტი). თბილისი;
19. ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ., აბრალავა., (2009), რეგიონალიზმი: თეორია და პრაქტიკა, თბილისი;
20. ბარათაშვილი .., ფარესაშვილი ნ., აბრალავა თ. (2012). ბიზნესის მართვის კასტერული პოლიტიკა, სახელმძღვანელო, თბილისი;
21. ბუხლერი გ., (2013), რას მოაქვს წარმატება?, მდგრადი ეკონომიკური განვითარების 8 გაკვეთილი, ჟურნალი ლიბერალი, ონლაინ გამოცემა თბილისი; ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
22. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვებ.გვერდი;., [www. Batumi.ge](http://www.Batumi.ge);
23. ბათუმის საინვესტიციო სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდი www.investinBatumi.ge;
24. გახოკიძე ჯ., (2007) ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი პრობლემები, თბილისი;
25. გრძელიშვილი ნ., (2020) რეგიონი, ეკონომიკა, მართვა. თბილისი. „უნივერსალი“;
26. ერქომაიშვილი გ., (2013), საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი;
27. ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის ოფიციალური ვებ-გვერდი;www.traseca-org;
28. თბილისის ი.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ.გვერდი, www.tsu.edu.ge;
29. თვალჭრელიძე ა., სილაგამე., ქეშელაშვილი გ., გეგია დ., (2011), საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა, თბილისი;

30. კვარაცხელია მ., (2018), ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასების ინდიკატორების ფორმირება. „ეკონომიკა“-21-ე საუკუნე. ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტკონფერენციის მასალების კრებული. ეკონომიკური უსაფრთხოების გლობალური და ეროვნული პრობლემები. თბილისი;
31. ლორთქიფანიძე ვ., (1999), ქვეყნის ფედერალური მოწყობა. სსაქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი. თბილისი;
32. მანველიძე რ., მანველიძე ლ., ბერიძე ი., (2019), ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა და მხარდამჭერი სტრატეგიები, ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის -„ეროვნული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის პრობლემები თანამედროვე პირობებში“ მასალები,, ბათუმი;
33. მოურავიძე დ., (2015), რეგიონის ცნებისა და რეგიონული სტრუქტურის საკითხისათვის საქართველოში. სესპსკი შრომების კრებული, თბილისი;
34. ნადირაძე-გოგოლაძე თ,მ (2019), სამეწარმეო საქმიანობის განვითარების პირობები და პერსპექტივები საქართველოს რეგიონებში, ქუთაისი;
35. ნარიმანიშვილი ე., (2013) რეგიონული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მიმართულებები და დაგეგმვის მეთოდოლოგია, ი.ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, სამეცნიერო კონფერენცია „პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე, თბილისი;
36. ორჯონიკიძე ნ., დურული ც., (2006)., რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის არსი, მიზნები და ამოცანები, სამეცნიერო ანალიტიკური ჟურნალი-საქართველოს ეკონომიკა, თბილისი, www.geoeconomics.ge;
37. პროფესიული განთლების სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი, <https://www.mes.gov.ge/uploads/files/socioeconomic>;
38. პროფესიული განათლების სტატისტიკა (2013-2015)., <https://www.mes.gov.ge/uploads/statistikuri>;
39. ჟურნალ „ბიზნესი და კანონმდებლობის“ ოფიციალური ვებ-გვერდი, www.b-k.ge;

40. რეგიონული ეკონომიკა, (2004), ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
41. რეგიონის განვითარება-სახელმძღვანელო, <http://enpard.ge/en/wp-content/uploads/>;
42. რეგიონული განვითარების დიაგნოსტიკა: (სახელმძღვანელო), ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ., გრძელიშვილი ნ., გალახვარიძე ნ., რედ. გ.მოლაშხია;
43. რეგიონული განვითარების პროგრამა (2018-2021წწ), <https://mrdi.gov.ge>;
44. საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. (1988)., თბილისი;
45. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. (2020)., საქართველო 2020;
46. საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია, პირველი გამოცემა, <https://www.tsu.ge/assets/media/files/>;
47. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის;
48. საქართველოს ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2019-2022 წლებისთვის;
49. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება 2014 წ;
50. საქართველოს კონსტიტუცია;
51. საქართველოს კანონი „საბიუჯეტო კოდექსის“ შესახებ;
52. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;
53. საქართველოს სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვის სამინისტროს 2016-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
54. საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი (2019)., საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, <https://www.lmis.gov.ge>;
55. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი. www.economy.gov.ge;
56. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფიციალური ვებ-გვერდი. იალური ვებ-გვერდი. www.economy.gov.ge;

57. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი ., www.mrdi.gov.ge;
58. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებ-გვერდი, www.economists.ge;
59. საქართველოს სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი., www.gtu.ge;
60. საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებ-გვერდი. www.government.gov.ge;
61. საქართველოს სამოქალაქო რეესტრის ოფიციალური ვებ-გვერდი, www.medservice.cra.ge;
62. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი, www.moh.gov.ge;
63. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის ოფიციალური ვებ-გვერდი, www.nala.ge;
64. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი. www.mof.ge;
65. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდი. www.geostat.ge;
66. საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვებ-გვერდი, www.nbg.gov.ge;
67. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებ-გვერდი., www.ces.gov.ge;
68. საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებ-გვერდი, www.parliament.ge;
69. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, <https://mod.gov.ge>;
70. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 მაისის განკარგულება #936, რეგიონის განვითარების სტრატეგიის შემუშავების სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ, <https://matsne.gov.ge/ka/document>;
71. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივნისის #400 დადგენილება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე, <http://www.economy.ge>;

72. საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი, <https://www.mes.gov.ge>;
73. საქართველოს 2019-2022 წლებისთვის ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები, <https://www.mof.ge>;
74. საქართველოს გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების კონცეფცია, <https://bag.ge/file>;
75. საქართველოს კანონი „ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატორების საფუძვლების შესახებ“;
76. საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2018-2021 წწ, <http://gov.ge/files>;
77. საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის 2018 წლის განხორციელების წლიური კონსოლიდირებული ანგარიში, <https://mrdi.gov.ge>;
78. საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის 2019 წლის განხორციელების წლიური კონსოლიდირებული ანგარიში, <https://mrdi.gov.ge>;
79. საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის 2017 წლის განხორციელების წლიური კონსოლიდირებული ანგარიში, <https://mrdi.gov.ge>;
80. საქართველოს რეგიონული უთანასწორობის ანალიზი, <https://mrdi.gov.ge>;
81. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, <https://www.napr.gov.ge>;
82. საქართველოს ტურისტული გზამკვლევის ოფიციალური ვებგვერდი www.Georgia.travel;
83. საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი, (2012), საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში, თბილისი;
84. ურაშვილი გ., დავითიანი ა., (2016), ეკონომიკური უსაფრთხოება რეგიონებში, <http://biznes-injineriingi> 2016;
85. უკრაინის რესპუბლიკის ოფიციალური ვებ.გვერდი, www.ukr.net;
86. უკრაინის ნაციონალური ტექნიკური უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი, www.ru.kpi.ua;

87. უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის დონეცკის ეკონომიკის ინსტიტუტის ოფიციალური ვებ-გვერდი, www.iep.donetsk.ua;
88. ფალავანდიშვილი ბ., (2021), ეკონომიკური განვითარების შემზღვეველი ფაქტორები. „ჯეოქეისი“, <https://www.geocase.ge/ka>;
89. ქართული ლექსიკონი, <https://ganmarteba.ge>;
90. ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2018-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
91. ქედის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების გეგმა;
92. ქისტაური ნ., მელაშვილი მ., ქველაძე ქ. (2018), ეკონომიკური უსაფრთხოება და მასზე მოქმედი ფაქტორები, „ეკონომიკა-21-ე საუკუნე“. ივ.ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენცია, ეკონომიკური უსაფრთხოების გლობალური და ეროვნული პრობლემები, თბილისი, <https://www.researchgate.net/publication>;
93. ქუთაისის უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი, www.unik.edu.ge;
94. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი www.atsu.edu.ge;
95. ღლონტი ვ., (2007), რეგიონი: ანალიზი, შეფასება, პერსპექტივები;
96. შრომის მართვის საინფორმაციო სისტემა, www.worknet.gov.ge;
97. ჩიკვილაძე ნ., (2019), ეკონომიკური უსაფრთხოება გლობალიზაციის პირობებში, www.biznes-injineri.ge;
98. ჩიხლაძე ნ., (2021), რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის თეორიული და პრაქტიკული მიდგომები, ქუთაისი;
99. ჩიხლაძე ნ., კ.გაბელაშვილი კ., ვალიშვილი თ., (2013), ქალაქის ბრენდინგი-განვითარების ეფექტური იარაღი. ჟურნალი, „ბიზნესი და კანონმდებობა“ #5;
100. ჩიხლაძე ნ., რუსაძე ნ., (2020), ეკონომიკური და კომერციული დიპლომატიის გამოწვევები. ქუთაისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
101. ჩიხლაძე ნ., (2020), ქალაქების ეკონომიკა და პანდემიის გამოწვევები. ქუთაისის უნივერსიტეტი;

102. ციმინტია ვ., (2018), მიკროეკონომიკური უსაფრთხოება ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემაში, თბილისი;
103. შუახევის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების გეგმა;
104. ჭანია მ., სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოება და მასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოში, [https://www.eugb.ge/uploads/content](https://www.eugb.ge/uploads/content;);
105. ჭავჭავაძე ი. თხზ. კრებული, თბ, 1989;
106. ჭითანავა ნ., (2018), საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები და სტრატეგია, თბილისი;
107. ჭიჭინაძე ბ., (2017), ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების პრობლემები და პერსპექტივები. აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი;
108. ჭია მ... (2015), საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების პრობლემები თანამედროვე საქართველოში., თბილისი, პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. კონფერენცია „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარებიდან აქტუალური პრობლემები“;
109. ჯიბუტი მ., (2015), „რეგიონების ეკონომიკური განვითარების გამოწვევები საქართველოში“, <http://eprints.tsu.ge>;
110. ხმალაძე ვ., (2014) რეგიონული პროექტების სახელმწიფო საბიუჯეტო დაფინანსების მექანიზმები, ჟურნალი ბიზნეს-ინჟინერინგი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საერთაშორისო კონფერენცია..ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ;
111. ხარბედია ლ., (2015), მდგრადი განვითარების ეკონომიკური ასპექტები, თბილისი პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. კონფერენცია „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“;
112. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2012-2020 წლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმა;
113. ხულოს მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების გეგმა;

114. ჰოფმეისტერი ჯ., (2015), საქართველოს მდგრადი განვითარების გამოწვევების შესახებ. ჟურნალი ლიბერალი, ონლაინ გამოცემა. თბილისი;
115. Amstronng H., Taylor J ., (1994) Regional Economics and policy.;
116. Andersson T., Serger S.S., Sorvik L., Hansson E. The cluster policies Whitebook. <https://www.researchgate.net/publication>;
117. Braczyk H.J., (1998), Regional innovation systems, London;
118. Blewitt J., (2015), Understanding sustainable development;
119. Budds D., (2019), How do buildings contribute to climate change;
120. Castillo D., (2016), Integral ecology as liberationist concept;
121. Chavans B. (2006), transformacion economics, .www.transformes..com;
122. Gelb A., (2010), Economic Diversification in Resource Rich Countries. World Bank Center for Global Development;
123. Clark J.B., Annual of the American academy of political and social Science., 2000;
124. Gelb A., (2010), Economic Diversification in Resource Rich Countries. IMF: Center for Global Development;
125. Global Entrepreneurship Monitor, 2016;
126. Grigoreva E., Garifova L., (2016), The Economic Security of the State: The Institutional Aspect. <https://www.sciencedirect.com>;
127. Growth and its implications for th future, Worls bank (2016);
128. Economic security for a better worl Geneva, international Labour Office, (2004);
129. Emerging trrnnds in of sustainable development: an ecosystem service approach: <https://www.silvacom.vom>;
130. Fry A., Business i economics, 1992;
131. Hesse H., (2008), Export Diversification and Growth: Commision on Growth and Development. The World Bank;
132. Hayek Fr.A., Industrialism and Economic, 1992;
133. Leigh N.G., Blakely E.J., (2013), Planning local economic development: Theory and practice. Sage Publications, incorporated;
134. Limao N, Venables A., (2001), Infrastructure, geographical disadvantage;

135. McConnell K.R. S.L.Brue. (1992), Economics., Principles, Problems, And policies;
136. Marshall A., Principles of Economics., 2008;
137. Mises L., Ludwing von notes and Recollections, 2001;
138. Nelson R, Winter S, (2009). An evolutionary theory of economic change. Harvard University Press;
139. Nicholson W., Snyder C., (2011), Microeconomic Theory: Basic Principles and Extensions. Carnage Leazming;
140. Reis J.G., Reyes J.D., Varela g (2013), Georgia: Trade Competitiveness Diagnostic. Whashington D.C. The World zzbank;
141. Ritchie H., (2020), Hhat are the satest and cleanest sources of energy;
142. Shumpeter I. A., Business cycles, 1939, London;
143. Say J.B., (2000), Trate d,economie politique;
144. Smith A., (1991), Lectures on justice, police, revenue ard arms;
145. Toffler E., (2016), transformacion economics, .www.transformes..com;
146. Towards a global common good, (2015), Unesco;